ნონა არევაძე-კოტორაშვილი • ზეინაბ ბერაძე • ნონა მიქელაძე
ია რობაქიძე • ნინო ჟანკვეთაძე • გიორგი ჟაუჟიძე

# ქართული ენა

# 10

## არაქართულენოვანი სკოლებისთვის

## მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს.



სულაკაურის
გამომცემლობა

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲣᲚᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 10
მასწავლებლის წიგნი

პირველი გამოცემა, თბილისი, 2022

ავტორები: **ნონა არევაძე-კოტორაშვილი, ზეინაბ ბერაძე, ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე, გიორგი ჭაუჭიძე**

რედაქტორი **ელენე ბერიაშვილი**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**

© სულაკაურის გამომცემლობა, 2022
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
ალმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-050-2

Georgian as Foreign Language 10
Teacher’s book

© Sulakauri Publishing, 2022
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# სარჩევი


შესავალი ..................................................... 5

I თავი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები ..................................................... 7

II თავი – სახელმწიფო ენები ..................................................... 9

III თავი – ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის – საშუალო საფეხურის სტანდარტი ..................................................... 11

IV თავი – მეთოდიკური რეკომენდაციები ..................................................... 19

V თავი – თემატური ერთეულები ..................................................... 41

1. სახლი, ოჯახი ..................................................... 41

2. არასდროს, არასდროს, არასდროს დანებდე ..................................................... 67

3. ადამიანი ადამინისთვის... ..................................................... 78

4. ბუნება მბრძანებელია ..................................................... 100

5. ისტორია გვასწავლის ..................................................... 111

VI თავი – შეფასების რუბრიკები განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებისთვის ..................................................... 131

VII თავი – მოსასმენი ტექსტები და ვიდეოზმულები ..................................................... 139

დანართი – დამატებითი საკითხავი კითხვისა და წერის დიფერენცირებული სწავლებისთვის

აღდგომის კუნძული ..................................................... 142

აისბერგი ..................................................... 146

ასტრონავტი ..................................................... 150

წითელი პლანეტა ..................................................... 154

დალტონიზმი – ეს რა არის? ..................................................... 158

ფიზიკური და პოლიტიკური რუკები ..................................................... 162

გრიპი ..................................................... 166

რას მალავს მიწა? ..................................................... 170

თავისუფლების ქანდაკება ..................................................... 174

ვინ იყვნენ რაინდები? ..................................................... 178

# შესავალი

**ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) 10** წარმოადგენს მე-10 კლასის სახელმძღვანელოს, რომელიც შედგება 4 კომპონენტისგან:

1. მოსწავლის წიგნი,
2. სავარჯიშოების რვეული
3. მასწავლებლის წიგნი
4. მოსასმენი ტექსტები და ვიდეოსიუჟეტები (ციფრული ფორმატით)

მოსწავლის წიგნი და სავარჯიშოების რვეული დაყოფილია 5 თემატურ ერთეულად:

**1. სახლი, ოჯახი**
**2. არასდროს, არასდროს, არასდროს დანებდე**
**3. ადამიანი ადამიანისთვის...**
**4. ბუნება მბრძანებელია**
**5. ისტორია გვასწავლის**

თითოეული თემა მოსწავლის წიგნში იხსნება ტიხრით, რომელზეც მოცემულია თემატური ილუსტრაციები (ფოტოები, ნახატები), თემასთან დაკავშირებული ფრთიანი ფრაზები და გამონათქვამები, საკვანძო საკითხების ჩამონათვალი (რას შეისწავლის მოსწავლე ამა თუ იმ თემის ფარგლებში) და ქუარ-კოდი ელექტრონული რესურსისათვის. ტიხარზე მოცემულ მთელ ინფორმაციას, ელექტრონული რესურსის ჩათვლით, აქვს წინასწარ განწყობის შექმნის ფუნქცია, თუმცა, მასწავლებელს სურვილისამებრ შეუძლია, მათზე დაყრდნობით გარკვეული აქტივობა ან მთელი გაკვეთილი დაგეგმოს.

მოსწავლის წიგნში შემოთავაზებული საკითხავ ტექსტებს ახლავს სტრიქონების ნუმერაცია, რაც მასწავლებელსა და მოსწავლეებს დაეხმარებათ, ამ ტექსტებში იოლად ორიენტირებაში, სათანადო ადგილის, სიტყვის სწრაფად მოძებნაში.

თითოეულ თემაში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას, ასევე მოცემულია თემატიკასთან ორგანულად დაკავშირებული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული გრამატიკის საკითხები.

გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის წიგნში მოცემულია დავალებები, რვეულში კი – სავარჯიშოები. ნუმერაცია გადანაწილებულია იმგვარად, რომ შესასრულებელი აქტივობების მიმდევრობა დაცულია. მაგალითად, წიგნში პირველი დავალების შემდეგ თუ მოდის მე-3 დავალება, ეს ნიშნავს, რომ პირველი დავალების შემდეგ შესასრულებელია მე-2 სავარჯიშო, რომელიც სავარჯიშოების რვეულშია მოცემული. ასეთი დაგეგმვა მასწავლებელს გაუიოლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვას და მასწავლებლის ამ წიგნში ზედმეტი კირკიტის გარეშე მწყობრად მიჰყვება აქტივობებს. სხვათა შორის, ასეთი პრინციპი, რომელიც ჩვენს სახელმძღვანელოებში დაინერგა პირველად, მოწონებით მიიღეს კოლეგა-მასწავლებლებმა.

ნებისმიერი დავალებისა თუ სავარჯიშოს პირობაში მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზეა მოცემული მითითება. ასევე მოცემულია პირობითი ნიშანი მოსმენის (ან ვიდეოსიუჟეტის ნახვის) დავალებისას.

გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის წიგნში მოცემულია დავალებები, რვეულში კი – სავარჯიშოები. ნუმერაცია გადანაწილებულია იმგვარად, რომ შესასრულებელი აქტივობების მიმდევრობა დაცულია. მაგალითად, წიგნში პირველი დავალების შემდეგ თუ მოდის მე-3 დავალება, ეს

ნიშნავს, რომ პირველი დავალების შემდეგ შესასრულებელია მე-2 სავარჯიშო, რომელიც სავარჯიშოების რვეულშია მოცემული. ასეთი დაგეგმვა მასწავლებელს გაუიოლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვას და მასწავლებლის ამ წიგნში ზედმეტი კირკიტის გარეშე მწყობრად მიჰყვება აქტივობებს. სხვათაშორის, ასეთი პრინციპი, რომელიც ჩვენს სახელმძღვანელოებში დაინერგა პირველად, მოწონებით მიიღეს კოლეგა-მასწავლებლებმა.

მოსწავლის წიგნში მოცემულია განსხვავებული დიზაინით გამორჩეული კომპლექსური დავალებები, რომელთათვის ზოგიერთ შემთხვევაში სავარჯიშოების რვეულშიც არის გამოყოფილი სათანადო ადგილი, ზოგჯერ კი – არა. ზოგიერთი კომპლექსური დავალება კი მხოლოდ სავარჯიშოების რვეულშია შემოთავაზებული. ეს, რასაკვირველია, არ აკნინებს მის მნიშვნელობას და მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს თითოეულს მათგანზე მუშაობას.

რაც შეეხება დავალებებისა (მათ შორის, კომპლექსური დავალებებისაც) და სავარჯიშოების შესრულების ფორმატს — ინდივიდუალურად შეასრულონ, წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში — მასწავლებელი ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკლასო საჭიროებების მიხედვით. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი მოსწავლეა კლასში, რა მზაობისა და საჭიროებისანი არიან ისინი, რა კონკრეტული საგაკვეთილო მიზანი აქვს მასწავლებელს და ა.შ.

წინამდებარე მასწავლებლის წიგნში გაწერილია ყველა თემა თავისი ცნებებითა და მკვიდრი წარმოდგენებით, საკვანძო შეკითხვებით, კომპლექსური დავალებებითა და სხვა კომპონენტებით. აქვეა წარმოდგენილი მეთოდიკური მითითებები, რომლებიც უთუოდ დაეხმარება მასწავლებელს, უკეთ წარმართოს საგაკვეთილო პროცესი.

მასწავლებლის წიგნს ბოლოში აქვს დართული ასევე მოსასმენი დავალებების ტექსტები (აუდიომასალა ციფრული ფორმატით ატვირთულია გამომცემლობის საიტზე) და ვიდეოსიუჟეტების ინტერნეტბმულები.

# I თავი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

**ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:**

- სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

**ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:**

- მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

**გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:**

- დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების 2 განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

**დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:**

- სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

**ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:**

- სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

**ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც:**

- სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

**ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:**

- სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

**თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:**

- დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

# II თავი – სახელმწიფო ენები

სახელმწიფო ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- **ქართული ენა და ლიტერატურა;**
- **ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის;**
- **აფხაზური ენა და ლიტერატურა.**

სახელმწიფო ენის შესწავლა მოზარდს უვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, გამოუმუშავებს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარს სახელმწიფო ენაზე; ეხმარება მას, რომ გააცნობიეროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოზარდის სრულფასოვან ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში. სახელმწიფო ენების სწავლების მიზნები და ამოცანები სახელმწიფო ენების (ქართულის/აფხაზურის) სწავლების მიზანია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ენობრივი ცოდნის შეძენა-გაღრმავება, ენობრივი უნარების განვითარება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვის უნარის განვითარება;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით გამართულად წერისა და მეტყველების უნარის განვითარება;
- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება-განვითარება;

- მწერლის შემოქმედების გააზრების უნარის განვითარება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;

- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარის გამომუშავება;

- ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის გამომუშავება;

- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარება;

- ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების, უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრების უნარის გამომუშავება;

- კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;

- სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება;

- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისე-ბურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;

- უცხო კულტურის გაგების უნარის განვითარება;

- სახელმწიფო ენის/ენების ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების უნარის განვითარება;

- ენის სწავლის უნარ-ჩვევების (სწავლის სწავლა) განვითარება;

- საგანმანათლებლო მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვი-თარება;

- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.) განვითარება;

- ქვეყნის მოქალაქეობის განცდის უნარის გამომუშავება და განვითარება.

# III თავი – ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის – საშუალო საფეხურის სტანდარტი

**დანართი 2, მუხლი 59. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორე-ბისთვის), დაემატოს პუნქტი 4 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**4. ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) საშუალო საფე-ხურზე**

**შესავალი**

საშუალო საფეხურზე ქართული ენა ისწავლება ყველასთვის სავალდებულო კურსის სახით.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნე-ბი.**

**შინაარსი** აღიწერება თემატური ჩარჩოს, საგნობრივი ქვეცნებებისა და საკითხების სახით.

თემატური ჩარჩო სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძ-ლოს მოსწავლემ ქართული ენის გაგება-გამოყენება.

თითოეულ თემას უნდა ახლდეს **შეფასების კრიტერიუმები,** რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. შეფასების კრიტერიუმები ჯგუფდება ცნებების მიხედვით.

**საფეხურის სტანდარტი**

საშუალო საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომე-ლიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ქ.ე.საშ. 1.**

**„ქ.ე.“** – მიუთითებს საგანს „ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორე-ბისთვის)“;

**„საშ. –** მიუთითებს საშუალო საფეხურის სტანდარტს;

**„1“ –** მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

<table>
<tr><th colspan="3">ქართული ენის (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე</th></tr>
<tr><th>შედეგების ინდექსი</th><th>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</th><th>სამიზნე ცნებები</th></tr>
<tr><td>ქ.ე.საშ.1.</td><td>სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენე-ბით, ნაცნობ თემასა თუ საკითხზე სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და/ან წაკითხვა მისი გაგება/გაა-ზრებისა და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად;</td><td rowspan="8">სამეტყველო ქმედება<br>(ქ.ე.საშ.1, 2, 3, 4, 6, 8)<br><br>ტექსტი<br>(ქ.ე.საშ.1, 2, 3, 4, 6)<br><br>ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br>(ქ.ე.საშ.5)<br><br>კულტურათა დიალოგი<br>(ქ.ე.საშ.7)</td></tr>
<tr><td>ქ.ე.საშ.2.</td><td>სათანადო სტრატეგიების გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;</td></tr>
<tr><td>ქ.ე.საშ.3.</td><td>სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა ნაცნობ თემებზე, აქტუალურ საკითხებსა თუ პრობლემებზე სასაუბროდ;</td></tr>
<tr><td>ქ.ე.საშ.4.</td><td>საკუთარი გამოცდილების გამოყენება ტექსტის შეფასების, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვისა და ახსნა-დასაბუთების მიზნით ზეპირად და/ან წერილობით;</td></tr>
<tr><td>ქ.ე.საშ.5.</td><td>ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა და სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;</td></tr>
<tr><td>ქ.ე.საშ.6.</td><td>ტექსტების შედგენა-გადმოსაცემად შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.</td></tr>
<tr><td>ქ.ე.საშ.7.</td><td>განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტერპერსონალური უნარების გამოსავლენად;</td></tr>
<tr><td>ქ.ე.საშ.8.</td><td>სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი) სწავლის პროცესის გასააზრებლად და ეფექტური შედეგის მისაღწევად;</td></tr>
</table>

**ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები**

თემატური ბლოკები წარმოდგენილია მიმართულებებად, სადაც თავმოყრილია ის სავალდებულო შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

I. <u>მე და სამყარო:</u>

1. **ყველაფერი ჩემ შესახებ** (მონაცემები, უახლოესი გარემო, ოჯახი და სახლი; ირგვლივ მყოფი ხალხი; პროფესიული არჩევანი; სამსახური/სწავლა; მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება; ყოველდღიური ცხოვრება; ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, არაფორმალური შეხვედრები, გასართობი ღონისძიებები, დასვენება...);
2. **ფიზიკური გარემო** (დედამიწა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები; გამქრალი ცივილიზაციები, სამყარო და მისი წარმოშობა...).

II. <u>სოციოკულტურა და კულტურა:</u>

1. **ყოველდღიური ცხოვრება** (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);
2. **პიროვნებათშორისი ურთიერთობები** (ოჯახური ურთიერთობები, თაობებს შორის ურთიერთობები, ურთიერთობები თანატოლებთან; საზოგადოების წევრებს / ჯგუფებს შორის ურთიერთობები; საზოგადოებრივი ქცევის ტრადიციულად დადგენილი წესები სხვადასხვა ქვეყანაში...);
3. **ღირებულებები და ფასეულობები** (კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური / რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები; პროფესიული ჯგუფები; პოლიტიკა, ხელოვნება, არქიტექტურა...).

წლის განმავლობაში შესაძლებელია დამუშავდეს, დაახლოებით, 5-6 თემა. შესაბამისად, ერთ სემესტრში რეალურია 3 თემის დამუშავება (ორივე ბლოკიდან).

ქვეცნებები / საკითხები

| ცნებები | ქვეცნებები, საკითხები/ქვესაკითხები |
|---|---|
| **სამეტყველო ქმედება** (ქ.ე.საშ.1,2,3,4,6,8) | **ფუნქციური სამეტყველო აქტები**<br>• **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** *(კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება)*;<br>• **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** *(პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი / თვისებები; გარემოს, საქმიანობის / მოვლენის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (ჰობი და ინტერესები, საქმიანობა, ჯანმრთელობა, შეგრძნებები, გეგმები/განზრახვა* და ა.შ.);<br>• **ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);<br>• **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა..);<br>• **ლოგიკური კავშირების გამოხატვა** (მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი)<br><br>**სიტუაციური მახასიათებლები** (კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; კომუნიკაციის მონაწილეები, ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო);<br><br>**მეტყველების ფუნქციური ტიპები** (თხრობა, აღწერა, მსჯელობა)<br><br>**ენის სწავლის სტრატეგიები**<br>• **მოსმენის სტრატეგიები** მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);<br>• **კითხვის სტრატეგიები** კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);<br>• **ლაპარაკის სტრატეგიები** ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;<br>• **წერის სტრატეგიები** წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);<br><br>**მეტაკოგნიტური სტრატეგიები:**<br>• დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა. |

| | |
|---|---|
| **ტექსტი**<br>(ქ.ე.საშ.1,2,3,4,6) | **ტექსტის ტიპები -** მხატვრული, არამხატვრული<br><br>**ტექსტის ჟანრები:**<br>• **მხატვრული ლიტერატურა:** პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული ისტორიული თხზულებები, მოთხრობები, ნოველები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;<br>• **არამხატვრული ლიტერატურა:** ა) კორესპონდენცია - პირადი და ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; ბ) საგაზეთო პუბლიკაციები - სტატია, გამოხმაურება, ქრონიკა, რეპორტაჟი; გ) ბიოგრაფიული ტექსტები - ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ნარკვევები, პორტრეტები, მოგონებები; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ესსე; ე) სამეცნიერო-პოპულარული ტექსტები, მარტივი ენით დაწერილი დარგობრივი ტექსტები;<br>• **მედია/მულტიმედია ტექსტები:** მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; საინფორმაციო, გასართობი და შემეცნებითი ტელეგადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;<br>• **სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები:** თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.<br>**ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება**<br>• **ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები** (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);*<br>• **ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/ არავერბალური ელემენტები** (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო,; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი);*<br>• **აბზაცის სტრუქტურა -** თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი), დასკვნითი წინადადება. |

| | |
|---|---|
| **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** (ქ.ე.საშ.5) | **გრამატიკა:**<br>• **მორფოლოგია:** სახელები და მათი წარმოება და ფუნქციები (არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი); ზმნა: მწკრივთა წარმოება და ფუნქციები; დამხმარე ზმნები; ზმნის მარტივი და რთული (I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი) ფორმები; რთულფუძიანი ზმნები და მათი წარმოება (მაგ., ვავადმყოფობ, ცხადვყოფ და სხვა); თავისებური ზმნები და მათი წარმოება; მოქმედების შესრულების დრო და გამოხატვის ფორმები (მწკრივები, დროის ზმნიზედები, სახელები და საწყისები, შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები); მოქმედების მრავალგზისობა და მისი გამოხატვის ფორმები; სუბიექტური და ობიექტური პირები და მათი ფუნქციები;  ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი  ზმნური კონსტრუქციები; ზმნისწინი და მისი ფუნქციები (მიმართულება, ასპექტი, სიტყვაწარმოება); ქცევა (წარმოება და ფუნქციები); კონტაქტი (წარმოება და ფუნქცია); საწყისი და მიმღეობა (წარმოება და ფუნქციები); ზმნიზედები და მათი ფუნქცია; კავშირი (აგებულება და ფუნქციები); ნაწილაკი (მისი ადგილი წინადადებაში და ფუნქციები); შორისდებული და მისი ფუნქცია;<br>• **სინტაქსი:** მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა (მსაზღვრელის რაოდენობა, ადგილი, ფუნქცია, ბრუნვა და რიცხვი); რთული წინადადება (წინადადებათა თანწყობა და ქვეწყობა; აზრობრივი მიმართებები თანწყობილ წინადადებაში; დამოკიდებული წინადადებები და მათი ფუნქციები; დამოკიდებული წინადადების ადგილი ქვეწყობილ წინადადებაში, საკავშირებელი სიტყვები, კავშირიანი და უკავშირო შეერთება, ზმნის ფორმები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა რთულ ქვეწყობილ წინადებაში); სიტყვათა რიგი მარტივ და რთულ წინადადებებში; მიმართებითი სიტყვები და წევრ-კავშირები (ზოგიერთი მიმართებითი სიტყვისა და წევრ-კავშირის ფუნქცია წინადადებაში; წევრ-კავშირი „რომელიც" და მასთან დაკავშირებული საკითხები); სინტაქსური კავშირები და მათი გამოხატვის ძირითადი ენობრივი საშუალებები (სიტყვის ფორმა, დამხმარე სიტყვები, სიტყვათა რიგი, ინტონაცია); პირობით-შედეგობითი წინადადებები; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთება და პირიქით; რთული წინადადების მარტივად გადაკეთება და პირიქით; |

| | |
|---|---|
| | • **მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:** სახელები (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით; ნაცვალსახელი - მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი) და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან; რთულფუძიანი ზმნების მართლწერა;წევრ-კავშირების ხმარება რთულ წინადადებაში (განცხადება, რომელშიც თუ განცხადება, სადაც? და სხვა);<br>•<br>**ლექსიკა:**<br>სინონიმი, ანტონიმი; დანართი, ჩართული; ფრაზეოლოგიზმები; კომპოზიტები, მათი შედგენილობა და მნიშვნელობა; პროფესიული და დარგობრივი ლექსიკა; ჩართული, დანართი; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.<br><br>**ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:**<br>• ენათშორისი პარალელების გავლება;<br>• დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;<br>• დედუქცია - ენის  სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.<br>• ინდუქცია - ენის  სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას. |
| **კულტურათა დიალოგი**<br>(ქ.ე.საშ.7) | **სოციოკულტურული  რეალიები**<br>წეს-ჩვეულებები (ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი); ტრადიციები (ფესტივალები, კარნავალები; შესაბამისი აქსესუარები; რიტუალები), ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, სახელმწიფო სიმბოლიკა და ყოფითი რეალიები; ფასეულობები; ღირსშესანიშნაობები; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; იუნესკო და საქართველო; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები.<br><br>**ენაში აღბეჭდილი სამყარო**<br>კომპოზიტები, ანდაზები, მყარი შესიტყვებები, ფრაზეოლოგიზმები. |

**სასწავლო თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები**

სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

**სამეტყველო ქმედება** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით;
- ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად.

**ტექსტი** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას.

**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;
- ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიების გამოყენება ენობრივი ცოდნის ასათვისებლად.

**კულტურათა დიალოგი** - მოსწავლემ უნდა შეძლოს:
- განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება და საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა;
- კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა.

# IV თავი – მეთოდიკური რეკომენდაციები

## საფეხურებრივი პრიორიტეტები

როგორც საშუალო საფეხურის სტანდარტშია წარმოდგენილი, X-XI-XII კლასებში მოსწავლეები საბოლოო ნაბიჯებს დგამენ ქართული ენის შესწავლის გრძელ გზაზე. სწორედ ამ კლასებში სრულდება იმ უნარების ჩამოყალიბება, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა დაწყებით საფეხურზე და განვითარდა საბაზო საფეხურზე. აქ ვგულისხმობთ სასკოლო პერიოდში ენის შესწავლის დასრულებას, თორემ ენის შესწავლა დაუსრულებელი პროცესია მთელი ცხოვრების განმავლობაში, არა მხოლოდ მეორე თუ უცხოური, არამედ მშობლიური ენისაც.

წინამდებარე სახელმძღვანელოებში სათანადო ყურადღება ეთმობა როგორც რეცეფციული უნარების (მოსმენა, კითხვა), ასევე პროდუცირების – ლაპარაკისა და წერის სწავლებას. რაც მთავარია, სათანადო ადგილი უკავია კომუნიკაციური სწავლების ჩანაცვლებას მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით. ამ მიზნისთვის შემოთავაზებულია სხვადასხვა დავალება და მიკროპროექტი, რომლებზე მუშაობაც მოსწავლეებს დაეხმარება სათანადო კონტექსტში გადაიტანონ ათვისებული ენობრივი კომპეტენციები. ამ მასწავლებლის წიგნის შესაბამის თავში, სათანადო ადგილას, მოცემული იქნება, სრულიად ადეკვატური მითითებები, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.

რაც შეეხება მოსწავლეთა ენობრივ დონეს, შეიძლება ითქვას, რომ X კლასის მოსწავლეები უნდა შეესაბამებოდნენ B1-დან B2-ზე გარდამავალ საფეხურს. თუმცა, ეს ყველაზე საკამათო საკითხია და შემოდის, ერთი მხრივ, სტანდარტის მოთხოვნები და, მეორე მხრივ, ის სხვადასხვა რეალობა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია შექმნილი.

საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სახელმწიფო ენის ცოდნით. მცირე მათგანს სკოლაში შესვლამდე გარკვეული ენობრივი გამოცდილება აქვს, თუმცა კი უმრავლესობისთვის ეს ასე არაა და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების სტრატეგიებსაც განსხვავებული დაგეგმვა სჭირდება. ამ და სხვა ფაქტორების გამოც, მათზე დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანს, შესაძლოა მე-10 კლასში შეგვხდეს ისეთი მოსწავლე, რომელიც B1-ის დონეზეც ვერ არის და მასწავლებელს განსხვავებული რიგის ამოცანები უდგათ, ვიდრე ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი. შესაბამისად, მასწავლებლებს მოუწევთ მიმართონ გაღრმავებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს ან უფრო რადიკალური გადაწყვეტილებაც მიიღოს: კონკრეტულ კლასში შეიტანოს შედარებით დაბალი ენობრივი კომპეტენციების მოსწავლეებისთვის შექმნილი აქტივობები, ვიდრე წარმოდგენილია ჩვენს სახელმძღვანელოში. ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ სათანადო ადგილებზე კონკრეტულად და მასწავლებლის წიგნის შესაბამის თავში „დიფერენცირებული სწავლება“ წარმოდგენილი იქნება სათანადო რეკომენდაციები ამ მიმართულებით. მასწავლებლის წიგნს თან ახლავს დამატებითი საკითხავები სათანადო დავალებებით, რომლებიც ამოკრებილია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ შემუშავებული პორტალიდან kargiskola.ge მანამდე კი გთავაზობთ გარკვეულ მოსაზრებებს, რომლებიც შეეხება 1) მოსმენის, 2) კითხვის, 3) ლაპარაკისა და 4) წერის კომპეტენციების, 5) ლექსიკისა და 6) გრამატიკის სწავლებას.

**1) მოსმენის უნარის განვითარება**

მოსმენის უნარის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია საშუალო საფეხურის მასწავლებლებისთვის. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის მოსასმენი ტექსტი. პირობითად, მოსასმენი მასალა შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

• ავთენტიკური, ონლაინსივრცეში არსებული ვიდეო-აუდიო მასალა,

• სპეციალურად დაწერილი დიალოგური ტექსტების აუდიოჩანაწერები,

• ადაპტირებული მხატვრული/საინფორმაციო ტექსტების აუდიოჩანაწერები.

მასწავლებლები უნდა შეეცადონ, რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტრონული ჩანაწერები და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაანაცვლონ ისინი მათ მიერ ტრანსკრიპტის წაკითხვით.

მოსმენის გაადვილების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია, იქნება ეს განმეორებით მოსმენა, პაუზებით და/ან დამაზუსტებელი კომენტარებით მოსმენა, მოსმენამდე ლექსიკური ერთეულების გაცნობა, მოსასმენი ტექსტის საკითხავ ტექსტთან ერთად შეთავაზება და სხვ.

მთავარია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს მოსმენის ისეთ სტრატეგიებზე, რომლებიც სტანდარტითაცაა გათვალისწინებული **სამეტყველო ქმედების** ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების სახითაც. ამ მიზნების მისაღწევად სასარგებლო იქნება ჩვენს სახელმძღვანელოებში მოცემული დავალებებისა და სავარჯიშოების სათანადოდ შესრულება.

**2) კითხვის უნარის განვითარება**

კითხვის უნარის, როგორც რეცეფციული უნარის, გაწაფვა კვლავ რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად საშუალო საფეხურზე. იგი კვლავ სხვა უნარების სწავლების მძლავრ ხელშემწყობ იარაღადაც რჩება. არც ერთი სხვა კომპეტენცია არ გვეხმარება ისე მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციის ამაღლებაში, როგორც კითხვის უნარი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კითხვის კომპეტენცია არის საყრდენი კომპეტენცია სხვა საგნებში აკადემიური წარმატების მისაღწევად. და, რასაკვირველია, ქართულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ამ მიმართულებითაც, რადგან ჩვენი მიზანია, ჩვენს მოსწავლეებს შესაძლებლობა მივცეთ ქართულენოვანი უმაღლესი განათლების მიღებისა.

მეათეკლასელ მოსწავლეებს უკვე შეუდარებლად დიდი მოცულობის ტექსტების დამუშავება უწევთ, ვიდრე ეს დაწყებით თუ საბაზეო საფეხურზე ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების კონტექსტში გამომუშავებული კითხვის სტრატეგიები ხელშემწყობი იქნება მისთვის არა მხოლოდ ქართულის, არამედ მშობლიური და სხვა საგნობრივი ტექსტების აღქმისთვისაც.

მნიშვნელოვანია, თუ რა ტექსტის დამუშავება გვინდა გაკვეთილებზე. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება თემატიკით, მოცულობით, კითხვადობის სირთულით, ლექსიკური თუ ჟანრობრივი მახასიათებლებით, შექმნის მიზნით, სტილითა და სხვა ნიშნებით. რასაკვირველია ყველა ზემოთ დასახელებულ განმასხვავებელზე მასწავლებელმა სათანადო აქცენტი უნდა დასვას სასწავლო პროცესში. შესაბამისად, თითოეული ტექსტის სასწავლო პროცესში დამუშავებას სჭირდება თავისებური, განსხვავებული, ინდივიდუალური მიდგომა.

ჩვენი ამოცანაა, თითოეულ ტექსტს შევურჩიოთ ადეკვატური, მოსწავლეთათვის საინტერესო და სასარგებლო აქტივობები, რომელთა საშუალებითაც მოვახერხებთ სამიზნე ცნებების დამუშავებას. ტექსტი, როგორც ცალკე აღებული სამიზნე ცნება სრულფასოვნად უნდა იყოს დამუშავებული ქართული ენის გაკვეთილებზე.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტექსტების შერჩევის ორ განმაპირობებელზე:

**1. თემა – რა თემაზეა ტექსტი.** გასაგებად რომ ვთქვათ, თუ რას ვგულისხმობთ, მაგალითი განვიხილოთ, რადგან სხვადასხვა სპეციალისტი „თემაში“ განსხვავებულ შინაარსს დებს. თუკი ტექსტი ცხოველების მეგობრობას ასახავს, რა თემაზე იქნება იგი? ალბათ, მეგობრობაზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ინფორმაცია მასწავლებლისთვის, რომელიც, დავუშვათ, დაინტერესებულია ამ მასალით. ამიტომ საჭიროებს დაზუსტებას, რომ ცხოველების შესახებაცაა ეს ტექსტი.

თემაზე აქცენტის დასმა არაა შემთხვევითი. ქართულის, როგორც მშობლიური, ასევე მეორე ენის მასწავლებლები სამართლიანად ანიჭებენ უპირველეს ყურადღებას, ასაკობრივი შესაბამისობის შემდეგ, თემატური ერთეულის (სასწავლო ერთეულის, ე. წ. "მატრიცის") თემას.

**2. ჟანრი – რა ჟანრის ტექსტია.** მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, შერჩეული ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს. ერთ-ერთი მიზანი სწორედაც რომ ჟანრობრივი მრავალფეროვნება უნდა იყოს და არა მხოლოდ ერთი რომელიმე ჟანრის ტექსტების, დავუშვათ, იგავ-არაკების, შეთავაზება და სწავლება.

გარდა ამისა, ტექსტის შერჩევისას ვითვალისწინებთ, თუ რა იდეის მატარებელია, როგორია მისი კითხვადობის დონე და შეესაბამება თუ არა ამ მახასიათებლით ჩვენი მოსწავლეების მზაობას, ვინ არის მისი ავტორი, რადგან სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებების შეთავაზება სტილურ მრავალფეროვნებასაც გამოიწვევს... როდესაც ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებაზე ვსაუბრობთ, აქ თემისა და ტექსტის კითხვადობის დონის გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ მოცულობასაც. აღსანიშნავია, რომ მეათეკლასელი ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შემსწავლელები, უკვე უნდა ახერხებდნენ ორგვერდიანი და მას აღმატებული ტექსტების დამუშავებას.

და ბოლოს, მასწავლებლები უნდა დავფიქრდეთ, თუ როგორ დამუშავდება ეს ტექსტი, რომელი სასწავლო საკითხის გასააქტიურებლად იქნება გამოსადეგი და რომელი კომპლექსური დავალების შეწყობა იქნება მისთვის მოსახერხებელი. შესაძლებელია, თითოეულმა, ამ უკანასკნელ ორ პარამეტრთაგან, რომელიმე კონკრეტული ტექსტის სასარგებლოდ მიგვაღებინოს გადაწყვეტილება.

**შერჩეული საკითხავი ტექსტის დამუშავების საკვანძო საფეხურები.**

მოკლედ გავიხსენოთ, რომ საკითხავი ტექსტების დამუშავებისას **პირველ, წაკითხვამდე ფაზაზე** ხდება:

- მოტივაციის აღძვრა, ტექსტის თემატიკაზე მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება.
- წაკითხვის დროს შესასრულებელი დავალების გაცნობა და/ან მოდელირება.
- ტექსტის წაკითხვაში დახმარების მიზნით ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულზე ყურადღების გამახვილება, რაიმე საკითხზე საჭირო ცნობის მიწოდება.
- ვარაუდების გამოთქმა სათაურის და/ან ილუსტრაცი(ებ)ის მიხედვით.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, მოსწავლეებს სწორედ ამ ფაზაზე გავაცნოთ ის კომპლექსური დავალება/დავალებები, რომლებზეც მოუწევთ მუშაობა ამ კონკრეტული ტექსტის მიხედვით/გამოყენებით.

**მეორე, წაკითხვის ფაზაზე:**

- მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ მიცემულ დავალებას (შეთავაზებულ შეკითხვებზე მუშაობა, რომელიმე სააზროვნო სქემის შევსება, კომიქსის/პოსტერის/ შექმნა, ბუკლეტისა თუ მაკეტის დამზადება, სიუჟეტის მომზადება...). მუშაობის ფორმატი (ინდივიდუალური, წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში) განისაზღვრება მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ არსებული საჭიროებების გათვალისწინებით.

- უბრუნდებიან და ამოწმებენ პირველ ფაზაში ტექსტის შესახებ გამოთქმულ ვარაუდებს.
- სვამენ ახალ შეკითხვებს და ეძიებენ მათზე პასუხებს.
- ამზადებენ დავალების (მათ შორის, კომპლექსური დავალების) პრეზენტაციას, წარდგენის მიზნით ინაწილებენ როლებს...

**მესამე, წაკითხვის შემდეგ** ფაზაზე:

- ხდება ნამუშევრების წარდგენა.
- ეწყობა დისკუსია, მსჯელობა, სხვადასხვა ახალი შეკითხვის დაბადება და მასზე პასუხების ერთობლივი ძიება.
- წაკითხული ტექსტის სხვა ტექსტთან და/ან პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.
- ტექსტის მიხედვით ახალ დავალებებზე მუშაობა, რომელიც ტექსტის სხვა რაკურსით გააზრებისა და ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.

**კითხვის დიფერენცირებულად სწავლება**

დიფერენცირებული სწავლების მიდგომას მასწავლებლები წარმატებით იყენებენ კითხვისა და წერის უნარების განვითარების პროცესში. დიფერენცირებული გაკვეთილების დაგეგმვისას ისინი ზემოთ აღწერილ კონცეპტუალურ საფუძვლებს ეყრდნობიან. კერძოდ:

პრაქტიკულად ყველა საკლასო ოთახში, ერთი მხრივ, მრავალფეროვანი და, მეორე მხრივ, რთული სურათი გვაქვს. გვყავს განსხვავებული მონაცემების, მიღწევების, წინარე გამოცდილების მქონე მკითხველები.

სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები სწორად გადანაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს დაურიგდეს ადეკვატური სირთულის ტექსტები/დავალებები.

ყველა მოსწავლემ და ჯგუფმა უნდა მიიღოს მიზნობრივი დახმარება და უკუკავშირი კითხვის პროცესში და წერითი ნამუშევრების შესრულებისას.

კითხვის დიფერენცირებულად სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მეთოდია მართული კითხვა. მართული კითხვის აქტივობა გულისხმობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფში (ან ჯგუფებში) შესაფერისი ტექსტის წაკითხვას და დამუშავებას კონკრეტული უნარების/სტრატეგიების დაუფლების მიზნით. მართული კითხვის აქტივობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გააანალიზოს და გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ხოლო მოსწავლეებს ეხმარება, ნაბიჯ-ნაბიჯ განავითარონ კითხვის ის უნარები, რომელშიც მეტად სჭირდებათ გაწაფვა.

მართული კითხვის აქტივობა განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს იმ კლასებში, სადაც მოსწავლეების განსხვავებული ენობრივი კომპეტენციების მატარებლები არიან და მასწავლებლები სწორედაც რომ სხვადასხვა ტექსტებს გამოიყენებს ასეთ კლასებში კითხვის უნარის განვითარების მიზნით. ქვემოთ წარმოდგენილია საკითხავი ტექსტები სათანადო დავალებებით, რომელთა გამოყენებაც სასარგებლო იქნება განსხვავებული მზაობისა და საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

შენიშვნა: მასწავლებლის წიგნს ბოლოს დართული აქვს **დამატებითი საკითხავი მასალა კითხვისა და წერის დიფერენცირებული სწავლებისთვის.**

**3) ლაპარაკის უნარის განვითარება**

ლაპარაკის (საუბრის) უნარი ერთ-ერთი განუყოფელი კომპეტენციაა უცხოურ ენაზე კომუნიკაციის დაწყებისას. თუკი მშობლიურ ენაზე ეს უნარი ბუნებრივად, სრულიად კომფორტულად და გაუცნობიერებლად ყალიბდება, არამშობლიურ ენაზე საუბრის დაწყება გარკვეულ ბარიერებთან არის ხოლმე დაკავშირებული, თუ რა თქმა უნდა, ღრმა ბავშვობიდან არ უწევს არამშობლიურ ენასთან შეხება და ბუნებრივი გზითვე ითვისებს მას – ამ შემთხვევაში ფაქტობრივად მეორე ენის ბუნებრივი ათვისება ხდება, რაც ერთობ გავრცელებული ტრადიცია იყო ძველი ტფილისის ტრადიციულ ეზოებში.

**რეალური სიტუაციებში მოსმენა-ლაპარაკი მრავალჯერადი განმეორებით**

დიდი როლი ენიჭება ენის სწავლებისას ავთენტიკურ კონტექსტებს და აქ გახმოვანებულ ფრაზებსა და სიტყვებს. არცთუ იშვიათად ასეთი კონტექსტები უფრო ადვილად ამახსოვრებინებს მოწაფეს საჭირო ფრაზასა თუ ენობრივ კონსტრუქციას... ასეთი მიდგომით ბავშვებს შეგვიძლია დავამახსოვრებინოთ და ავათვისებინოთ საოცრად რთული ფორმისა და გრამატიკული სტრუქტურის სიტყვები და გამოთქმები, რომელთა ათვისებაც, ენის ლოგიკური განვითარების მიხედვით, საკმაოდ გვიან მოუწევდა. მაგალითად: "**დაგეძინა**?" "**მეცოტავება**"... ასეთი გამოთქმებისა და ფრაზების ასათვისებლად საკმაოდ ეფექტურია მასწავლებლისეული ყალიბ-გამოთქმები. მაგალითად:

- ყველას ჩაგირთავთ/გამოგირთავთ მიკროფონებს.
- მოიმარჯვეთ კალმები და ფურცლები...
- არ დაგავიწყდეთ... არ დაივიწყოთ...

თუ ყურადღებას მივაქცევთ ზემოთ აღნიშნული და მათი მსგავსი მაგალითები საკმაოდ რთულია ენობრივი თვალსაზრისით და ენის სწავლების მდინარებას თუ გავყვებით, საკმაოდ გვიან მოუწევდათ ბავშვებს ასეთი ფრაზების სწავლება, მაგრამ რეალურ სიტუაციებში მრავალჯერადი განმეორებით მათი ათვისება ძალდატანების გარეშე მოხდება.

ძალიან სასარგებლოა თითოფრაზიანი უკუკავშირის მიცემაც, როდესაც ბავშვები მუშაობენ. მაგალითად, ***ალიმ უკვე დახატა, ალინა ჯერ კიდევ ხატავს... რაუფი ხატავს, ნესტანი ხატავს, ნიკუშა ხატავს, აილინი ხატავს, გარი ხატავს... მანუშაკს ჯერ არ დაუხატავს...*** აქ იმ ფორმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც აქტუალურია ჩვენთვის. კერძოდ, აწმყოს მწკრივზე, წყვეტილსა თუ თურმეობითზე ანდა შეპირისპირებისა და კონტექსტის მიხედვით შინაარსის აღქმევინების მიზნით – სამივეზე.

რასაკვირველია, ასეთი ფრაზები და გამოთქმები, თუკი იგი დაგეგმილიცაა მასწავლებლის მიერ სასწავლო მიზნების კვალად და შესაბამისად, უფრო და უფრო გართულდება საშუალო საფეხურებზე. მაგალითად, ***მეცოტავება-გეცოტავება, შემოგესწავლებათ, გავისიგრძეგანოთ***...

ქვემოთ წარმოგიდგენთ ე. წ. ლაპარაკის უნარის განვითარების შვიდსაფეხურიან მოდელს, რომელიც მომზადებულია ინტერნეტპორტალ mastsavlebeli.ge-ს მიხედვით.

**ლაპარაკის სწავლების შვიდსაფეხურიან მოდელი**

1) ვაჩვენოთ სიტუაცია;
2) აღვწეროთ სიტუაცია;
3) კიდევ ერთხელ, უკვე მოსწავლეთა მონაწილეობით აღვწეროთ სიტუაცია;
4) გავითამაშოთ დიალოგი სიტუაციაში, როგორც მულტიფუნქციურმა მსახიობმა;
5) კიდევ ერთხელ გავითამაშოთ დიალოგები ამჯერად უკვე მოსწავლეთა ჩართულობით;
6) მოსწავლეებს დამოუკიდებლად გავათამაშებინოთ დამუშავებული სიტუაციური დიალოგები;
7) შევთავაზოთ მოსწავლეებს განსხვავებული სიტუაციური დიალოგების გათამაშება.

როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ განსხვავებული სიტუაცია? ამისთვის სამი გზა არსებობს:

I. დავტოვოთ იგივე კონტექსტი და შევცვალოთ მონაცემები (იმავე რანგის ან უფრო რთული მონაცემებით);

II. დავტოვოთ იგივე მონაცემები და შევცვალოთ კონტექსტი;

III. შევცვალოთ კონტექსტიც და მონაცემებიც.

მაგალითად, თუკი ჩვენი მიზანია გაყიდვის სიტუაციებში კომუნიკაციის დამყარება და პირველ ვარიანტად დავამუშავეთ/გავითამაშეთ სიტუაცია სურსათის მაღაზიაში, სადაც მალვინა ყიდულობს შოკოლადსა და წვენს, განსხვავებული სიტუაციები იქნება შემდეგი:

ა) მალვინა მაღაზიაში ყიდულობს პურსა და ნაყინს;

ბ) მალვინა შოკოლადსა და წვენს ყიდულობს კინოში;

გ) მალვინა ნაყინსა და პოპკორნს ყიდულობს კინოში.

**მოქმედება სიმულაციის ნაცვლად**

აქვე უნდა გავიხსენოთ ჩანაწერი, რომელიც შემოთავაზებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში: "**მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა** (action-oriented approach) ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას წარმოადგენს. განსხვავებით კომუნიკაციური მიდგომისაგან, რომელიც არსებითად ინფორმაციის გაცვლაზე იყო ორიენტირებული, ამ ახალ პარადიგმაში ენების სწავლა-სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება. თუკი კომუნიკაციური მიდგომის მთავარ საგაკვეთილო აქტივობას „სიმულაცია" წარმოადგენდა, ამ ახალი მიმართულების მიხედვით, პროექტული სწავლა-სწავლება პრიორიტეტული."

ამ კონტექსტში დიდი დატვირთვა ენიჭება კომპლექსური დავალებების შესრულებასა და მათ პრეზენტაციას. თუ განვიხილავთ ჩვენს სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ტიპური კომპლექსური დავალების პირობებს, ადვილად დავინახავთ, რომ ნებისმიერი ნამუშევრის (მიუხედავად იმისა, თუ რა უნარების კომპლექსურად ჩართულობას მოითხოვს იგი) პრეზენტაცია გულისხმობს მოსწავლეების ლაპარაკის კომპეტენციის განვითარებას.

თუ კარგად დავუკვირდებით ჩვენი სახელმძღვანელოს კომპლექსური დავალების პირობებს, დავინახავთ, რომ იქ მხოლოდ ინფორმაციის მოძიება, მისი ნამუშევარში გადატანა, გაფორმება და მომზადება კი არაა მთავარი, არამედ მასზე საუბარიც. მეტიც: მნიშვნელოვანია არამხოლოდ პროდუქტზე/ნამუშევარზე საუბარი, არამედ სამუშაო პროცესზეც ხმამაღალი რეფლექსია. რასაკვირველია, ასეთი საუბრების დროს გარკვეულწილად შეზღუდულები ვართ ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები, მაგრამ თითოეულ სიტყვას, ფრაზას წინადადებას განუზომლად მეტი ფასი აქვს, ვიდრე მშობლიურ ენაზე ექნებოდა. მთავარია მოსწავლე მთელი ქმედებით იყოს ჩართული როგორც ნამუშევრის შექმნაში, ასევე მის ქართულ ენაზევე წარდგენაში.

**მშობლიური ენის გამოყენების საკითხი**

ბოლოს უნდა შევეხოთ მოსწავლეებისთვის მათი მშობლიური ენების გამოყენების საკითხს საგაკვეთილო პროცესში. ეს საკითხი არ შეეხება მხოლოდ ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის სწავლებას, რადგან, საკმაოდ პრობლემატურია ნებისმიერი უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული...) სწავლების ტრადიცია.

ამ მიმართულებით საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა კი დავძენთ, რომ თუკი რაიმეს გასაგებინებლად მოსწავლის მშობლიური ენის გამოყენება გვჭირდება, ესე იგი იმის სწავლება ჯერ ნაადრევია და ენის რეალიზებაში მაინც არ ექნება სათანადო ეფექტი. უმთავრესი არის ქართულად ალაპარაკებული ბავშვი, მშობლიურ ენაზე გრამატიკული ნიუანსების ახსნის გარეშე.

**4) წერის უნარის განვითარება**

ყველა თავში შემოთავაზებულია ისეთი დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წერითმეტყველების უნარის განვითარებას. მათგან, ნაწილი ითვალისწინებს წერის, როგორც დამხმარე საშუალების გამოყენებას თუ ლექსიკური მარაგის განვითარების, თუ გრამატიკული საკითხების შესწავლის, თუ საკითხავი მასალის დამუშავების, თუ სხვა იმ მომენტისთვის კონკრეტული პრიორიტეტული მიზნებისთვის.

რაც მთავარია, სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს წერის, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარებას. საბაზო საფეხური უკვე ის ეტაპია, როდესაც ქართულის შემსწავლელი მოსწავლეები ამყარებენ იმ წერით საფუძვლებს, რომლებსაც დაეუფლნენ დაწყებით საფეხურზე. ასევე, ამ დროს უკვე ჟანრობრივ მრავალფეროვნებასაც მოსინჯავენ და თუკი დაბალ კლასებში მხოლოდ აღწერისა და შინაარსის გადმოცემაზე იყვნენ ორიენტირებულები, ამჯერად მოსინჯავენ ისეთი ნამუშევრების შექმნას, როგორიცაა დღიურის ჩანაწერი, ტექსტის ჟანრის ცვლილება და სხვ.

გთავაზობთ რამდენიმე სტრატეგია წერის უნარის განვითარებისთვის.

**ა) მოსწავლის პირადი დღიური**

ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაცია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის სარესურსო წიგნიდან დღიურების წერის შესახებ, რაც დამხმარე ეფექტური ინსტრუმენტი იქნება საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვისაც წერითი კომპეტენციის ჩამოყალიბების გზაზე.

**მეთოდის/აქტივობის შესახებ**

დღიური წერას ზოგ ქვეყანაში წერის სწავლების წამყვან საშუალებადაც კი იყენებენ. იგი კარგი ინსტრუმენტია წერის შედარებით ფორმალიზებულ საფეხურზე (მაგალითად, წერის ხუთსაფეხურიან მოდელზე ან, თუნდაც, ესეების, თხზულებების წერაზე) გადასასვლელად.

**ამ აქტივობის სისტემატური გამოყენებით მოსწავლე:**

- იწაფება წერასა და კითხვაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე/უცხოური ენის შესწავლისას;
- ითვისებს გრამატიკულ ნორმებს და იწაფება მართლწერაში;
- იძენს თავდაჯერებულობასა და გაბედულებას წერისას;
- ეძლევა თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნებისა და რეფლექსიის საშუალება;
- უკეთ ხედავს და აცნობიერებს საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს.

**მსვლელობა**

- მოსწავლე დღიურისათვის საკუთარი გემოვნებით შეარჩევს რვეულს ან ბლოკნოტს;
- იგი დღიურში წერს იმაზე, რაც აინტერესებს და რაზეც სურს წერა. იშვიათ შემთხვევაში მასწავლებელი დიდი სიფრთხილით შესთავაზებს მას საწერ თემას;
- მოსწავლეები დღიურში ჩანაწერს აკეთებენ ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე მაინც. მნიშვნელოვანია არა ჩანაწერის მოცულობა, არამედ სისტემატურობა;
- დღიურის წერის დასაწყებად საკმარისი არაა მხოლოდ ინსტრუქცია. მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს მოდელირება – უნდა გააკეთოს რამდენიმე ჩანაწერი და ხმამაღლა წაუკითხოს მოსწავლეებს. ასეთი მოდელირება სჭირდება ყველას, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, რადგან სიმორცხვის დაძლევისა და სისტემურობის გამომუშავება ამ ასაკში მეტად მნიშვნელოვანია;
- მოსწავლეები თავიანთ ჩანაწერებს აფორმებენ ნახატებით, ორნამენტებით, სტიკერებით.
- ყველა ჩანაწერს უთითებენ თარიღს;

- მასწავლებელი მსურველებს აძლევს საშუალებას, თავიანთი დღიურის ჩანაწერები წაუკითხონ კლასს ან რომელიმე მოსწავლეს (სურვილისამებრ);
- მასწავლებელი პერიოდულად აგროვებს დღიურებს და შიგ ჩაწერს ან ჩააკრავს განმავითარებელ, წამახალისებელ კომენტარებს;
- წერილობითი თუ ზეპირი უკუკავშირისას მასწავლებელი ყურადღებას ძირითადად ამახვილებს ჩანაწერების შინაარსზე და არა წერის ტექნიკურ და ფორმალურ მხარეებზე;
- კომენტარები მხოლოდ განმავითარებელი, წამახალისებელი უნდა იყოს. დაუშვებელია ნიშნების ან სხვა სახის განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
- ჩასწორებების შემდეგ მოსწავლე ხელახლა კითხულობს თავის ნაწერს, რათა გაეცნოს მასწავლებლის შენიშვნებს, შესწორებებს და შემდგომში გაითვალისწინოს.

შენიშვნა: მოსწავლის დღიურში შეცდომების გასწორება მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესწორებებით აჭრელებული ჩანაწერი მოსწავლეს უკარგავს მოტივაციას, ან მისი ყურადღება წერის ტექნიკურ ასპექტებზე გადააქვს;

შესაძლებელია საკლასო ოთახში გამოიყოს საგანგებო ადგილი (კარადის თარო, უჯრა), სადაც მოსწავლეები პერიოდულად დააწყობენ დღიურებს, იმ შემთხვევაში, თუ სურთ კლასელებისთვის საკუთარი ნააზრევის, ემოციის გაზიარება.

**შესაძლო თემები პირადი დღიურის ჩანაწერებისთვის**

- ჩემი მეგობარი
- ასეთი რამ არასოდეს განმიცდია
- მინდა გითხრათ, რომ
- რა მწყინს, რა მიხარია
- როგორ ველოდი ამ დღეს
- არაფერი გამოვიდა
- რატომ ვერ ხვდებიან
- მინდა მყავდეს
- არასოდეს დამავიწყდება
- ახლოვდება ზაფხული
- როცა წვიმს
- ყველაზე მეტად მიყვარს
- მე გირჩევთ

**ბ) დაწერე მოთხრობა**

კიდევ ერთი საინტერესო ინსტრუმენტს გთავაზობთ შემოქმედებითი წერის უნარის განვითარებისთვის, რომელსაც კარგად უნდა იცნობდნენ ჩვენი მასწავლებლები. ეს ონლაინინსტრუმენტი მოსწავლეებს დაეხმარება სხვადასხვა ჟანრში მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობები.

***როგორ მუშაობს პროგრამა?***

საიტზე: http://kargiskola.ge/dawere/ შესვლისას გაიგონებთ ჩიტების სასიამოვნო ჭიკჭიკს და ნახავთ შესვლის ღილაკს:



შესვლის შემდეგ აღმოჩნდებით სამი ყუთის სივრცეში, სადაც პირველი ყუთიდან აარჩევ პერსონაჟს, მეორე ყუთიდან აარჩევ ამ პერსონაჟის თვისება, მესამე ყუთიდან კი – პრობლემას, რომელიც ამ პერსონაჟმა უნდა დაძლიოს.




შეგიძლია რამდენიმეჯერ შეცვალო სამივე მათგანი და შენთვის სასურველი შეარჩიო. ფოტოზე გამოსახულია ამის ნიმუში: დირექტორი, რომელსაც კარუსელზე დაჯდომის ეშინია და რომელსაც ყვავმა საფულე გამოსტაცა.

წითელ ისარზე დაწკაპებით გადახვალ შემდეგ სივრცეში, სადაც შეგიძლია ამოირჩიო სასურველი ჟანრი: წერილი, მოთხრობა/ზღაპარი, დღიური თუ სტატია.




ჩვენ მაგალითისთვის შევარჩიეთ მოთხრობა/ზღაპარი:



ისევ დავაჭირეთ წითელ ისარს და ნახეთ რა გამოგვივიდა... მართალია, დასრულებული არაა, მაგრამ მაინც საინტერესოა:



მუშაობის დროს შეგიძლია სხვადასხვა ზომისა და ფერის შრიფტის გამოყენება, ნახატის ჩახატვა ან სურათის ატვირთვა-ჩამატება და ბოლოს, როდესაც დაასრულებ, შენახვაც:



## დირექტორი და ვანო

ერთ ქალაქში ერთი დირექტორი ცხოვრობდა. არავინ არ იცოდა რისი დირექტორი იყო, მაგრამ სულ ასე ამბობდა, მე დირექტორი ვარ, მე დირექტორი ვარო...

დილით შევხდებოდა მეექვსეკლასელი ვანო და ესალმებოდა:

— დილა მშვიდობისა!

ხოლო დირექტორი ეტყოდა:

— მე უნდა მითხრა: "დილა მშიდობისა, პატივცემულო დირექტორო!"

— დილა მშვიდობისა, პატივცემულო დირექტორო! — იმეორებდა ვანო...

ერთხელ დირექტორი გამოვიდა თავისი სახლიდან და ვანო დაინახა:

— დილა მშვიდობისა, პატივცემულო დირექტორო! დღეს სკოლიდან ზოოპარკში მივდივართ და წამოხვალთ ჩვენთან ერთად? — ჰკითხა ვანომ მისალმების შემდეგ.

დირექტორს იმ დღეს საქმე არაფერი ჰქონდა და გაუხარდა ზოოპარკში წასვლა. თან იფიქრა, ბავშვებს ნაყინზე დავპატიჟებო... სახლში ავიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა, თავისი საფულე აიღო და ზოოპარკისკენ წავიდა.

ზოოპარკში რომ მივიდა, ვანი და მისი კლასელები დაინახა, სალაროსთან მივიდა და საფულე ამოიღო. უცებ, სად იყო და სად არა, ყვავი მოფრინდა, დააცხრა დირექტორის საფულეს და ჰაერში აიჭრა.

ამ პლატფორმაზე წერითი ნამუშევრების შექმნისას ბავშვები გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ჩამოუყალიბდებათ ამბის შეთხზვისა და გადმოცემის უნარი. კარგი იქნება, თუ მას გამოვიყენებთ კომპლექსური დავალების ფორმატში და მოსწავლეებს შევთავაზებთ ზეპირ პრეზენტაციებსაც და დავუსვამთ რეფლექსიური ხასიათის შეკითხვებსაც:

- როგორ დაიწყეს მუშაობა? როგორ შეარჩიე პერსონაჟი, თვისება და პრობლემა?
- რატომ შეარჩიეს ესა თუ ის ჟანრი?
- როგორ წარმართეს დაწერის პროცესი? (წინასწარ მოიფიქრეს თუ არა იდეები, დაწერეს თუ არა შავი ვარიანტი და შესწორებების შეტანის შემდეგ როგორ მიიღეს საბოლოო ვარიანტი და სხვ.)

**დამატებითი რეკომენდაციები ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის წერის სწავლების მიზნით** (საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიხედვით)

- ქართულის როგორც მეორე ენის მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს ის ფაქტორი, რომ მოსწავლეს გამომუშავებული აქვს მშობლიურ ენაზე წერის უნარი. შესაბამისად, ქართულ ენაზე წერის შესწავლისას მოსწავლეებს წერის სწავლის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვთ. ამ გამოცდილებას ისინი აუცილებლად გამოიყენებენ ქართულად წერის დროსაც.
- სასურველია, ქართულად და მშობლიურ ენაზე წერის სწავლება წარიმართოს ერთგვაროვანი მიდგომებითა და მეთოდებით. მეორე ენაზე წერის შედეგების გასაზრდელად უნდა ვიმუშაოთ ზეპირმეტყველების უნარების განმტკიცებითა და ლექსიკური მარაგის მეტად და მეტად გამდიდრებით. ამის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს გრამატიკული საკითხების სათანადო და არამომაბეზრებელი დამუშავება.
- საჭიროა წერის სწავლების კონტექსტუალიზაცია და მისი ავთენტურ შინაარსზე მორგება. ამისთვის გასათვალისწინებელია რამდენიმე რჩევა:
- მოსწავლე წერის პროცესში თავს უნდა გრძნობდეს კომფორტულად, როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური (შეაქებენ, მოუწონებენ...) თვალსაზრისით.
- მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რას წერს და რისთვის წერს.
- წერის აქტივობა ინტეგრირებული უნდა იყოს სხვა ენობრივი მიმართულებების სწავლებასთან.
- ყურადღება გავამახვილოთ არა შეცდომებზე, არამედ წერის დროს გამოვლენილ ძალისხმევასა და შედეგზე;
- დავაფიქსიროთ შეცდომები არა ხაზგასასმელად და კრიტიკული შენიშვნების მისაცემად, არამედ მომავალში მათი აღმოფხვრისთვის საჭირო აქტივობების დასაგეგმად. გასათვალისწინებელია, რომ მეორე ენაზე შეცდომების გამოსწორება ვერ მოხერხდება გარკვეული ენობრივი გამოცდილების დაგროვების გარეშე, რაც, შესაძლოა, წლების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. ამიტომ უნდა მივეჩვიოთ წერის დროს დაშვებული ზოგიერთი შეცდომის საერთოდაც უგულებელყოფას.

**5) ლექსიკის სწავლება**

როგორც ვიცით, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი – იქნება იგი შემოფარგლული მხოლოდ სალექსიკონო რვეულებში სიტყვების ჩაწერითა და მათზე მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე განმარტებების მიწერით, თუ დატვირთული იქნება მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით.

რა უნდა გავითვალისწინოთ ლექსიკის სწავლებისას? უპირველესად, ლექსიკური თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ის ტექსტები, რომლებსაც ვიყენებთ მოსწავლეებთან. რასაკვირველია, სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შერჩეული და შექმნილია ისეთი ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მეათე კლასელების მზაობასა და ინტერესებს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს გამოყენებისას მასწავლებლის მიერ წარმართულ აქტივობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

კონკრეტულ კლასში გადაწყვეტილება მასწავლებელმა უნდა მიიღოს და დაგეგმოს თავისი მოსწავლეებისთვის საჭირო ქმედებები. მაგალითად, თუკი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ტექსტში გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა შესაძლოა ძნელი გასაგები აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის, მაშინ იგი დამატებით ამ სიტყვაზეც გაამახვილებს ყურადღებას. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ტექსტის წაკითხვამდე (ან თუკი ვასმენინებთ – მოსმენამდე), ასევე ტექსტის წაკითხვის პროცესში

და წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია სიტყვებზე მუშაობის სხვადასხვაგვარი ფორმატი. მათგან ზოგი ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე ხორციელდება, ზოგიერთი წაკითხვისა და მოსმენის (ცოტა რთულია ეს ამოცანა) დროს, ხოლო ზოგჯერ წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც ითვალისწინებს მოსწავლეების კონცენტრაციას.

ქვემოთ შემოთავაზებულია ის ეფექტური მეთოდები, რომელთა უმრავლესობა სახელმძღვანელოშიცაა ჩანერგილი სხვადასხვა ადგილას. დაწვრილებით ამ და სხვა მეთოდების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ შექმნილ კრებულში „კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“, თბ. 2015.

**როგორ შევარჩიოთ სიტყვები, რომლებსაც სათანადო ყურადღებას დავუთმობთ?**

მართლაც არ ღირს ყველა სიტყვა იმად, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გაკვეთილებზე. რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სიტყვებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ?

უპირველესად, განვსაზღვროთ, რას ნიშნავს მნიშვნელოვანი სიტყვები ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის სწავლებისას. უპირველესად, ეს არის ის სიტყვები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული სიტუაციის ან კონკრეტული ტექსტის გასააზრებლად. ზოგჯერ ასეთ სიტყვებს „საკვანძო სიტყვები“ შეიძლება ვუწოდოთ. ასეთ სიტყვებს მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და მოსწავლეებს სხვადასხვა კონტექსტში გაააზრებინოს და გამოაყენებინოს.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელს გააზრებული ექნება სიტყვების კატეგორიები მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. ენაში არსებობს შედარებით ხშირად გამოყენებული, ნაკლები სიხშირით გამოყენებული და იშვიათად ხმარებული სიტყვები. რომელი კატეგორიის სიტყვებს უნდა მიაქციოს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება? რასაკვირველია, ე. წ. ხშირ სიტყვებს.

თავისთავად ცხადია, რომ „კვადრატი“, „ზრდილობა“ და „მიზანი“ხშირი სიტყვებია და ამ რიგის სიტყვების ცოდნა მეათეკლასელი მოსწავლეებისთვის აუცილებელი და პრიორიტეტულია; „სავარაუდო“, „მომარაგება“ და „განცვიფრება“ ნაკლები სიხშირით ხმარებული სიტყვებია; „როყიო“, „ამაგი“ და „სიჩაუქე“ კი იშვიათად ხმარებული სიტყვებია.

სიტყვების შერჩევისას და მათზე ყურადღების გამახვილებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ დონეზეა მოსწავლე. მაგალითად, დამწყებ დონეზე (A1 დონე) მყოფი მოსწავლისთვის ყურადღება ე. წ. ხშირ სიტყვებზე უნდა გავამახვილოთ. A2 დონეზე შეიძლება ვიმუშაოთ ნაკლები სიხშირით გამოყენებულ სიტყვებზეც, ხოლო იშვიათად ხმარებულ სიტყვებზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ B1, C1 და C2 დონეებზე ეგების. ყურადღება მიაქციეთ ბოლო სიტყვას წინა წინადადებაში: „ეგების“ რომელი კატეგორიის სიტყვაა? რასაკვირველია, იგი იშვიათად გამოყენებული სიტყვაა და მას ჩვენ არც კი გამოვიყენებთ A1 და A2 დონეებზე მყოფ მოსწავლეებთან. შესაბამისად, თუკი მეათეკლასელებთან ჩვენ უკვე B1-B2 დონეზე ვმუშაობთ, უკვე დაგვჭირდება ქართულში იშვიათად ხმარებულ სიტყვებზე აქცენტირებაც, კონკრეტული სასწავლო თემატიკის ფარგლებში, რასაკვირველია.

აქვე გთავაზობთ ქართული ენის ყველაზე ხშირი სიტყვების ჯიპრაიდისეულ ვერსიას, რომლის ონლაინ ამოსაბეჭდი ვერსიაც გაზიარებული USAID საბაზისო განათლების პროგრამის მიერ: shorturl.at/lzSW4

**ხშირი სიტყვების სია**

და, არ, რა, რომ, მე, პატარა, არც, კი, იყო, ძალიან, ერთხელ, ის, დაინახა, მერე, სულ, ერთი,

არა, დიდი, თუ, ისევ, დედა, ბიჭი, არის, იცი, უცებ, როგორ, მაგრამ, უნდა, ხარ, ხე, მოდის, აქვს, ეზო, აღარ, ეს, ვარ, ხოჭო, აცვია, ამ, კარგი, აბა, შენ, ერთ, ვერ, მალე, ხომ, უფრო, თქვა, ბებია, დღეს, ხმა, ჰკითხა, ახლა, ვინ, აი, ისე, ბოლოს, მამა, რას, აქ, თავისი, ჩემი, უპასუხა, წყალი, კარგად, მოდი, ხან, იქ, რაც, შენი, კიდევ, ერთად, მას, მივიდა, ნუ, ბევრი, რატომ, ორი, ჩვენ, გზა, მაქვს, წავიდა, ჩემს, დროს, მეორე, კაცი, ან, იქით, აქეთ, ღრუბელი, თავი, სპილო, პური, პაპა, ყველა, ლამაზი, გული, სად, ტყე, ჯერ, ნაძვი, მინდა, ცივა, ცხელა, როცა, ასე, შინ, წვიმა, კატა, ხელი, მზე, ყველი, უთხრა, მეც, შემდეგ, თურმე, ცხოვრობს, ფერადი, მხოლოდ, დილა, თვალი, ყველაზე, იგი, სიტყვა, წინადადება, ეგ, როგორი, იმიტომ, ბაბუა, შემოდგომა, თქვენი, ცოდნა, პირველი, რომელი, შესახებ, მიერ, გინდა, რამდენი, მათ, შენც, ფოთოლი, ტექსტი, ამის, შავი, ზღაპარი, რის, ტკბილი, შვილი, ხილი, მისი, ვის, სხვა, კვლავ, ამოიღო, მოთხრობა, ოქრო, როდის, იდგა, ქუდი, იპოვა, თან, ჰქვია, იმ, მაინც, იცინის, გაიქცა, რაღაც, ქვეშ, ჭრელი, ნახე, ცოტა, მთვარე, ამიტომ, ჩიტი, ჩვენი, მთელი, მაშინ, ასეთი, პეპელა, ახალი, ძველი, საღამო, თაგვი, ყვავილი, კუდი, თამაშობს, ქოლგა, შეიძლება, სახლი, მაგიდა, სკამი, ფეხი, მარტო, აკეთებს, სადაც, მეგობარი, კედელი, ალბათ.

**როგორ შევაფასოთ ტექსტები ლექსიკური თვალსაზრისით?**

ჩვენ ტექსტებს სასწავლო სიტუაციისთვის ვიყენებთ ხოლმე. თუმცა მოსწავლეებისთვის ტექსტების შერჩევა გვჭირდება დამოუკიდებელი კითხვის მიზნითაც. რასაკვირველია, სასწავლო სიტუაციისთვის შედარებით „რთული“ ტექსტებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ და შემდეგ ჩვენ დავეხმაროთ ამ სასწავლო სირთულეების დაძლევაში, მაგრამ დამოუკიდებელი კითხვისთვის ჩვენი დახმარება შეუძლებელი იქნება.

ტექსტების სირთულის გაზომვის მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ ე. წ. „ხუთი თითის წესი“, რაც გულისხმობს შემდეგს: ავიღებთ ტექსტს და ვკითხულობთ პირველ გვერდზე. თითო თითს მოვკეცავთ იმ შემთხვევაში, თუკი შეგვხვდება ისეთი სიტყვა, რომელიც ჩვენს მოსწავლეს არ ეცოდინება. თუკი ერთ გვერდზე ასეთი სიტყვების რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, მაშინ ასეთი ტექსტის მიწოდება მისაღებია ჩვენი მოსწავლეებისთვის. ხოლო თუკი უცნობი სიტყვების რაოდენობა ერთ გვერდზე ხუთს აღემატება, მაშინ ასეთი ტექსტის გამოყენება არაა რეკომენდებული.

რასაკვირველია, ხუთი სიტყვა საშუალო მაჩვენებელია და თუკი ტექსტს ვიყენებთ სასწავლო სიტუაციაში, რაც გულისხმობს მასწავლებლის დახმარებას საჭირო მომენტში, შესაძლოა, ვისარგებლოთ ისეთი ტექსტითაც, რომელშიც ხუთზე მეტი სიტყვა იქნება უცნობი. ოღონდ ეს რაოდენობა მკვეთრად ვეღარ გაიზრდება.

ამ მიმართულებით უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტიც. ზოგჯერ, შესაძლოა აღემატებოდეს კიდე უცნობ სიტყვათა რაოდენობა პედაგოგიკურად დასაშვებ ზღვარს, მაგრამ მასწავლებელმა  მაინც გადაწყვიტოს მისი სასწავლო პროცესში გამოყენება, თუკი ეს ტექსტი წარმოადგენს მოსწავლეთათვის მშობლიურ ენაზე უკვე ნაცნობ ტექსტს ან კონტექსტს. მაგალითად, თუკი ქართულ ენაზე ვთავაზობთ საყოველთაოდ გავრცელებულ რომელიმე მსოფლიო კლასიკურ ნაწარმოების ფრაგმენტებს ან საყოველთაოდ ცნობილ რომელიმე ისტორიულ მოვლენას ან ხელოვნების ნიმუშს და სხვ. ცხადია, ეს „გადაჭარბებაც“ უნდა ჯდებოდეს გონივრულობის ფარგლებში, რასაც, გავიმეორებთ, მასწავლებელი შეაფასებს ყველაზე უკეთ.

**როგორ ვიმუშაოთ უცნობი სიტყვების განმარტებაზე?**

ხშირად სვამენ მასწავლებლები შეკითხვას, თუ როდის უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში; არის მეორე საკითხიც, როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში. ჯერ პირველ შეკითხვას ვუპასუხოთ, შემდეგ – მეორეს.

მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში შეიძლება დავეხმაროთ ნებისმიერ დროს – იქნება ეს ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის პროცესში თუ ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ. უკეთ რომ ვთქვათ, მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ სამივე ფორმატის დახმარებას. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული ფორმატი.

მასწავლებლის მიერ დასამუშავებელი ტექსტის წინასწარი შეფასება და მომზადება გულის ხმობს მასში ისეთი სიტყვების გამოკვეთასაც, რომლებიც მოსწავლეებისთვის სავარაუდოდ უცნობი იქნება. ამავე ეტაპზე კარგია, თუ შერჩეულ სიტყვებში მოვნიშნავთ ისეთებსაც, რომლებსაც მოსწავლეებს წინასწარ, ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე განვუმარტავთ. ეს გაუადვილებს მათ ტექსტის გაგებას. რასაკვირველია, შეიძლება დავტოვოთ ზოგიერთი სიტყვა, რომლებსაც მივანდობთ მოსწავლეებს, რათა მათ მათი ამოცნობა მოახერხონ კონტექსტური გასაღებების (ილუსტრაცია, თემატური კონტექსტი, აბზაცისა და წინადადების კონტექსტი...) დახმარებით. რასაკვირველია, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ მათზე უნდა გამახვილდეს სათანადო ყურადღება.

**ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ორიენტირებული ზოგიერთი მეთოდი/სტრატეგია**

**ა) სიტყვის პირამიდა**

სქემას აქვს სამკუთხედის ფორმა, რომლის პირველ, ზედა ზოლში იწერება სიტყვა, რომელზეც გვინდა ყურადღების გამახვილება, რომელიც ხანგრძლივად და ღრმად უნდა დარჩეს მოსწავლის გონებაში. მეორე ზოლში იწერება ამ სიტყვის განმარტება. მოსწავლეებმა თავიანთი სიტყვებით უნდა ახსნან ამ სიტყვის მნიშვნელობა. ცხადია, ეს ახსნა არ და ვერ იქნება სრულფასოვანი, შესაძლოა, ზოგჯერ უზუსტობაც გაიპაროს, მაგრამ მთავარია, მოსწავლე ცდილობდეს ამ სიტყვის მნიშვნელობის გადმოცემას სხვა, მისთვის ნაცნობი სიტყვებით. აგრეთვე, მოსწავლეები წარმოაჩენენ თავიანთ შემოქმედებით, ორიგინალურ ხედვასაც, რაც, შესაძლოა, მეტად საინტერესო და სახალისოც აღმოჩნდეს. მესამე ზოლში ჩაიწერება წინადადება, რომელშიც მოსწავლე გამოიყენებს ამ სიტყვას.

**ვარიაცია 1:** როდესაც ტექსტზე ვამუშავებთ, შესაძლოა, მასწავლებელმა ოთხდონიანი პირამიდა შესთავაზოს ბავშვებს და წინადადების მოფიქრებამდე იმ წინადადების ამოწერა მოსთხოვოს ტექსტიდან, რომელშიც ეს სიტყვაა გამოყენებული. ანუ ზემოდან მესამე ზოლში ტექსტის წინადადება იქნება ამ სიტყვის გამოყენებით, ხოლო მეოთხე, ქვედა ზოლში – უკვე ბავშვების მიერ მოფიქრებული წინადადება, ცხადია, ამ სიტყვის გამოყენებით.

**ვარიაცია 2.** შესაძლოა, მასწავლებელმა მოსწავლეებს ან მოსწავლეთა ნაწილს მეორე ზოლში განმარტების ნაცვლად შესთავაზოს სიტყვის შესაბამისი ილუსტრაციის ჩახატვა. ან მოსწავლე თვითონ აირჩევს, განმარტება ჩაწეროს, თუ ილუსტრაცია ჩახატოს. ცხადია, მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მის მიერ მოფიქრებული, ალტერნატიული ვერსია.












**ბ) ფრეიერის სქემა**

(ასეთი სქემების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ მომზადებულ წიგნში, რომელიც განთავსებულია პორტალზე „კარგი სკოლა“ **kargiskola.ge**)






**გ) სიტყვის (ცნების) რუკის ვარიანტი**







**დ) დაკარგული სიტყვები**

(გამოყენებულია პორტალის mastsavlebeli.ge სტატია)

ერთ-ერთი სასარგებლო, გავრცელებული და კომპლექსური სტრატეგია ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე სამუშაოდ არის ე. წ. დაკარგული სიტყვები. იგი ავითარებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის უნარს, ხელს უწყობს წაკითხული ტექსტის გააზრებას. ამ აქტივობის დროს მასწავლებელი ტექსტში გამოტოვებს სიტყვებს და ისე ურიგებს მოსწავლეებს. მოსწავლეებმა კი უნდა "იპოვონ", მიხვდნენ და შეავსონ ტექსტი, გამოტოვებულ ადგილებზე ჩაწერონ "დაკარგული" სიტყვები.

ამ მეთოდის გამოყენება სასარგებლოა ტექსტის წაკითხვის ფაზაზე, შესაძლოა, იგი შევთავაზოთ წაკითხვის შემდეგაც. მთავარია, აქტივობის დროს გამოყენებული ტექსტი შერჩეული უნდა იყოს სწორედ მოსწავლეთა მზაობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ამ მეთოდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს და გთავაზობთ ყველა შესაძლო მათგანს, რისთვისაც გამოვიყენებთ ჩვენს სახელმძღვანელოში  გამოყენებულ ტექსტებს. სანამ თითოეული ვარიანტის ახსნა-განმარტებას წაიკითხავთ, ჯერ დაუკვირდით თითოეულ ნიმუშს, თუ რა პრინციპია გამოყენებული სიტყვების “დასაკარგად”, ამის შემდეგ გაეცანით ვარიანტის განმარტებას.

**I ნიმუში:** *რომელმა ბავშვმა არ იცის, რა არის ---------------------- ან კარტოფილი, შოკოლადი ან მზესუმზირა? იცნობ ------------------- ბავშვს? არადა, საქართველოში, კავკასიაში და საერთოდ, ------------- ევროპასა და აზიაში იყო დრო, როცა --------------------- იცოდა შოკოლადის, შემწვარი კარტოფილის, მოხარშული სიმინდის, --------------------- მზესუმზირასი, პამიდვრის, ლობიოსა და გოგრის გემო.*

აქ გამოტოვებულია ყოველი მეშვიდე სიტყვა (პამიდორი, ასეთ, მთელ, არავინ, მოხალული) თუკი მოსწავლეთა მზაობის მიხედვით მასწავლებელს უფრო გართულება სურს დავალების და ტექსტიც იძლევა ამის საშუალებას, შეიძლება ყოველი მეექვსე სიტყვა ამოიღოს. ასე გართულებულ დავალებას მოსწავლეთა რომელიმე ჯგუფს შევთავაზებთ და ამ მიდგომას სწავლების დიფერენცირებითვის გამოვიყენებთ. აქვე დავამატოთ, რომ შესაძლებელია „დაკარგული“ სიტყვები არეული თანმიმდევრობით შევთავაზოთ მოსწავლეებს, შეიძლება, არც შევთავაზოთ.

**II ნიმუში:** *იმ დროს ევროპასა და აზიაში ჯერ -------------------- (**ყველა/არავინ**) ეწეოდა სიგარეტს (და ძალიანაც კარგი!); არავინ ------------------- (**უმატებდა/აკლებდა**) ვანილს ნამცხვარში; არავის ჰყავდა ინდაური და (**მდიდრებს/არავის**) ჰქონდა ჰამაკი. არც ანანასი იცოდა ვინმემ, -------------- (**რა/ვინ**) იყო.* რატომ არ იცოდნენ? იმიტომ, რომ ---------------------(**მზე/მზესუმზირა**), კაკაო, კარტოფილი, სიმინდი, პამიდორი, ლობიო, გოგრა, -------------------(**თამბაქო/სიგარეტი**) და ანანასი აქ არ იზრდებოდა.

აქაც ყოველი მეშვიდე სიტყვაა გამოტოვებული, ოღონდ ფრჩხილებში შეთავაზებულია სიტყვათა წყვილი, რომელთაგან მოსწავლე შეარჩევს საჭირო მათგანს. ამ პრინციპით აგებული სავარჯიშო პირველ ნიმუშთან შედარებით ადვილად შესასრულებელია და მოსწავლეებს ნაკლები ძალისხმევა დასჭირდებათ. თუმცა, დავიმახსოვროთ, რომ „დაკარგულ სიტყვებზე“ მუშაობისას არა იმდენად სიტყვების სწორად შერჩევაა მთავარი, რამდენადაც საკუთარი არჩევანის გაკეთებაზე თვალის მიდევნება და ამ კოგნიტური პროცესის ხმამაღლა გადმოცემა, გასიტყვება.

**III ნიმუში:** *მთელ ევროპასა და აზიაში არავინ ------------------- ვანილის გემო, ჰამაკის გაკეთება. არავის ----------------- ინდაური. აბა, სადაური ფრინველია ინდაური? სადაური მცენარეებია კარტოფილი, პამიდორი, ლობიო, სიმინდი, კაკაო, თამბაქო, ანანასი და ვანილი? სად -------------------- ადამიანებმა პირველად ჰამაკი? საიდან ------------------- ეს ყველაფერი ევროპასა და აზიაში? ეს ყველაფერი ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკიდან -------------------.*

აქ სხვა პრინციპითაა გამოტოვებული სიტყვები. ესენია: **იცოდა, ჰყავდა, გააკეთეს, მოვიდა** (2ჯერ). ანუ ერთგვაროვანი სიტყვებია გამოტოვებული, მიუხედავად იმისა, თუ სადაა ტექსტში განთავსებული ეს სიტყვა. ასეთი მიდგომა ამ მეთოდისადმი განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც მასწავლებლები ერთი ტექსტის ფარგლებში აქცენტს აკეთებენ ერთი რიგის (მაგალითად, ზმნიზედებზე, ზედსართავებზე, ამ შემთხვევაში ზმნებზე და ა. შ.) სიტყვებზე.

**IV ნიმუში:** *ჰამაკის გაკეთება ინდიელებმა ------------------- (**ისწავლეს/ასწავლიან/ასწავლეს**) ევროპელებს. ინდიელებმა ----------------------- (**ანახეს/ნახავენ/ნახონ**) ევროპელებს პირველად ინდაური. ეს სახელიც ამიტომ ------------------------- (**არქმევენ/ჰქვია/დაარქვეს**) – შეადარე:*

*ინდიელი, ინდაური. ინდიელებმა ------------------------ (**ისწავლეს/ასწავლეს/ სწავლობენ**) ევროპელებს ასევე კარტოფილის, პამიდვრის, ლობიოს, სიმინდის, გოგრის, მზესუმზირასა და თამბაქოს მოყვანა. ძველმა მოგზაურებმა ამერიკიდან ევროპამდე გემებით -------------------- (**მოაქვთ/ მოიტანეს/მოიტანენ**) ამ მცენარეების თესლები და შემდეგ ისინი ნელ-ნელა --------------------- (**ვრცელდება/გავრცელდა/გაავრცელებენ**) აზიურ ქვეყნებშიც.*

აქაც ერთგვაროვანი სიტყვებია, აქაც ზმნები, გამოტოვებული, ოღონდ ფრჩხილებში შეთავაზებულია არა სიტყვათა წყვილები, არამედ სამეულები და სწორი ვარიანტი მოსწავლემ სამი ზმნური ფორმიდან უნდა აარჩიოს. შეამჩნევდით, რომ ზოგიერთ ადგილზე შესაძლოა ჩაისვას არამხოლოდ ერთი მათგანი, არამედ ორიც კი. ასეთი მომენტების პრეზენტაციის დროს განხილვა და სათანადო დასკვნის გაკეთება მოსწავლეების ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის უნარის განვითარების გარდა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გაღრმავებასაც უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტული ნიმუშით მასწავლებელი ცდილობს ზმნების სათანადო ფორმის შერჩევაში გაწაფოს მოსწავლეები, თუმცა, შესაძლებელი იყო განსხვავებული მნიშვნელობის ზმნებიდანაც (მაგალითად, **ასწავლეს/გაუგზავნეს/ ურჩიეს**) ამოერჩიათ საჭირო მათგანი. ამას მასწავლებელი გადაწყვეტს საკუთარი საკლასო საჭიროებებიდან გამომდინარე.

**IV ნიმუში:** ამ მოვლენების გამო ყველა --------------------- (**ქვეყანას/ქვეყნის**) სამზარეულო შეიცვალა: ჩვენ ახლა გვაქვს მზესუმზირას ზეთი, პამიდვრის სალათა, ---------------------- (**ბავშვების/ ბავშვები**) საყვარელი შემწვარი კარტოფილი, სხვა ათასი კერძი --------------------- (**პამიდვრითა/პამიდვრისა**) და კარტოფილით, ლობიო, სიმინდი, გოგრა და კაკაო. მაგრამ მე-15 საუკუნემდე ევროპაში არავინ იცოდა ამ --------------------------- (**მცენარეებს/მცენარეების**) შესახებ. ამერიკული მცენარეების ევროპაში ------------------- (მოგზაურობის/მოგზაურობას) ისტორია 1492 წლიდან იწყება. კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში ეს მცენარეები კიდევ უფრო გვიან – მე-19 საუკუნეში გამოჩნდა. ორასი წელიც არაა, რაც საქართველოში კარტოფილს, -------------------------- (პამიდორი/პამიდორს) და სხვა ამერიკული მცენარეების ----------------------------- (ნაყოფის/ნაყოფს) ჭამენ.

ამ ვარიანტშიც ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაა შემოთავაზებული. ეს ვერსია, ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შემსწავლელებისთვის სასარგებლო და არცთუ ადვილი ამოცანა იქნება, რადგან ასეთი საჭიროებები არათუ მეათეკლასელ მოსწავლეებთან, არამედ უფრო მაღალ კლასებშიც იჩენს ხოლმე თავს. მასწავლებელი გადაწყვეტს ორი ფორმა შესთავაზოს მოსწავლეებს თუ – სამი. შესაძლოა, სამი ფორმის შეთავაზება დიფერენცირებული სწავლების მიზნებისთვისაც გამოიყენოს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეული ზემოთ განხილული ვარიანტის პრეზენტაციისას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იმსჯელონ შემდეგი შეკითხვების მიხედვით:

- როგორ ამოიცანი საჭირო სიტყვა?
- იყო თუ არა ეს სიტყვა შენი პირველივე ვარიანტი?
- ხომ არ გქონდა ალტერნატიული ვერსია?
- რა დაგეხმარა სიტყვათა შემოთავაზებული წყვილიდან/სამეულიდან სასურველის შერჩევაში.
- შეიძლება თუ არა შენ მიერ შერჩეული სიტყვის გარდა სხვა სიტყვა გამოვიყენოთ იმავე ადგილას?..

**ე) მოსწავლის სალექსიკონო რვეული**

ჩვენი მე-5 კლასის სახელმძღვანელოში ერთი ასეთი დავალება იყო სავარჯიშოების რვეულის პირველივე თავში:

*შექმენი ილუსტრირებული ლექსიკონი – ჩამოწერე ის ახალი სიტყვები, რომლებიც ამ თავში ისწავლე. სიტყვების გასწვრივ დახატე შესაბამისი ილუსტრაციები. შენს ლექსიკონს თანდათან მიამატე ახალ-ახალი სიტყვები, რომლებსაც სხვადასხვა თავის შესწავლისას გაიგებ და სასწავლო წლის ბოლოს საინტერესო ილუსტრირებულ ლექსიკონს მიიღებ.*

რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუკი მოსწავლე ამ საქმიანობისთვის ცალკე შეარჩევს სქელს რვეულს და სიტყვებზე სისტემატურად მუშაობის შემთხვევაში, მოსწავლე თანდათან მიიღებს საკუთარ ლექსიკონს, რომელშიც, გარდა ორენოვანი განმარტებებისა, იქნება ნახატებიც, საკუთარი განმარტებები, ენობრივი კონსტრუქციები, „სიტყვის პირამიდები“, „ფრეიერის სქემები“, „სიტყვის/ცნების რუკები“ და სხვა საინტერესო სქემები. ასეთი რვეულის, ნამუშევრის პერიოდულად და მოგვიანებით (თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ) გადათვალიერება ყოველთვის სასარგებლო და სასიამოვნო მოგონებებს აღძრავს ენის შემსწავლელში.

*------*------*

ყურადღებას აღარ გავამახვილებთ ლექსიკაზე მუშაობის გავრცელებულ სტრატეგიებზე: ილუსტრაციაზე სიტყვების დაკავშირება, ილუსტრაციაზე სპეციალურად ცარიელ ადგილებზე სიტყვების ჩასმა-ჩაწერა, ასოთლაბირინთებში სიტყვათა იდენტიფიცირება, წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი სიტყვების ჩასმა, ორი სიტყვიდან სასურველის არჩევა და მისი ჩასმა სათანადო ადგილზე, ტექსტში გამოტოვებული სიტყვების აღდგენა, უცნობის სიტყვების მნიშვნელობების წინასწარმეტყველება და შემდეგ კონტექსტის მიხედვით ამოცნობა, სინონიმებისა თუ ანტონიმების დაკავშირება, სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებული აქტივობები, კონკრეტული სიტყვის/ცნების ილუსტრირება, სიტყვის შესაბამისი ზუსტი და არაზუსტი მაგალითების (ე. წ. კი და არა მაგალითები) მოფიქრება და სხვა მრავალი. ეს და სხვა ტიპის დავალებები და სავარჯიშოები მრავლად შეგხვდებათ მე-10 კლასის სახელმძღვანელოს მოსწავლის წიგნსა და სავარჯიშოების რვეულში.

**ნ) გრამატიკის სწავლება**

გრამატიკის სწავლების მიზნით სახელმძღვანელოში მოცემულია მრავალფეროვანი დავალებები და სავარჯიშოები. შეიძლება წარმოვადგინოთ მოკლე სქემა, თუ როგორაა დამუშავებული გრამატიკის ქუდქვეშ გაერთიანებული ქვეცნებები და საკითხები.

თითოეული, საფეხურებრივი პროგრამით შემოთავაზებული, კლასების მიხედვით დანაწილებული გრამატიკული საკითხი შერჩეულია იმ კონკრეტული თემისთვის, რომელშიც უკეთესად გაიშლებოდა, როგორც ტექსტუალური, ასევე კონტექსტური თვალსაზრისით. სახელმძღვანელოში, როგორც წესი, მოსწავლის წიგნში წარმოდგენილია ე. წ. გრამატიკული ბლოკები, სადაც წარმოდგენილია თეორიული მასალა შესაბამისი ნიმუშებითა და მაგალითებით. ამ გრამატიკულ ბლოკში წარმოდგენილი საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, უკავშირდება ამავე თავში შემოთავაზებულ მხატვრულ თუ არამხატვრულ ტექსტებს და ხშირ შემთხვევაში ნიმუშებიც იქიდანაა მოწოდებული. მეორე მხრივ, თითოეული საკითხი დამუშავებულია სავარჯიშოებშიც.

შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილისთვის არ იყოს საკმარისი სავარჯიშოების რვეულის მიხედვით მოცემული აქტივობები. ამ შემთხვევაში კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს დამატებით შესთავაზებს სახელმძღვანელოს ანალოგიურ სავარჯიშოებს, მისცემს მათ საშინაო დავალებისა თუ საკლასო სამუშაოების ფორმატში შესასრულებლად. როგორც წესი, საკლასო ოთახში დამუშავებული თითოეული სავარჯიშო, განსამტკი-

ცებლად უნდა მიეცეთ შინაც.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ზოგად რეკომენდაციასაც, რომელიც გამოცდილი მასწავლებლებისთვის ჩვეული პრაქტიკაა: გრამატიკულად გამართულობის მიღწევას საკმაოდ მაღალი ენობრივი კომპეტენცია სჭირდება და სწავლის პროცესში გამოვლენილი ამ რიგის შეცდომები არ უნდა იწვევდეს არც მოსწავლის და არც მასწავლებლის ფრუსტრაციას. დროთა განმავლობაში, ენობრივი უნარების განაფვისდაკვალად თანდათან ალაგდება ასეთი შეცდომები. შესაბამისად, სახელმძღვანელოში შემოთავაზებული კონკრეტული გრამატიკული უნარის გამავარჯიშებელი აქტივობების შესრულება არ ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი საბოლოოდ დაძლეული იქნება მოსწავლისთვის. ვერ იქნება ასე. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ხანგრძლივი და ხშირი პრაქტიკისა და ვარჯიშის შემთხვევაში.

მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა მისცენ საშუალება პროდუცირებისას გამოიყენონ ის ენობრივი, ზოგჯერ გრამატიკულად გაუმართავი, საშუალებები, რაც მათი მზაობისთვის არის დამახასიათებელი. ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით, პრიორიტეტულობის განსაზღვრით, ასეთი შეცდომები ალაგდება.

რას ვგულისხმობთ პრიორიტეტულობის განსაზღვრაში, როდესაც გრამატიკის სწავლებაზე ვსაუბრობთ? წარმოვიდგინოთ მოსწავლის წერილობით ნამუშევარი, რომელიც შეთავაზებული გვქონდა კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში. როგორ უნდა შევაფასოთ, რა ტიპის, რა რიგის შეცდომები უნდა დავუფიქსიროთ მას, რათა მომავალში ეს შეცდომები აღარ გაიმეოროს? ყველა შეცდომა უნდა მოვნიშნოთ და წითელი კალმით ავუჭრელოთ ნამუშევარი? ვფიქრობთ, რომ არა. ჩვენ უნდა გამოვყოთ მასში ის შრეები, რომლის გააქტიურებაც, სწავლებაც იმ კონკრეტული თემის ფარგლებში გვქონდა მიზნად ანდა ადრე გავააქტიურეთ და სათანადოდ განვამტკიცეთ სხვა თემის ფარგლებში. სწორედ ამას, შეცდომათა გარკვეულ იერარქიზებას ვგულისხმობთ გრამატიკული პრიორიტეტულობის განსაზღვრაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ყველა შეცდომაზე ყურადღების გამახვილებისას მოსწავლეებს ხმა არ უნდა გავაღებინოთ და არაფერი დავაწერინოთ.

**7) დიფერენცირებული სწავლება**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლები რთული ამოცანების წინაშე დგანან, როდესაც საკუთარ საკლასო საჭიროებებს აცნობიერებენ. რასაკვირველია, ყველა მოსწავლე ერთნაირად არ სწავლობს და ერთნაირი მიღწევები არ აქვს არც ქართულ ენაში. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, არცთუ იშვიათად, მასწავლებლებს უწევთ ისეთ კლასებში მუშაობა, სადაც მოსწავლეები განსხვავებულ ენობრივ საფეხურზე არიან.

ქვემოთ შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ მომზადებული მეთოდიკური კრებულიდან, რომლის სათანადოდ გამოყენება მასწავლებლებს დაეხმარებათ განსხვავებული მზაობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებაში.

დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. ესაა ერთ კლასში მყოფი განსხვავებული მიღწევების მქონე მოსწავლეთა განსხვავებულად სწავლება. სწავლების დიფერენცირებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ერთსა და იმავე კლასში მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფთან განსხვავებული მეთოდების და/ან რესურსების გამოყენება.

იგი ითვალისწინებს ერთი კლასის მოსწავლეების დაჯგუფებას/დაყოფას დონეების მიხედვით.

დიფერენცირებული სწავლების მთავარი მიზანია, რომ თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით დიფერენცირებული სწავლება ცალსახად არ გულისხმობს განსხვავებული მონაცემების მქონე მოსწავლეების

მიერ თანაბარი შედეგების მიღწევას. შესაძლებელია, სუსტი მოსწავლე ყოველთვის ვერ დაეწიოს წარმატებულებს, თუმცა, ზოგჯერ სუსტი მოსწავლე ისეთივე შედეგს აღწევს, როგორსაც წარმატებული. დიფერენცირებული მიდგომით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დაძლიონ სწავლის პროცესში წარმოქმნილი ბარიერები და მკვეთრად გააუმჯობესონ შედეგები. მასწავლებელი ამას აღწევს უწყვეტი შეფასებისა და მოსწავლეთა მოქნილად დაჯგუფების გზით. სასწავლო პროცესში შესაძლებელია ისეთი ელემენტების დიფერენცირება, როგორიცაა: შინაარსი, პროცესი, დავალებები და გარემო.

დიფერენცირებული სწავლება – ეს არის სასწავლო პროცესის იმგვარი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებზე და შესაძლებლობებზე. დიფერენცირებული სწავლება აიგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოლოდინების გაცნობიერება;
2. მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა;
3. დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იგებენ მოსწავლეები დავალებას;
4. სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით შედეგების შემოწმება და ანალიზი.

დიფერენცირებული სწავლების ეფექტური გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას და უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც ყალიბდება მშობლებთან, თანატოლებთან, მედიასა და სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობით.

დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლისგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

განათლების სპეციალისტი **ჯენიფერ გოფროი** თვლის, რომ მასწავლებელმა, რომელიც დიფერენცირებულ სწავლებას იწყებს, შვიდი საბაზისო პრინციპი უნდა გაითვალისწინოს:

1. შეისწავლეთ თქვენი მოსწავლეები და მათი ინტერესები, მოტივაცია, საჭიროებები, მიზნები. სასურველია, ეს სასწავლო წლის დაწყებისთანავე გააკეთოთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა წყარო, მაგალითად, მოამზადოთ სპეციალური კითხვარი, რომელსაც მოსწავლეები და მასწავლებლები შეავსებენ.
2. გააცანით მოსწავლეებს დიფერენცირებული სწავლების იდეა. გამართეთ კლასში დისკუსია დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობისა და ფორმების შესახებ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, თუ დიფერენცირებულ სწავლებას მოსწავლეები პირველად ეხებიან. მოსწავლეებმა იმთავითვე უნდა იცოდნენ, რატომ იღებენ მათი თანაკლასელები განსხვავებულ დავალებებსა და სასწავლო რესურსებს. იგივე ეხებათ მოსწავლეთა მშობლებსაც.
3. საფუძვლიანად შეისწავლეთ საგნისა და კლასის სტანდარტები (მისაღწევი შედეგები) და პროგრამა (შინაარსი). დარწმუნდით, რომ კარგად გესმით მისაღწევი შედეგების შემადგენელი უნარ-ჩვევები და მათი სწავლების მეთოდები. თუ ასე არ არის, ნუ დაიწყებთ დიფერენცირებულ სწავლებას.
4. დაიწყეთ მცირედით. თუ დიფერენცირებული სწავლებისკენ პირველ ნაბიჯებს დგამთ, ნაბიჯ-ნაბიჯ გაამდიდრეთ გაკვეთილები დიფერენცირებული აქტივობებით. თავდაპირველად დაუთმეთ დიფერენცირებული სწავლების ბლოკს გაკვეთილის ერთი ნაწილი. არ არის აუცილებელი, რომ ყველა გაკვეთილი დატვირთოთ დიფერენცირებული სწავლების აქტივობებით. თანდათანობით გაზარდეთ დიფერენცირებული აქტივობების რაოდენობა და ნელ-ნელა გადადით მთლიანი გაკვეთილებისა და თემატური ბლოკების დიფერენცირებაზე.
5. იმუშავეთ ორგანიზებულად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიფერენცირებული სწავლებისთვის. იმთავითვე გააცნობიერეთ, რომ დიფერენცირებული სწავლების დროს მო-

სწავლეთა ნაწილი კლასში დამოუკიდებლად იმუშავებს. ხშირად მასწავლებელთა პირველი რეაქცია დიფერენცირებასთან მიმართებით ასე გამოიხატება: „ხუთ ნაწილად ხომ არ გავიჭრები? მე თუ რამდენიმე ბავშვთან ვიმუშავე, დანარჩენებს ვინ მიხედავს? ისედაც არ უნდათ სწავლა და ხომ გადავლენ ყირაზე?" ასეთი რეაქცია სრულიად მოსალოდნელია. დიფერენცირებული სწავლება კომპლექსური პროცესია, ის აქტივობებისა და რესურსების ეფექტურ მართვას მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია დიფერენცირების დაწყებისთანავე სათანადო წესებისა და პროცედურების დანერგვა საკლასო ოთახში. კლასის მართვის პროცესში შეგიძლიათ დაიხმაროთ მოსწავლეებიც. ხშირად სწორედ ისინი გვთავაზობენ ორგანიზებასთან დაკავშირებული პრობლემების ორიგინალურად გადაწყვეტის გზებს.

6. იყავით ღია და მოქნილი. მასწავლებლებმა ვიცით, რომ გაკვეთილის გეგმა არის ერთგვარი გზამკვლევი და არა ხელშეუხებელი დოკუმენტი. თუ დიფერენცირებული გაკვეთილი ისე არ წარიმართა, როგორც გეგმავდით, დაფიქრდით, რამ გამოიწვია ეს. გაითვალისწინეთ ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები მომდევნო გაკვეთილების დაგეგმვისას.
7. ითხოვეთ დახმარება და გამოიყენეთ ყველა ხელმისაწვდომი რესურსი. შესაძლოა, თქვენს სკოლაში რომელიმე კოლეგა ასევე ცდილობდეს დიფერენცირებული სწავლების დანერგვას. თუ ახლოს ასეთი არავინაა, სკოლის ბაზაზე შექმენით მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფი დიფერენცირებული სწავლების საკითხზე. ასევე, მიმართეთ ინტერნეტში წყაროებს, წიგნებს, გზამკვლევებს. ყოველთვის გამოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც დახმარებას გაგიწევენ ინოვაციური მიდგომის დანერგვაში. მიმართეთ მათ!

# V თავი – თემატური ერთეულები

## თემა 1 - სახლი, ოჯახი

**საათების სავარაუდო რაოდენობა** - დამოკიდებულია კონკრეტულ საკლასო ოთახში მყოფი მოსწავლეების მზაობასა და საჭიროებებზე, რაზე დაყრდნობითაც მასწავლებელი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**

1. ნაცნობი სახლ-კარის მაკეტის დამზადებისა და წარდგენისთვის, საოჯახო ნივთის შესახებ სარეკლამო განცხადების მომზადებისა და ასეთი ნივთის შესაძენად ინტერაქციაში მონაწილეობის მისაღებად მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება.
2. ლიტერატურული პერსონაჟებისთვის წერილის მისაწერად და მასში საკუთარი პოზიციის დასაბუთებისთვის საჭიროა წერილის ელემენტების (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება, პოზიციის გამოხატვა და დასაბუთება, მაგალითებით გამყარება...) დაცვა.
3. საჭირო ლექსიკისა და გრამატიკული მასალის სუბიექტური და ობიექტური პირების ბრუნვა და ზმნური კონსტრუქციების აგება) ცოდნა და მისი მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია სამეტყველო ქმედებების განხორციელებისთვის.

| გრძელვადიანი მიზანი | შუალედური სასწავლო მიზანი N1 | |
|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები:**<br><br>1) სამეტყველო ქმედება<br>2) ტექსტი<br>3) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br>4) კულტურათა დიალოგი<br><br>**ქვეცნებები**:<br><br>ფუნქციური სამეტყველო აქტები (გარემოს / შენობის და ა.შ. აღწერა - დახასიათება; შეფასება - დამოკიდებულების გამოხატვა);<br><br>ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება<br><br>ლექსიკა: შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა; გრამატიკა: სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები<br><br>**საფეხურის საკვანძო შეკითხვები:**<br><br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები? | **საკითხი**<br><br>მხატვრული ადაპტირებული ტექსტის გააზრებისთვის საჭირო სტრატეგიები<br><br>ენობრივ გრამატიკული საკითხები (ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების ბრუნვა და ზმნური კონსტრუქციები).<br><br>ნამუშევრის პრეზენტაციისას საჭირო სტრატეგიების გამოყენება | **კომპლექსური დავალების იდეა**<br><br>**სახლისა და ეზოს მაკეტის დამზადება**<br><br>**1-ელი დავალების პირობა:**<br><br>შენთვის მოსახერხებელი ფორმატით (Power Point-ის პრეზენტაცია, მუყაო-ქაღალდები, უბრალო ქაღალდი და ფანქრები, მაინკრაფტი...) დაამზადე ლუარსაბისა და დარეჯანის სახლ-კარის მაკეტი.<br><br>ნამუშევარში და მისი პრეზენტაციისას წარმოაჩინე:<br><br>• ტექსტში ასახული ეზოსა და სახლის მონაცემები (ზომები, მდგომარეობა...);<br>• შენ მიერ მოფიქრებული დამატებითი დეტალები (ფერები, ნივთები...);<br>• რა გაითვალისწინე ტექსტის მიხედვით და რა შექმენი შენი წარმოსახვით?<br>• რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი მაკეტი შეესაბამება ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილ თათქარიძეების საცხოვრებელს? |

| | | |
|---|---|---|
| • როგორ უნდა გამოვიყენო ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურული ელემენტების ცოდნა როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით მსგავსი ტექსტების შედგენისას?<br><br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br><br>• როგორ შევძლო მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება? | | პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:<br><br>• შეიძლება თუ არა, ასეთი სახლ-კარი კიდევ გვხვდებოდეს საქართველოში, შენს მხარეში?<br>• როგორ შეასრულე დავალება და რატომ შეარჩიე დავალების შესასრულებლად ეს ფორმატი (მაკეტი, ციფრული ვერსია...)?<br><br>**მე-2 დავალების პირობა:**<br><br>შენთვის მოსახერხებელი ფორმატით (Power Point-ის პრეზენტაცია, მუყაო-ქაღალდები, უბრალო ქაღალდი და ფანქრები, მაინკრაფტი...) დაამზადე საკუთარი სახლ-კარის მაკეტი. (თუ კორპუსში ცხოვრობ, მაშინ დაამზადე შენი სკოლისა და ეზოს მაკეტი.)<br><br>ნამუშევარში და მისი პრეზენტაციისას წარმოაჩინე:<br><br>• ეზოსა და სახლის მონაცემები (ზომები, მდგომარეობა...);<br>• შენ მიერ მოფიქრებული დამატებითი დეტალები (ფერები, ნივთები...);<br>• რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი მაკეტი კარგად წარმოაჩენს შენს სახლ-კარს (ან სკოლასა და მის ეზოს)?<br><br>პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:<br><br>• რამდენად გვხვდება ასეთი სახლ-კარი შენს მხარეში? საქართველოს სხვა მხარეებში?<br>• როგორ შეასრულე დავალება, როგორ დაგეგმა, რა გააკეთე თავდაპირველად, შემდეგ, ბოლოს?<br>• დაგჭირდა თუ არა სხვების დახმარება? |

| | | |
|---|---|---|
| | | **საკვანძო შეკითხვები:**<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო სახლისა და ეზოს შესახებ სათანადო ინფორმაციის წარმოდგენა და საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა?<br><br>როგორ გამოვიყენო საინფორმაციო ტექსტის ჟანრობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა სახლისა და ეზოს მაკეტის შესაქმნელად?<br><br>რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება? |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები** | **შეფასების კრიტერიუმი -** (ზოგადი)<br><br>**მოსწავლეს შეუძლია:** | **შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ: |
| **სამეტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>1. სამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში, დროსა და სივრცეში ორიენტირება, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.)* ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);<br>2. ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების* | **სამეტყველო ქმედება**<br><br>• საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით;<br>• ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად.<br><br>**ტექსტი**<br><br>• ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას. | • რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა ეზოსა და სახლის მონაცემების გადმოსაცემად? **(ე.გ.საშ. 2,3)**<br><br>• რამდენად ეფექტიანად მოახერხე კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - სახლისა და ეზოს მაკეტის აღწერა? რამდენად მიზნობრივად გამოიყენეთ და/ან იყენებთ ნასწავლ ლექსიკასა და გრამატიკულ საკითხებს? **(სამ. ქმ. 1,2)**<br><br>• რა ცოდნა და სტრატეგიები გამოიყენე მაკეტის შესაქმნელად? როგორ დაგეხმარათ საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში? **(ტ.2,3).**<br>• რა აღმოაჩინე მაკეტებზე მუშაობისას — რამდენად გვხდება თათქარიძეების სახლის მსგავსი სახლები დღეს? **(კულ. დ. 1,2)** |

| | | |
|---|---|---|
| *გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*<br><br>**ექსტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br>ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;<br>ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ნობრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br>ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.); | **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**<br><br>• სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;<br>• ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიების გამოყენება ენობრივი ცოდნის ასათვისებლად.<br><br>**კულტურათა დიალოგი**<br><br>• განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება და საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა;<br>• კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა. | |

<table>
<tr><td>3. ქართული ენობრივი საშუალებების (ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის) ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის;<br><br>კულტურათა დიალოგი (შედეგი: 7)<br><br>1. ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);<br>2. განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში.</td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="3">კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)<br><br>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა<br><br>აქტივობა 1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, რომ მოუწევთ სახლ-კარის მაკეტის დამზადება და მისი წარდგენა. იხსენებენ, ხომ არ დაუმზადებიათ ასეთი რამ რომელიმე საგნის გაკვეთილებზე. სვამენ შეკითხვებს, თუ რას ითვალისწინებს ეს დავალება, რომელი სახლ-კარის მაკეტი უნდა დაამზადონ... მასწავლებელი აქვე მიმოიხილავს თემის კომპონენტებს, ტექსტებს, რომელსაც დაამუშავებენ და საკომუნიკაციო სიტუაციებს.<br><br>ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა<br><br>ნაბიჯი 1. რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგვჭირდება კონკრეტული სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად? როგორ/რა სტრატეგიები გამოვიყენოთ საჭირო ენობრივი მასალის ასათვისებლად?<br><br>საჭირო ენობრივი საკითხები:<br><br>• სახლ-კარის აღწერისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულები და ენობრივი კონსტრუქციები</td></tr>
</table>

- სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები და ზმნური კონსტრუქციების აგება.

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი:** ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის) - მოსწავლის წიგნი და რვეული

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>__ქვეცნება:__<br><br>**სტრატეგიები**: ენობრივი საკითხების ასათვისებლად | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ მაკეტის დასამზადებლად და იმის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ზმნის სუბიექტური პირის სათანადო ბრუნვებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

**ნაბიჯი 2.** ***როგორ მოვახერხოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - რეგიონის გარშემო საჭირო ინფორმაციის შეთავაზება, რჩევების მიცემა და საკუთარი პოზიციის დასაბუთება არგუმენტირებულად? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენოთ ამისთვის?***

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი:** ქართული ენა (დონეების სახელმძღვანელო არაქართულენოვანი სკოლებისათვის) - მოსწავლის წიგნი და რვეული, აუდიოდისკი

**აქტივობები:**

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>__ქვეცნება:__<br><br>**სტრატეგიები**: სტრატეგიები მოსმენილი/ წაკითხული ტექსტის გასაგებად და შესადგენად; | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის (რა არის დიალოგის საკომუნიკაციო სიტუაცია - ვინ არიან თანამოსაუბრეები ერთმანეთისთვის, რა არის მათი საუბრის თემა, სად მიმდინარეობს დიალოგი)<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს დამოკიდებულებას, რჩევას? როგორ გამოხატავთ და დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

**ბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენოთ გზამკვლევის შესაქმნელად და სკოლის ვებგვერდზე მის განსათავსებლად?**

მოთ დასახელებული ნაბიჯების გადასადგმელად გათვალისწინებულია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- სრულდება წიგნის დავალებები 1-2, რომლითაც ხდება შემზადება ტექსტის წაკითხვისთვის. ამავდროულად მასწავლებელი წინასწარ გაცნობს მოსწავლეებს თავის თემატიკას, ასევე აცნობს კომპლექსური დავალების პირობასაც (მაკეტის/მაკეტების დამზადება), გააცნობიერებენ, თუ რა უნდა გააკეთონ მათ ამისთვის და ერთ-ერთი მათგანი არის ილია ჭავჭავაძის ტექსტის ფრაგმენტის გაგება-გააზრება. კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი ამავდროულად გაახსენებს მოსწავლეებს ილია ჭავჭავაძის პიროვნებასაც.
- სრულდება წიგნის დავალება 3 — მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, გადაამოწმებენ ვარაუდებს, რომლებიც გამოთქვეს პირველი დავალების შესრულებისას და უპასუხებენ აქვე მოცემულ შეკითხვებს. რასაკვირველია, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სათანადო მითითებებს და ეხმარება მათ.
- სრულდება რვეულის სავარჯიშოები 4-5, წიგნის დავალება 6, რომლებსაც ტექსტის გააზრების ფუნქცია აქვთ უკვე სელექციურ და დეტალურ დონეზე.
- სრულდება წიგნის დავალება 7, რომლის მიზანია მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარება. შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ილია გულისხმობდა რუსეთი იმპერიის ჩინოვნიკს და იმდროინდელი ხელისუფლებისგან ზეწოლის გამო ამატებდა სიტყვას: ძველი.
- სრულდება წიგნის დავალება 8, სადაც მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ მხატვრულ ხერხებზე. კარგი იქნებ თუ მასწავლებელი გამოიყენებს მოსწავლეების უკვე არსებულ ცოდნას ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ეს ცოდნა მათ ექნებათ მშობლიური ენების გაკვეთილებიდან.
- სრულდება რვეულის სავარჯიშოები 9-10.
- სრულდება წიგნის დავალება 11, რომელიც გრამატიკულ საკითხებს შეეხება, კერძოდ სუბიექტის ბრუნვების მიხედვით ზმნების დაჯგუფებას. აღსანიშნავია, რომ კლასიფიკაცია ეხმარება ენის შემსწავლელებს გარკვეული გრამატიკული საკითხების გააზრებაში. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ მე-3 ჯგუფის ზმნებში გრამატიკული სუბიექტი გევლინება რეალურ ობიექტად და პირიქით.
- სრულდება რვეულის სავარჯიშოები 12-14, რომელიც ააქტიურებ გრამატიკულ საკითხებს.

**კომენდაცია მასწავლებელს:**

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ცხრილში მოცემული ფორმები არ დააზეპირებინოს ბავშვებს. ამ ცხრილის მიზანია მოსწავლეებს ერთგვარი სურათი შევთავაზოთ, საიდანაც თვითონ შეარჩევს სიტუაციისთვის საჭირო მწკრივსა თუ ფორმას. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის საჭიროებები, რომლებიც უკავშირდება წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს.

- სრულდება წიგნის დავალებები 15-16, რომლებიც კომპლექსური დავალებებია და გულისხმობს მოსწავლეების მიერ, ერთი მხრივ თათქარიძეების სახლ-კარის მაკეტის, მეორე მხრივ საკუთარი სახლ-კარის (სკოლის შენობისა და ეზოს) მაკეტის წარდგენასა და პრეზენტაციას. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად მოსწავლეები მიჰყვებიან ქვემოთ წარმოდგენილ საფეხურებს:

**საფეხური 1**. წინარე ცოდნის გახსენება

- მაკეტის რაობის გააზრება და საჭირო ტექსტობრივი მონაცემებისა და ილუსტრაციების გახსენება.

**საფეხური 2.** მაკეტზე მუშაობა

- იდეების წამოყენება მაკეტთან დაკავშირებით (შინაარსი, ფოტო-ილუსტრაცია, ნახატები, სქემები და ა.შ.);

- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა (ინფორმაციების მოძიება, ფოტოილუსტრაციების შექმნა, მოძიებული ინფორმაციის შერჩევა და დამუშავება და ა.შ.);
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- მაკეტის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება
- მაკეტის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**საფეხური 3.** მაკეტის წარდგენა თანაკლასელების წინაშე:

- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- ფუნქციების განსაზღვრა მასწავლებლის დახმარებით (რა დრო ექნება წარდგენისთვის, რას გააკეთებენ სხვა მოსწავლეები...)
- პრეზენტაციის მოწყობა

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**სტრატეგიები**: სტრატეგიები წერითი კომუნიკაციის მისაღწევად; | • რა ნაწილებისაგან შედგება მაკეტი?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს მასში?<br>• როგორ გამოიყენებთ მაკეტს თქვენი მიზნებისთვის?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება დავალების შესრულებაში? |

**რეკომენდაცია:** როგორც ვხედავთ, მოსწავლეებს უწევთ, ერთი მხრივ, თათქარიძეების საცხოვრებლის მაკეტის დამზადება, მეორე მხრივ საკუთარი საცხოვრებლის (ან სკოლის) მაკეტის წარმოდგენა. შესაძლებელია მასწავლებელმა გადაწყვიტოს და მოსწავლეთა ნაწილმა ერთი ნამუშევარი წარმოადგინოს, ხოლო მეორე ნაწილმა — მეორე.

**სახლ-კარის მაკეტის შეფასების კრიტერიუმები**

| კრიტერიუმი | აკმაყოფილებს | არ აკმაყოფილებს |
|---|---|---|
| მაკეტი შეესაბამება ტექსტში მოცემულ ინფორმაცია, თუმცა არის ორიგინალური ელემენტებიც. | | |
| პრეზენტატორი მკაფიო და განვრცობილი წინადადებებით საუბრობს საკუთარი ნამუშევრის შესახებ. | | |
| ნამუშევარში, მის პრეზენტაციასა და მუშაობის რეფლექსიაში წარმოჩენილია შემოქმედებითობა. | | |

***ვალების შესრულების პროცესში და დავალების წარდგენისას დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)***

- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა;
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს პირობის მოთხოვნებთან მიმართებით?
- რამდენად ეფექტიანად მოახერხე რჩევების მიცემა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება?
- რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - გზამკვლევის შექმნისას? რატომ?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით აითვისე საჭირო ენობრივი მასალა? რამდენად შეძელი საჭირო ფუნქციური ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება? რატომ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით მიაღწევ უკეთეს შედეგს?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომმა მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რის გაუმჯობესებას შეძლებ დამოუკიდებლად? როგორ? რა ხერხებს გამოიყენებ ამისთვის? სად დაგჭირდება დახმარება?

| **ძლევადიანი მიზანი** | **შუალედური სასწავლო მიზანი N2** | |
|---|---|---|
| **მიზნე ცნებები:**<br><br>) სამეტყველო ქმედება<br>) ტექსტი<br>) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br>) კულტურათა დიალოგი<br><br>**ცნებები**:<br><br>ნქციური სამეტყველო აქტები (წერილის მიწერა; ვასება -დამოკიდებულების გამოხატვა);<br><br>ქსტის სტრუქტურა და ორგანიზება<br><br>ქსიკა: შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა (); გრამატიკა: ბიექტისა და ობიექტის ბრუნვები | **საკითხი**<br><br>ტექსტის (წერილის) შესადგენად საჭირო სტრატეგიები<br><br>ენობრივ გრამატიკული საკითხების (ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების ბრუნვა და ზმნური კონსტრუქციები) გამოყენება საკომუნიკაციო სიტუაციისთვის.<br><br>საკუთარი პოზიციის წარმოდგენა და დასაბუთება. | **კომპლექსური დავალების იდეა**<br><br>**წერილის მიწერა პერსონაჟებისადმი**<br><br>**დავალების პირობა:**<br><br>ლუარსაბსა და დარეჯანს მისწერე წერილი, რომელშიც დაუსაბუთებ მათი შეხედულების სიმცდარეს ქალებისა და კაცების გონებრივი განსხვავების შესახებ.<br><br>**წერილში და მისი პრეზენტაციისას წარმოაჩინე:**<br><br>• წერილის სტრუქტურული მახასიათებლებისა და მიმართვის ზრდილობიანი ფორმების ცოდნა; |

<table>
<tr>
<td>საფეხურის საკვანძო შეკითხვები:<br><br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები?<br><br>• როგორ უნდა გამოვიყენო ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურული ელემენტების ცოდნა როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით მსგავსი ტექსტების შედგენისას?<br><br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br><br>• როგორ შევძლო მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება?</td>
<td></td>
<td>• წაკითხული და მოსმენილი ტექსტების მიხედვით ლუარსაბისა და დარეჯანის ურთიერთობის დეტალები;<br>• ლუარსაბისა და დარეჯანის სტერეოტიპული აზროვნების საწინააღმდეგო არგუმენტები და მაგალითები, როგორც შენი, ასევე მათი გამოცდილებიდან (კერძოდ, ბუზების თვლის ეპიზოდი);<br>• გამოყენებულ ზმნებთან სუბიექტური და ობიექტური პირების სათანადო ბრუნვაში შეწყობის ცოდნა.<br>წერილის პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:<br><br>• რამდენად დარწმუნდება შენი წერილით ადამიანი იმაში, რომ ქალებსა და კაცებს თანაბარი გონებრივი შესაძლებლობები აქვთ?<br>• რამდენად მისაღებია შენს თანამედროვე ადამიანსაც იმავე არგუმენტებით ესაუბრო, რომლითაც ლუარსაბსა და დარეჯანს ესაუბრებოდი წერილში?<br><br><br>საკვანძო შეკითხვები:<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო წერილის მიწერა და მასში საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა არასწორი შეხედულებების მიმართ?<br><br>როგორ გამოვიყენო წერილის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ჩემო პოზიციის წარმოსაჩენად?<br><br>რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად წერა და და ჩემი წერილის წარდგენა?</td>
</tr>
</table>

| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები** | **შეფასების კრიტერიუმი -** (ზოგადი)<br><br>**მოსწავლეს შეუძლია:** | **შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ: |
|---|---|---|
| **სამეტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>3. სამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში, დროსა და სივრცეში ორიენტირება, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.)* ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);<br>4. ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*<br><br>**ტექსტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>4. არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br>5. ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე | **სამეტყველო ქმედება**<br><br>• საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით;<br>• ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად.<br><br>**ტექსტი**<br><br>• ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**<br><br>• სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;<br>• ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიების გამოყენება ენობრივი ცოდნის ასათვისებლად.<br><br>**კულტურათა დიალოგი**<br><br>• განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება და საკუთარ | • რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა წერილის დასაწერად? **(ე.გ.საშ. 2,3)**<br><br>• რამდენად ეფექტიანად მოახერხე კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - წერილის დაწერა? რამდენად მიზნობრივად გამოიყენეთ და/ან იყენებთ ნასწავლ ლექსიკასა და გრამატიკულ საკითხებს? **(სამ. ქმ. 1,2)**<br><br>• რა ცოდნა და სტრატეგიები გამოიყენე წერილის შესაქმნელად? როგორ დაგეხმარათ წერილის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში? **(ტ.2,3).**<br>• რა აღმოაჩინე წერილზე მუშაობისას — რამდენად გამოგადგება პერსონაჟებისადმი წარდგენილი არგუმენტები შენი ნაცნობების დასარწმუნებლად? **(კულ. დ. 1,2)** |

| | | |
|---|---|---|
| ...ტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის ...ნელად;<br>...ის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., ...* რი, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და ...ტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ...ი, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ...ლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>...**გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>...ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, ...ქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br>...ლი ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი ...ს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, ...ითა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის ...ფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ..., სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ...ლი ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ...ტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, ...სხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა და*<br><br>...ლი ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ...კისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური ...ნება მნიშვნელოვანია ქართულად ...ტებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის;<br><br>...**ათა დიალოგი** (შედეგი: 7)<br><br>...ართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ ...ანსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ ...ამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და ...ანსხვავებას (მაგ., *თავისებურ ტრადიციებს, ზნე-...ვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ...ხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას*); | სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა;<br>• კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა. | |

| | | |
|---|---|---|
| 4. განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში. | | |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, რომ მოუწევთ წარმოსახვითი წერილის მიწერა ლიტერატურული პერსონაჟებისადმი (უკვე ნაცნობ ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეებისთვის) კონკრეტული მიზნით — ქალისა და მამაკაცის გონებრივი შესაძლებლობების შესახებ მათი მცდარი მოსაზრების გაბათილების მიზნით.
ამ მიზნით მათ დასჭირდებათ კონკრეტული ტექსტების (როგორც მოსასმენი, ასევე საკითხავი) დამუშავება და გახსენება.

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგვჭირდება კონკრეტული სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად? როგორ/რა სტრატეგიები გამოვიყენოთ საჭირო ენობრივი მასალის ასათვისებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

- პერსონაჟისთვის წერილის მისაწერად საჭირო ლექსიკური ერთეულები და ენობრივი კონსტრუქციები
- სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები და ზმნური კონსტრუქციების აგება.

**ძირითადი რესურსი:** ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის) - მოსწავლის წიგნი და რვეული

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**<u>ქვეცნება:</u>**<br><br>**სტრატეგიები**: ენობრივი საკითხების ასათვისებლად | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ წერილის დასაწერად და მის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ზმნის სუბიექტური პირის სათანადო ბრუნვებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

**ნაბიჯი 2. *როგორ მოვახერხოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - წერილის მიწერა პერსონაჟებისადმი, მათთვის რჩევების მიცემა და საკუთარი პოზიციის დასაბუთება არგუმენტირებულად? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენოთ ამისთვის?***

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**<u>ქვეცნება:</u>**<br><br>**სტრატეგიები**: სტრატეგიები მოსმენილი/წაკითხული ტექსტის გასაგებად და შესადგენად; | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის (რა არის დიალოგის საკომუნიკაციო სიტუაცია - ვინ არიან თანამოსაუბრეები ერთმანეთისთვის, რა არის მათი საუბრის თემა, სად მიმდინარეობს დიალოგი)<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს დამოკიდებულებას, რჩევას? როგორ გამოხატავთ და დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

**ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენოთ წერილის შესაქმნელად და მის წარსადგენად?**

**ზემოაღნიშნული ნაბიჯების გადადგმის მიზნით უნდა წარიმართოს შემდეგი აქტივობები:**

- სრულდება წიგნის დავალება 19-20-21, რომელიც გულისხმობს „კაცია-ადამიანის?!“ კინოფილმიდან ფრაგმენტის მოსმენას და ამის მიხედვით შეკითხვებზე პასუხს. 19-20 დავალებები სრულდება მოსმენამდე. ხოლო მოსმენის შემდეგ უპასუხებენ შეკითხვებს.
- სრულდება რვეულის სავარჯიშო 22, რომლის ფუნქცია ისევ მოსასმენი ტექსტის გააზრებაა.
- სრულდება დავალება 23, რომლის ფარგლებშიც კიდევ ერთხელ უსმენენ მოსწავლეები ნაწყვეტს ფილმიდან და უპასუხებენ შეკითხვას, რაც სელექციური და დეტალური გაგების მიზანს ემსახურება.
- სრულდება წიგნის დავალება 24, რომელიც გრამატიკულ საკითხს შეეხება. კერძოდ სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვებს. აქ მოცემულია მთლიანი ცხრილი. ამ ცხრილში მოცემული მესამე ზმნა „სტყდება მას ის“, როგორც ვიცით, გრამატიკული სუბიექტი არის „ის“, მაგრამ ფაქტობრივი სუბიექტად გვევლინება „მას“. ასეთი ნიუანსობრივი ჩაღრმავება მასწავლებლებისთვის გასაგები იქნება, რაც შესაძლოა   არ დაგვჭირდეს მოსწავლეებთან.
- სრულდება რვეულის სავარჯიშოები 25-26, რომლებშიც ავსებენ წინადადებებში გამოტოვებულ სიტყვებს. ვარჯიშობენ ზმნური კონსტრუქციების გამართვაზე.
- სრულდება წიგნის დავალება 27, რვეულის სავარჯიშო 28, რაც გულისხმობს ლუარსაბისა და დარეჯანის დიალოგის კრიტიკულ განხილვა. ეს არის ის საკითხი, რაზეც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ კომპლექსური დავალება, ამიტომ სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს და ყველა მოსწავლის ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი.
- სრულდება წიგნის დავალება 29, რომელშიც მოსწავლეები გაეცნობიან ილია ჭავჭავაძის ლექსის ფრაგმენტს და კიდევ ერთხელ ისაუბრებენ სტერეოტიპული აზროვნების შესახებ.
- სრულდება წიგნის დავალება 30, რომელიც კომპლექსური დავალებაა:

ლუარსაბსა და დარეჯანს მისწერე წერილი, რომელშიც დაუსაბუთებ მათი შეხედულების სიმცდარეს ქალებისა და კაცების გონებრივი განსხვავების შესახებ.

**წერილში და მისი პრეზენტაციისას წარმოაჩინე:**

- წერილის სტრუქტურული მახასიათებლებისა და მიმართვის ზრდილობიანი ფორმების ცოდნა;
- წაკითხული და მოსმენილი ტექსტების მიხედვით ლუარსაბისა და დარეჯანის ურთიერთობის დეტალები;
- ლუარსაბისა და დარეჯანის სტერეოტიპული აზროვნების საწინააღმდეგო არგუმენტები და მაგალითები, როგორც შენი, ასევე მათი გამოცდილებიდან (კერძოდ, ბუზების თვლის ეპიზოდი);
- გამოყენებულ ზმნებთან სუბიექტური და ობიექტური პირების სათანადო ბრუნვაში შეწყობის ცოდნა.

**წერილის პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:**

- რამდენად დარწმუნდება შენი წერილით ადამიანი იმაში, რომ ქალებსა და კაცებს თანაბარი გონებრივი შესაძლებლობები აქვთ?
- რამდენად მისაღებია შენს თანამედროვე ადამიანსაც იმავე არგუმენტებით ესაუბრო, რომლითაც ლუარსაბსა და დარეჯანს ესაუბრებოდი წერილში?

ამ კომპლექსური დავალებაზე მუშაობა წარიმართება შემდეგი საფეხურების მიხედვით:

**საფეხური 1**. წინარე ცოდნის გახსენება

- წერილის სტრუქტურული და ენობრივ-სტილურ მახასიათებლებზე მუშაობა (*ნაწილები, ზრდილობიანი ფორმები...)*
- წერილის ზოგად შინაარსზე / ცალკეული ნაწილის ძირითად სათქმელზე დაკვირვება

**საფეხური 2.** წერილზე მუშაობა

- იდეების წამოყენება გზამკვლევთან დაკავშირებით (შინაარსი, ფოტოილუსტრაცია, ნახატები, რუკები, სქემები და ა.შ.);
- ფუნქციების განსაზღვრა მასწავლებელთა დახმარებით ჯგუფის წევრებთან ერთად;
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა (ინფორმაციების მოძიება, ფოტოილუსტრაციების შექმნა, მოძიებული ინფორმაციის შერჩევა და დამუშავება და ა.შ.);
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- გზამკვლევის პირველადი ვერსიის შედგენა;
- შეფასების კრიტერიუმების ბადის მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება **(რესურსი 2);**
- გზამკვლევის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**საფეხური 3. წერილის** წარდგენა თანაკლასელების წინაშე:

- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);
- ფუნქციების განსაზღვრა მასწავლებელთა დახმარებით ჯგუფის წევრებთან ერთად (ვინ რომელ ნაწილს წარადგენს, ვინ რის შესახებ ისაუბრებს და ა.შ.);
- პრეზენტაციის მოწყობა

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**სტრატეგიები**: სტრატეგიები წერითი კომუნიკაციის მისაღწევად; | • რა ნაწილებისაგან შედგება წერილი?<br>• რა სახის ინფორმაცია უნდა აისახოს თითოეულ ნაწილში?<br>• როგორ გამოიყენებთ წერილის სტრუქტურას თქვენი მიზნებისთვის — საკუთარი პოზიციის არგუმენტირებისთვის)?<br>• რამდენად გამოგადგებათ მიღებული ცოდნა-გამოცდილება სხვა სიტუაციაში ანალოგიური პოზიციის დასაცავად? |

**რილის შეფასების კრიტერიუმები**

| რიტერიუმი | აკმაყოფილებს | არ აკმაყოფილებს |
|---|---|---|
| ერილში ასახულია პერსონაჟების შეხედულებები და ეთავაზებულია არგუმენტირებული მოსაზრებები მათი ოსაზრებების სიმცდარის შესახებ. | | |
| ერილი შედგენილია სათანადო ლექსიკური რთეულებისა და წინადადებების გამოყენებით. ირითადად დაცულია ენობრივ-გრამატიკული საკითხები. | | |
| ერილში შემოქმედებითადაა წარმოდგენილი მისი ტრუქტურული ნაწილები, რომლებიც ლოგიკურადაა ₂აკავშირებული ერთმანეთთან. | | |

***ვალების შესრულების პროცესში და დავალების წარდგენისას დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)***

- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა;
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს პირობის მოთხოვნებთან მიმართებით?
- რამდენად ეფექტიანად მოახერხე რჩევების მიცემა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება?
- რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - გზამკვლევის შექმნისას? რატომ?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით აითვისე საჭირო ენობრივი მასალა? რამდენად შეძელი საჭირო ფუნქციური ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება? რატომ?

- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით მიაღწევ უკეთეს შედეგს?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომი მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რის გაუმჯობესებას შეძლებ დამოუკიდებლად? როგორ? რა ხერხებს გამოიყენებ ამისთვის? სად დაგჭირდება დახმარება?

| **რძელვადიანი მიზანი** | **შუალედური სასწავლო მიზანი N3** | |
|---|---|---|
| **ამიზნე ცნებები:**<br><br>1) სამეტყველო ქმედება<br>2) ტექსტი<br>3) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br>4) კულტურათა დიალოგი<br><br>**ვეცნებები:**<br><br>კუნქციური სამეტყველო აქტები (ინტერაქცია ონკრეტული მიზნით);<br><br>ასაუბრო ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება<br><br>ექსიკა: შესაბამისი ფუნქციური ლექსიკა; გრამატიკა: უბიექტისა და ობიექტის ბრუნვები<br><br>**აფეხურის საკვანძო შეკითხვები:**<br><br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები?<br><br>• როგორ უნდა გამოვიყენო ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურული ელემენტების ცოდნა როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით მსგავსი ტექსტების შედგენისას? | **საკითხი:**<br>ფუნქციური ტექსტები (სარეკლამო განცხადება)<br><br>ზეპირი ინტერაქცია<br><br>ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირები და მათი ბრუნვები<br><br>ინტერაქციული დიალოგის მოსმენის სტრატეგიები;<br><br>სამეტყველო სიტუაციაში საჭირო სტრატეგიები. | **1-ელი კომპლექსური დავალების იდეა**<br><br>**სარეკლამო განცხადების მომზადება გასაყიდი ნივთის შესახებ**<br><br>**დავალების პირობა:**<br><br>წარმოიდგინე, რომ ლუარსაბსა და დარეჯანს ტახტის ყიდვა სურთ და შენ ავეჯის მაღაზია გაქვს. მოამზადე შენი ტახტის სარეკლამო განცხადება.<br><br>**სარეკლამო განცხადებაში და მისი პრეზენტაციისას წარმოაჩინე:**<br><br>• ლუარსაბისა და დარეჯანის ინტერესების ცოდნა;<br>• გასაყიდი ნივთის სრულფასოვანი აღწერილობა (ფერი, ზომები, სხვა მახასიათებლები);<br>• გასაყიდი ნივთის ილუსტრაცია;<br>• გამოყენებულ ზმნებთან სუბიექტური და ობიექტური პირების შეწყობის ცოდნა;<br>• სარეკლამო განცხადების მახასიათებლების (მაღაზიის საიდენტიფიკაციო ნიშნები, საკომუნიკაციო ტელეფონი და ელფოსტა, მოწოდება-სლოგანი, გასაყიდი ნივთის |

| | | |
|---|---|---|
| რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br><br>როგორ შევძლო მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება? | | მახასიათებლები, კლიენტისადმი მიმართვა...) ცოდნა.<br><br>**სარეკლამო განცხადების პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:**<br>• როგორ იმუშავე შენს დავალებაზე (როგორ დაგეგმე, პირველად რა გააკეთე და ა. შ.)?<br>• რატომ არის შენი სარეკლამო განცხადება კლიენტის (ამ შემთხვევაში ლუარსაბისა და დარეჯანის) ინტერესებზე მორგებული?<br>• როგორ ფიქრობ, რატომ უნდა იყიდონ თათქარიძეებმა შენი ტახტი?<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო გასაყიდი ნივთის შესახებ სარეკლამო განცხადების მომზადება?<br><br>როგორ გამოვიყენო წერილობითი და/ან ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები მიზნის მისაღწევად?<br><br>რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად წერა და საუბარი?<br><br>**მე-2 კომპლექსური დავალების იდეა**<br><br>**საოჯახო ნივთის შესაძენი ინტერაქცია ონლაინმაღაზიაში** |

| | | |
|---|---|---|
| | | **დავალების პირობა:**<br><br>მეწყვილესთან ერთად მოამზადე და გაითამაშე **სამზარეულოს** ყიდვის სატელეფონო დიალოგი.<br><br>დიალოგში წარმოაჩინეთ:<br>• კლიენტსა და გამყიდველს შორის კორექტული დამოკიდებულება;<br>• გასაყიდი ნივთის შესახებ ინტერაქცია მისი მახასიათებლებისა და მიწოდების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით;<br>ერთობლივი პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრეთ:<br>• როგორ გაინაწილე მეწყვილესთან როლები და როგორ დაგეგმეთ და შეასრულეთ დავალება;<br>• რამდენად კარგად გამოგივიდათ ის, რაც დაგეგმილი გქონდათ? რა შეიძლებოდა სხვანაირად/უკეთ გაგეკეთებინათ?<br>• როგორ ფიქრობთ ან რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი გათამაშებული დიალოგი რეალურ ცხოვრებაშიც შეიძლება განხორციელდეს?<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო ინტერაქციის დაგეგმვა და წარმართვა ონლაინმაღაზიაში ნივთის შეძენის მიზნით?<br><br>როგორ გამოვიყენო ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები  მიზნის მისაღწევად?<br>რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად საუბარი? |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები** | **შეფასების კრიტერიუმი -** (ზოგადი)<br><br>**მოსწავლეს შეუძლია:** | **შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ: |

| | | |
|---|---|---|
| **მეტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>სამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში, დროსა და სივრცეში ორიენტირება, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.)* ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით და ა.შ.*); ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*<br><br>**ქსტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br>ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად; | **სამეტყველო ქმედება**<br><br>• საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით;<br>• ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად.<br><br>**ტექსტი**<br><br>• ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**<br><br>• სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;<br>• ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიების გამოყენება ენობრივი ცოდნის ასათვისებლად.<br><br>**კულტურათა დიალოგი**<br><br>• განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება და საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა; | • რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა სარეკლამო განცხადების დასაწერად (ზეპირი ინტერაქციის წარსამართად)? **(ე.გ.საშ. 2,3)**<br><br>• რამდენად ეფექტიანად მოახერხე კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - წერილის დაწერა (ზეპირი ინტერაქცია)? რამდენად მიზნობრივად გამოიყენეთ და/ან იყენებთ ნასწავლ ლექსიკასა და გრამატიკულ საკითხებს? **(სამ. ქმ. 1,2)**<br><br>• რა ცოდნა და სტრატეგიები გამოიყენე სარეკლამო განცხადების შესაქმნელად (ზეპირი ინტერაქციისთვის)? როგორ დაგეხმარათ სარეკლამო განცხადების სტრუქტურული მახასიათებლების (ინტერაქციის ელემენტების) ცოდნა ამაში? **(ტ.2,3).**<br>• რა აღმოაჩინე საკომუნიკაციო მიზნით მომზადებული პროდუქტებზე (განცხადება, საუბარი) მუშაობისას? რამდენის დაგჭირდება ცვლილებები მათში სხვა კულტურულ რეალიაში გამოყენებისას? **(კულ. დ. 1,2)** |

| | | |
|---|---|---|
| 9. ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>7. ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br>8. ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);<br>9. ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის;<br><br>**კულტურათა დიალოგი** (შედეგი: 7)<br><br>5. ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას (მაგ., *თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას*);<br>6. განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში. | • კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა. | |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს, რომ მოუწევთ ინტერაქცია კონკრეტული ნივთის ყიდვა-გაყიდვის პროცესში და ამისთვის, ერთი მხრივ უნდა დაამზადონ გასაყიდი ნივთის სარეკლამო განცხადება, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა გაითამაშონ გასაყიდი ნივთის შეძენის დიალოგი.

მასწავლებელი აზუსტებს დავალების პირობებს და წარუდგენს დავალებების ნიმუშებს ან ადრე შესრულებული დავალებების გახსენებით ან ზეპირი საუბრით და რომელიმე სარეკლამო განცხადების მითითებით (იხ. მოსწავლის წიგნის ეს თავი.)

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგვჭირდება კონკრეტული სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად? როგორ/რა სტრატეგიები გამოვიყენოთ საჭირო ენობრივი მასალის ასათვისებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

- სარეკლამო განცხადებისა და საოჯახო ნივთის შეძენისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულები და ენობრივი კონსტრუქციები
- სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები და ზმნური კონსტრუქციების აგება.

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი:** ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის) - მოსწავლის წიგნი და რვეული

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**<u>ქვეცნება:</u>**<br><br>**სტრატეგიები**: ენობრივი საკითხების ასათვისებლად | • როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ სარეკლამო განცხადების დასამზადებლად და იმის წარსადგენად?<br>• სად/როგორ გამოიყენებთ ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირების სათანადო ბრუნვებს?<br>• რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებასა და მათ საკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებაში? |

***ნაბიჯი 2. როგორ მოვახერხოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა -სარეკლამო განცხადების დამზადება და ინტერაქციის გათამაშება? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენოთ ამისთვის?***

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი:** ქართული ენა (დონეების სახელმძღვანელო არაქართულენოვანი სკოლებისათვის) - მოსწავლის წიგნი და რვეული, აუდიოდისკი

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**<u>ქვეცნება:</u>**<br><br>**სტრატეგიები**: სტრატეგიები მოსმენილი/ წაკითხული ტექსტის გასაგებად და შესადგენად; | • როგორ მოემზადებით მოსასმენი და წასაკითხი ტექსტების გასაგებად?<br>• რა ხერხებს გამოიყენებთ მათ გაცნობამდე? მათი გაცნობისას?<br>• კითხვები მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრებისათვის (რა არის დიალოგის საკომუნიკაციო სიტუაცია - ვინ არიან თანამოსაუბრეები ერთმანეთისთვის, რა არის მათი საუბრის თემა, სად მიმდინარეობს დიალოგი)<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს ინტერესებსა და მიზნებს? როგორ გამოხატავთ და დაასაბუთებთ თქვენი ნივთის უპირატესობას (თქვენს ინტერესებს ნივთის შესაძენად)?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

**ნაბიჯი 3. რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენოთ სარეკლამო განცხადების მიხედვით შერჩეული ნივთის შესაძენად საჭირო ინტერაქციის გასამართად?**

ზემოთაღნიშნული ნაბიჯების გადადგმის მიზნით მიმდინარეობს მუშაობა მოსწავლის წიგნის დავალებებისა და სავარჯიშოების რვეულის სავარჯიშოების მიხედვით.

წიგნის თითოეული დავალება და რვეულის თითოეული სავარჯიშო (როგორც ვიცით მათი თანმიმდევრობა ერთმანეთს მიჰყვება. ანუ თუკი, მაგალითად, რვეულის მე-15 სავარჯიშოს მოსდევს მე-18 სავარჯიშო, ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნში უნდა შესრულდეს მე-16 და მე-17 დავალებები და შემდეგ გაგრძელდეს რვეულის მე-18 სავარჯიშოზე მუშაობა.) ემსახურება შუალედურ მიზნებს ანუ კომპლექსური დავალებების შესრულებას.

როგორც ვხედავთ ამ მონაკვეთში ორი კომპლექსური დავალებაა შემოთავაზებული. პირველი კომპლექსური დავალების შესრულება ეხმარება მოსწავლეებს მეორე კომპლექსური დავალების უკეთ მომზადებასა და წარდგენაში.

**აქტივობები:**

- სრულდება წიგნის დავალებები: 32-36, რომლებიც ითვალისწინებს შეთავაზებული სარეკლამო განცხადებების გაგება-გააზრებას.
- სრულდება რვეულის სავარჯიშოები: 37-39, რომლებიც აგრძელებს საინფორმაციო ხასიათის ფუნქციური ტექსტების გაგება-გააზრებას. ამასთან 38-ე და 39-ე სავარჯიშოებში მოსწავლეები აკვირდებიან, თუ რა კოგნიტურ ოპერაციებს ასრულებენ ამა თუ იმ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად.
- სრულდება წიგნის დავალებები: 40-41, რომლებიც გრამატიკულ საკითხებს შეეხება. აქ წარმოდგენილი ზმნების ყველა მწკრივის ყველა ფორმა არაა შემოთავაზებული მოსწავლეთა მიერ დასაზეპირებლად და გასააქტიურებლად. მხოლოდ იმ ფორმებზე გაამახვილებს ყურადღებას მასწავლებელი,

რომლებიც შემოთავაზებულია სავარჯიშოებში და რომლებიც საჭირო იქნება კომპლექსური დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისთვის. (აქვე აღვნიშნავთ და ქვემოთაცაა მოცემული რეკომენდაცია, რომ გრამატიკული თვალსაზრისით ე. წ. მესამე ჯგუფის ზმნებში არის არა „მე" — მე მიყვარს ის, მე მინდა ის — არამედ „ის". თუმცა ჩვენ ზმნების დაჯგუფების მიზნით ვიყენებთ რეალურ სუბიექტს; ანუ, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ამბობს, მესამე ჯგუფის ზმნებში, კონკრეტულად, ჩვენ მიერ განხილულ ზმნაში (მე მეყიდება ის) გრამატიკულად სუბიექტი არის არა „მე", არამედ „ის".)

- სრულდება რვეულის სავარჯიშო: 42, რომელშიც გააქტიურდება ზმნა „გაიყიდა" სხვადასხვა ფორმით, რაც გამოადგებათ კომპლექსური დავალების შესრულებისას და პრეზენტაციისას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ამ ზმნის სხვა საჭირო ფორმების (მაგალითად, „იყიდება") გააქტიურებაშიც.
- სრულდება წიგნის 43-ე დავალება და რვეულის 44-ე-45-ე სავარჯიშოები, რაც წარმოადგენს კომპლექსურ დავალებას სარეკლამო განცხადების დამზადების შესახებ. მოსწავლეები აკეთებენ საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაციებს, ხოლო მსმენელები ავსებენ მსმენელის დღიურს (სავარჯიშო 45).
- სრულდება წიგნის დავალებები: 46-47, და 49, სავარჯიშო 48, რომლებიც ითვალისწინებს კლიენტსა და ონლაინმაღაზიას შორის ნივთის შეძენის მიზნით წარმართული დიალოგის მოსმენა-გააზრებას. ეს დიალოგი უნდა გახდეს ერთგვარი მოდელი მომდევნო კომპლექსური დავალების შესრულებისთვის.
- სრულდება წიგნის დავალებები: 50-51 და რვეულის სავარჯიშოები: 52-53, რაც წარმოადგენს კომპლექსურ დავალებას. მოსწავლეების წყვილებში ასრულებენ ამ დავალებას, გამოიყენებენ სავარჯიშოების რვეულის სივრცეს და წარმოადგენენ. რასაკვირველია, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს პრეზენტაციების დროს სხვა მოსწავლეების მიერ მსმენელის დღიურების შევსება, პრეზენტაციების განხილვა-რეფლექსია დავალების პირობაში შემოთავაზებული შეკითხვების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად მოსწავლეთა შეფასება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი სახით.

**ქვემოთ წარმოდგენილია ამ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ერთგვარი საფეხურები.**

**საფეხური 1**. წინარე ცოდნის გახსენება

- მასწავლებელი კიდევ ერთხელ გაახსენებს მოსწავლეებს წინა დავალებაში მოსმენილ ინტერაქციას კლიენტსა და ონლაინმაღაზიას შორის საძინებლის შეძენის შესახებ. მიმოიხილავენ და გამოკვეთენ დიალოგის მთავარ აქცენტებს და მოინიშნავენ იმ კომპონენტებს, რომლებიც მათ გამოადგებათ კომპლექსური დავალების შესრულებისას.
- ყურადღებას გაამახვილებენ იმაზე, რომ დავალება წყვილებში უნდა შეასრულონ და გადაინაწილონ ფუნქციები. ამასაც სათანადო ყურადღება ექცევა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

**საფეხური 2.** ინტერაქციის მომზადებაზე მუშაობა

- იდეების წამოყენება ნივთის შეძენის მიზნით ინტერაქციის მოსამზადებლად (შინაარსი, რეპლიკები, ინტონაცია... );
- ფუნქციების განსაზღვრა მეწყვილესთან ერთად;
- განსახორციელებელი ეტაპების დაგეგმვა (იდეების გენერირება, შინაარსის გაწერა, როლების გადანაწილება, რეპეტიცია, წარდგენა);
- კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად სათანადო ენობრივი ცოდნის მობილიზება;
- ინტერაქციის პირველადი ვერსიის გათამაშება.
- შეფასების კრიტერიუმების (იხ. ქვემოთ) მიხედვით პირველადი ვერსიის გაუმჯობესება
- ინტერაქციის საბოლოო ვარიანტის შედგენა.

**საფეხური 3.** ინტერაქციის გათამაშება-წარდგენა თანაკლასელების წინაშე:

- პრეზენტაციის დაგეგმვა (სად, როდის, როგორ);

- ფუნქციების განსაზღვრა მასწავლებელთა დახმარებით მეწყვილესთან ერთად (ვინ რომელ ნაწილს წარადგენს, ვინ რის შესახებ ისაუბრებს და ა.შ.);
- პრეზენტაციის მოწყობა და რეფლექსია.

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**სტრატეგიები**: სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციის ეფექტიანობის მისაღწევად; | • რა თავისებურება ახასიათებს ზეპირ ინტერაქციას რომელიმე საოჯახო ნივთის შესაძენად?<br>• როგორ უნდა მოემზადოთ ამ ინტერაქციისთვის?<br>• რა ენობრივი ცოდნა დაგჭირდათ ამისთვის? |

ზეპირი ინტერაქციის შეფასების კრიტერიუმები

| კრიტერიუმი | აკმაყოფილებს | არ აკმაყოფილებს |
|---|---|---|
| საუბარში დაცულია საკომუნიკაციო სიტუაციისთვის შესაფერისი ინტონაცია, ტემპი, გამოთქმა. | | |
| საუბარში გასაგებად და სრულადაა წარმოჩენილი სამიზნე შინაარსი. | | |
| საუბარში გამართულადაა წარმოჩენილი სათანადო ენობრივ-გრამატიკული საშუალებები. | | |
| საუბრის მონაწილეები ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარებისას ითვალისწინებენ ეფექტური კომუნიკაციის ელემენტებს. | | |

**დამატებითი რეკომენდაციები გრამატიკული საკითხების სწავლების მიზნით:**

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ზმნების დაჯგუფება სუბიექტის ბრუნვის მიხედვით. ამ შემთხვევაში ე. წ. მესამე ჯგუფის ზმნებად შერჩეულია ზმნები, რომელთა გრამატიკული სუბიექტი არ შეესაბამება რეალურ სუბიექტს. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას ეს თავისებურება და მიანიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია ზმნების ამ ჯგუფზე დაკვირვება. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს საკითხი არაა საბოლოოდ შეთანხმებული ქართველ ფილოლოგებს შორის, მაგრამ ჩვენი მიზანი არა ამ განხილვაში შესვლაა, არამედ მოსწავლეთათვის შედარებით გასაგები პრინციპით ზმნების დაჯგუფება (ჩვენ მიგვაჩნია, რომ კონსტრუქციებში: „მას უყვარს ის“ და „მას უნდა ის“ სუბიექტი წარმოდგენილია მიცემით ბრუნვაში და არა სახელობითში. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის გადამწყვეტი არა ჩვენი მოსაზრებაა, არამედ მოსწავლეთა აღქმა, რომლებიც სწორედ ასევე აღიქვამენ.)

აგრეთვე, არაა საჭირო მოსწავლის წიგნსა და სავარჯიშოების რვეულში შემოთავაზებული ზმნის ყველა მწკრივის ფორმის გააქტიურება. მთლიანი ცხრილი წარმოდგენილია მხოლოდ დაკვირვების (და არა დაზეპირებისა და ყველა ფორმის გააქტიურების) მიზნით. გააქტიურებული ფორმები შემოთავაზებულია

ავარჯიშოებსა და დავალებებში. მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ მოსწავლეები ავარჯიშოს მხოლოდ იმ ფორმების გამოყენებასა და დამახსოვრებაში, რომლებიც მათ დასჭირდებათ კონკრეტული კომპლექსური დავალების შესრულებისა და წარდგენის მიზნით.

***დავალების შესრულების პროცესში და დავალების წარდგენისას დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)***

- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა;
- რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს პირობის მოთხოვნებთან მიმართებით?
- რამდენად ეფექტიანად მოახერხე რჩევების მიცემა და საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება?
- რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - გზამკვლევის შექმნისას? რატომ?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით აითვისე საჭირო ენობრივი მასალა? რამდენად შეძელი საჭირო ფუნქციური ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება? რატომ?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით მიაღწევ უკეთეს შედეგს?
- შენი თანაკლასელის რომელმა ნაშრომი მოგეწონა ყველაზე მეტად? რატომ? რით?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, თავიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- რის გაუმჯობესებას შეძლებ დამოუკიდებლად? როგორ? რა ხერხებს გამოიყენებ ამისთვის? სად დაგჭირდება დახმარება?

## თემა 2 - არასდროს, არასდროს, არასდროს დანებდე!

**საათების სავარაუდო რაოდენობა -** დამოკიდებულია კონკრეტულ საკლასო ოთახში მყოფი მოსწავლეების მზაობასა და საჭიროებებზე, რაზე დაყრდნობითაც მასწავლებელი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**

1. დისკუსიის დროს საკუთარი პოზიციის გამოხატვა-დასაბუთების ეფექტურად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება დისკუსიაში მონაწილეების ვინაობისა და მათი ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით.
2. ფილმის წარდგენისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა კომპონენტის (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასასრული, ინტონაცია, *ტემპი, ტემბრი...)* გათვალისწინება.
3. საჭირო ლექსიკისა და გრამატიკული მასალის ცოდნა და მისი მიზნობრივი გამოყენება მნიშვნელოვანია დისკუსიისას საკუთარი პოზიციის მართებულად გამოხატვისა და დასაბუთებისათვის და ფილმის შესახებ წარდგენისთვის.
4. განსხვავებული კულტურული რეალიების გაცნობა მეხმარება როგორც ქართულ ენაზე სამეტყველო ქმედებების განხორციელებაში, ასევე საკუთარი კულტურული გარემოს აღქმასა და წარმოჩენაში.

| **გრძელვადიანი მიზანი** | **შუალედური სასწავლო მიზანი N1** | |
|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები:**<br>1) სამეტყველო ქმედება<br>2) ტექსტი<br>3) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br>4) კულტურათა დიალოგი<br><br>**ქვეცნებები**:<br><br>ფუნქციური სამეტყველო აქტები: აღწერა დახასიათება; შეფასება -დამოკიდებულების გამოხატვა);<br><br>ლექსიკა: შესაბამისი, დისკუსიის გასამართად აუცილებელ ლექსიკა (ჩემი აზრით, ...თანახმად, ტექსტიდან, გამომდინარე ... ); გრამატიკა: კავშირი, ნაწილაკი, სიტყვათა რიგი წინადადებაში; რთული სინტაქსური კონსტრუქციები<br>ლიტერატურათმცოდნეობა: შედარება | **საკითხი - პრობლემის გამოკვეთა, მიზეზების დადგენა, ქმედებების შეფასება და პრობლემის დაძლევის გზების დასახვა.** | **კომპლექსური დავალების იდეა**<br><br>**დისკუსია პრობლემის შესახებ**<br><br>**პირობა: გამართეთ დისკუსია ელის პრობლემის გადაჭრის გზების გარშემო.**<br><br>**ამისათვის:**<br><br>დისკუსიის გამართვამდე:<br>• ჩამოაყალიბეთ დისკუსიის წესები და დაიცავით ისინი;<br>• აღწერეთ ელის პრობლემა<br>• ისაუბრეთ მასწავლებლის - მისის ჰოლის, თანაკლასელების და დედის დამოკიდებულებაზე ელის მიმართ.<br>• შეაფასეთ მათი ქმედებები.<br>• გამოიკვლიეთ, რა არის მიზეზი იმისა, რომ ელის ვერავინ ვერ უგებს, საჭიროებისამებრ დაიხმარეთ ტექსტი. |

| | | |
|---|---|---|
| **აფეხურის საკვანძო შეკითხვები:**<br><br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები?<br><br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br><br>• როგორ შევძლო მიზნობრივად და მეტყველება? | | • საბოლოოდ შეჯერდით, რა უნდა გააკეთოს ელიმ, რომ მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს და მისი პრობლემები მოგვარდეს?<br><br>დისკუსიის დასრულების შემდეგ ისაუბრე:<br><br>• რა მოგეწონა ამ აქტივობაში?<br>• რამ გაგიადვილა დისკუსიაში მონაწილეობა?<br>• როგორ დაგეხმარა ტექსტი დისკუსიაში მონაწილეობის მიღების დროს?<br>• რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკული საკითხების და ლექსიკის გამოყენება დისკუსიაში საკუთარი პოზიციის გამოთქმა-დასაბუთებისას?<br>• რა სირთულე შეგხვდა?<br>• რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მოგიწევს მსგავს აქტივობაში მონაწილეობის მიღება?<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო დისკუსიის გამართვა, რა არგუმენტები გავითვალისწინო და ა.შ. როგორ გამოვხატო საკუთარი შეფასება-დამოკიდებულება?<br>როგორ გამოვიყენო მხატვრული ტექსტის ჟანრობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა დისკუსიაში საკუთარი პოზიციის წარმოსაჩენად?<br><br>რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად მეტყველება? |

| ...ნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები | **შეფასების კრიტერიუმი -** (ზოგადი)<br><br>**მოსწავლეს შეუძლია:** | **შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ: |
|---|---|---|
| **...ტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>...ამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ...შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და ...დასაბუთება* და ა.შ.) ხორციელდება სხვადასხვა ...ნობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით ...*ამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ...რუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);<br>...ფექტური სამეტყველო ქმედების ...ანსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი ...აშუალებების შესაბამისობა კონკრეტული ...აკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, ...ომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით ...მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების ...ამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის ...ათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების ...ამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების ...ათვალისწინებით და ა.შ.).*<br><br>**...სტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>...რსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / ...რამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, ...ორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ...იოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი ...და წერილობითი ტექსტი;<br>...რთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ...ანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-...ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ...ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი ...ახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ...როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე ...ონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის ...ესაქმნელად; | • საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით (**სამეტყველო ქმედება**);<br>• ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას (**ტექსტი**).<br><br>• სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად (**ენობრივ-გრამ. საშუალებები**); | • რა სიტყვები და გრამატიკული ფორმები დაგჭირდათ დისკუსიის გამართვისას თქვენი აზრის გამოსახატად? სხვისი აზრის შეწინააღმდეგებისა ან დათანხმებისათვის? რომელი ენობრივი ფორმულები გამოგადგათ აზრის უფრო ლაკონიურად ჩამოსაყალიბებლად?(ე.გ.საშ. 2,3)<br><br>• როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტურად გამართეთ დისკუსია? რამდენად კარგად გადმოეცით თქვენი აზრი? (სამ. ქმ. 1,2) |

| | | |
|---|---|---|
| 2. ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ნობრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>0. ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br>1. ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა და* ა.შ.);<br>2. ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის; | | |

**ომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**ომპლექსური დავალება N 1**

**ირობა: გამართეთ დისკუსია ელის პრობლემის გადაჭრის გზების გარშემო**

**მისათვის:**

ისკუსიის გამართვამდე:

- ჩამოაყალიბეთ დისკუსიის წესები და დაიცავით ისინი;
- აღწერეთ ელის პრობლემა

- ისაუბრეთ მასწავლებლის - მისის ჰოლის, თანაკლასელების და დედის დამოკიდებულებაზე ელის მიმართ.
- შეაფასეთ მათი ქმედებები.
- გამოიკვლიეთ, რა არის მიზეზი იმისა, რომ ელის ვერავინ ვერ უგებს, საჭიროებისამებრ დაიხმარეთ ტექსტი.
- საბოლოოდ შეჯერდით, რა უნდა გააკეთოს ელიმ, რომ მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს და მისი პრობლემები მოგვარდეს?

დისკუსიის დასრულების შემდეგ ისაუბრე:

- რა მოგეწონა ამ აქტივობაში?
- რამ გაგიადვილა დისკუსიაში მონაწილეობა?
- როგორ დაგეხმარა ტექსტი დისკუსიაში მონაწილეობის მიღების დროს?
- რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკული საკითხების და ლექსიკის გამოყენება დისკუსიაში საკუთარი პოზიციის გამოთქმა-დასაბუთებისას?
- რა სირთულე შეგხვდა?
- რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მოგიწევს მსგავს აქტივობაში მონაწილეობის მიღება?

**მე-2 ეტაპი:** წინარე ცოდნის გააქტიურება.

**აქტივობა 1-ელი.** მოსწავლეები საუბრობენ ილუსტრაციისა და თემის სათაურის ირგვლივ;

**დავალება 1-ელი-** ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა გამოთქვან ვარაუდები: სათაურიდან გამომდინარე, რის შესახებ იქნება ტექსტი. ამ აქტივობამ უნდა აღძრას ინტერესი წასაკითხი ტექსტის მიმართ;

ასევე შეიძლება დაისვას დამატებითი შეკითხვები: როგორ ესმით შეზღუდული შესაძლებლობები? რას ეუბნება მათ თემის სათაური? ...

**მე-3 ეტაპი - ძირითად ტექსტზე მუშაობა**

**დავალება 2**. - ტექსტის წაკითხვა და გაგება გლობალურ დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია დამუშავდეს როგორც საკვანძო, ასევე არასაკვანძო ლექსიკური ერთეულები: ზორბა, სიმკვეთრე, მაფხიზლებს, ჭირვეული ...

**დავალება 3**. - ტექსტის გაგების გადამოწმება როგორც დაბალი, ისე მაღალი სააზროვნო კითხვებით.

**სავარჯიშო 4, 5** - მოსწავლეები ადგენენ ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების მნიშვნელობას.

**სავარჯიშო 6. -** ლექსიკური ერთეულების კონტექსტში გამოყენებას ემსახურება.

**სავარჯიშო 7**- ტექსტის გაგება სელექციურ დონეზე. მოსწავლეები შეძლებენ სწორი და არასწორი ინფორმაციის ამოცნობას.

**სავარჯიშო 8**.- ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა ექსპლიციტური კითხვების დასმის საშუალებით გაიაზრონ ტექსტი.

**სავარჯიშო 9. - მიზანი:** ვარაუდების გადამოწმება და მსჯელობა ტექსტის სათაურზე.

**დავალება 10.** - თეორიული მასალა გრამატიკულ საკითხზე მუშაობა: კომპოზიტები.

**სავარჯიშო 11-14**. - კომპოზიტების ამოცნობას, მნიშვნელობის დადგენას და მათს გამოყენებას კონტექსტში.

**დავალება 15**. ტექსტის მე-2 ნაწილის წაკითხვა. ასევე ლექსიკური ერთეულებისა (სძულს, წარმოუდგენელია) და ფრაზების მნიშვნელობის

დადგენა. (გაკრული ხელით, სუნთქვა მეკვრის)

**დავალება 16**. - ტექსტის გაგება-გააზრების გადამოწმება შეკითხვებით.

**დავალება 17.** - მცირე თეორიული მასალის მიზანია მხატვრული ხერხის-შედარების არსის გარკვევა.

**სავარჯიშო 18, 19-** შედარებების საშუალებით წინადადებების შედგენა.

**დავალება 20.** - აქტივობის მიზანი: მოსწავლემ უნდა შეძლოს ელის დახასიათება ტექსტის ორივე ნაწილის მოხედვით.

**სავარჯიშო 21.** - აქტივობის მიზანია, ელის ხასიათის თვისებების გამოსაკვეთად შედარებების გააქტიურება ნასწავლი კავშირებითა და ნაწილაკებით.

**დავალება 22**. -აქტივობის მიზანია, აღძრას ინტერესი და მიმართოს ყურადღება წასაკითხი ტექსტის სათაურის მიხედვით ივარაუდონ, რა შეიძლება მოხდეს წასაკითხ მონაკვეთში. ასევე მნიშვნელოვანია, დაადგინონ ლექსიკური ერთეულების - უდრის, ვქვავდები, მოსაწყენია, მოსაგვარებელი - მნიშვნელობა.

**დავალება 23.** - გადაამოწმებს ტექსტის გაგება-გააზრებას.

**სავარჯიშო 24** - ააქტიურებს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს, რაც ლექსიკის გამდიდრებას ემსახურება.

**სავარჯიშო 25. 26** - ფრაზების შედგენასა და მათი მნიშვნელობის გააზრებისთვის.

**მე-4 ეტაპი - დისკუსიის ელემენტები და მათზე მუშაობა.**

**დავალება 27 -კომპლექსური დავალება.**

**გამართეთ დისკუსია ელის პრობლემის გადაჭრის გზების გარშემო**

**ამისათვის:**

დისკუსიის გამართვამდე:

- **კარგად გაიაზრეთ ტექსტი**
- **ჩამოაყალიბეთ დისკუსიის წესები და დაიცავით ისინი;**

დისკუსიისას:

- **აღწერეთ ელის პრობლემა**
- **ისაუბრეთ მასწავლებლის - მისის ჰოლის, თანაკლასელების და დედის დამოკიდებულებაზე ელის მიმართ.**
- **შეაფასეთ მათი ქმედებები.**
- **გამოიკვლიეთ, რა არის მიზეზი იმისა, რომ ელის ვერავინ ვერ უგებს, საჭიროებისამებრ დაიხმარეთ ტექსტი.**
- **საბოლოოდ შეჯერდით, რა უნდა გააკეთოს ელიმ, რომ მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს და მისი პრობლემები მოგვარდეს?**

**რეკომენდაცია მასწავლებელს:** *უბიძგეთ მოსწავლეებს, რომ დისკუსიისას ელის პრობლემას შეხედონ საკუთარ სკოლაში, კლასში, თემში დამკვიდრებული შეხედულებებიდან გამომდინარე. საუბრისას დასვან შეკითხვა და უპასუხონ, როგორ მოიქცეოდნენ თავად ელის ადგილას.*
*დისკუსიის დასრულების შემდეგ ისაუბრე:*

- **რა მოგეწონა ამ აქტივობაში?**
- **რამ გაგიადვილა დისკუსიაში მონაწილეობა?**

- **როგორ დაგეხმარა ტექსტი დისკუსიაში მონაწილეობის მიღების დროს?**
- **რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკული საკითხების და ლექსიკის გამოყენება დისკუსიაში საკუთარი პოზიციის გამოთქმა-დასაბუთებისას?**
- **რა სირთულე შეგხვდა?**
- **რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მოგიწევს მსგავს აქტივობაში მონაწილეობის მიღება?**

| **დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები:** | სრულყოფილად | ნაწილობრივ |
|---|---|---|
| აყალიბებს საკუთარ პოზიციას | | |
| საკუთარ პოზიციას ამყარებს არგუმენტებით | | |
| დისკუსიაში მონაწილეობის დროს იყენებს თემის შესაბამის ლექსიკას /გრამატიკულ ცოდნას / სტილს | | |
| იცავს დისკუსიის წესებს | | |

**ვარჯიშო 28 - მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას ემსახურება. მოსწავლეები ჩამოწერენ რჩევებს ელის პრობლემის გასააზრებლად.**

**კომენდაცია:** კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალისწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ ფმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**მპლექსური დავალება N2**

**ლი ეტაპი**
**მპლექსური დავალების პირობა**

- **სურვილის შემთხვევაში მასწავლებლის დახმარებით გაეცანით ლელა კოტორაშვილის სტატიას სრულად** http://mastsavlebeli.ge/?p=16672
- **დააკვირდით, რა ნივთები მიიტანეს მისმა მოსწავლეებმა სკოლაში საკუთარი თავის წარსადგენად.**
- **გაეცანით მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან შეთანხმებით შემუშავებულ პრეზენტაციის შეფასების რუბრიკას. სურვილისამებრ, შეიმუშავეთ თქვენთვის მისაღები შეფასების რუბრიკა და მოემზადეთ პრეზენტაციისთვის. ამისათვის:**
- **დაფიქრდი, რა ნივთია შენთვის მნიშვნელოვანი, რომელიც ისე დაგახასიათებს, როგორც გინდა რომ გაგიცნონ.**
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა ტექსტის წაკითხვის დროს? რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა;
- რამდენად ეფექტიანად მოახერხე საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რის გაუმჯობესებას შეძლებ დამოუკიდებლად? როგორ? რა ხერხებს გამოიყენებ ამისთვის? სად დაგჭირდება დახმარება?

## თემა 4 - ბუნება მბრძანებელია

**საათების სავარაუდო რაოდენობა -** დამოკიდებულია კონკრეტულ საკლასო ოთახში მყოფი მოსწავლეების მზაობასა და საჭიროებებზე, რაზე დაყრდნობითაც მასწავლებელი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**

1. ნაცნობი ქვეყნისა და ამ ქვეყნის გამოჩენილი პიროვნების შესახებ ბუკლეტის დამზადების მიზნით მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება და სამიზნე აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინება.
2. ინფორმაციული ხასიათის საკითხავი და მოსასმენი ტექსტების დამუშავება და მათი ჟანრობრივი თავისებურების გათვალისწინება მეხმარება მსგავსი ტექსტების შექმნაში, როგორც წერილობითი (ბუკლეტი) ასევე ზეპირი (სიუჟეტის) სახით.
3. განსხვავებული კულტურული რეალიების გაცნობა მეხმარება როგორც ქართულ ენაზე სამეტყველო ქმედებების განხორციელებაში, ასევე საკუთარი კულტურული გარემოს აღქმასა და წარმოჩენაში.

<table>
<tr><th>გრძელვადიანი მიზანი</th><th colspan="2">შუალედური სასწავლო მიზანი N1</th></tr>
<tr>
<td>სამიზნე ცნებები:<br>1) სამეტყველო ქმედება<br>2) ტექსტი<br>3) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br>4) კულტურათა დიალოგი<br><br>ქვეცნებები:<br><br>ფუნქციური სამეტყველო აქტები (ბუკლეტის შექმნა)<br><br>ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (ბუკლეტის სტრუქტურის, ტონის, სტილის, აუდიტორიის გათვალისწინება)<br>ლექსიკა: ბუკლეტის შესაქმნელად საჭირო ლექსიკური ერთეულები<br>საფეხურის საკვანძო შეკითხვები:<br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები?</td>
<td>საკითხი - მეტყველების ფუნქციური ტიპები (თხრობა, აღწერა)<br>ენის სწავლის სტრატეგიები<br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>ადაპტირებული საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები<br>გრამატიკა (ზმნიზედა)<br>ლექსიკა (ფრაზეოლოგიზმები)<br>სოციოკულტურული რეალიები</td>
<td>კომპლექსური დავალების იდეა<br><br>დაამზადე ბუკლეტი „ნორვეგია და მისი ცნობილი შვილი“.<br><br>ბუკლეტში წარმოაჩინე:<br>• ნორვეგიისა და ფრიტიოფ ნანსენის შესახებ შენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია.<br>• ფრაზეოლოგიზმებისა და ზმნიზედების გამოყენების ცოდნა;<br>• ნორვეგიისადმი დამახასიათებელი კულტურული თავისებურებები.<br><br>ბუკლეტის პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:<br>• რამდენად მუშაობდი წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით;<br>• რა ინფორმაცია დაამატე სახელმძღვანელოში არსებულს?<br>• როგორ და რატომ გააფორმე ილუსტრაციებით შენი ბუკლეტი?</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| • როგორ უნდა გამოვიყენო ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურული ელემენტების ცოდნა როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით მსგავსი ტექსტების შედგენისას?<br><br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br><br>• როგორ შევძლო მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება? | | • რა განსხვავებული კულტურული თავისებურებები დაინახე ნორვეგიასა და საქართველოს შორის?<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო ბუკლეტში კონკრეტული ქვეყნის შესახებ ინფორმაციის ეფექტურად გადმოცემა?<br>რა ენობრივ-გრამატიკული ცოდნა გამოვიყენო დავალების შესრულების მიზნით?<br>როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად საკუთარი ნამუშევრის წარდგენა? |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები** | **შეფასების კრიტერიუმი -** (ზოგადი)<br><br>**მოსწავლეს შეუძლია:** | **შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ: |
| **სამეტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>17. სამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ გარემოში, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.)* ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა* ***ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით*** და ა.შ.);<br>18. ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (***თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები***) გათვალისწინებით *(მაგ., თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).* | **სამეტყველო ქმედება**<br><br>• საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით;<br>• ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად.<br><br>**ტექსტი**<br><br>• ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას. | • რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა ქვეყნისა და პიროვნების შესახებ ბუკლეტის დასამზადებლად? (ე.გ.საშ. 2,3)<br>• რამდენად ეფექტიანად მოახერხე კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - ბუკლეტის დამზადება და წარდგენა? რამდენად მიზნობრივად გამოიყენეთ და/ან იყენებთ ნასწავლ ლექსიკასა და გრამატიკულ საკითხებს? (სამ. ქმ. 1,2)<br>• რა ცოდნა და სტრატეგიები გამოიყენე ბუკლეტის შესაქმნელად? როგორ დაგეხმარათ საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში? (ტ.2,3). |

| | | |
|---|---|---|
| **სტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>რსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / რამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, ორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, იოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br>რთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც მნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი ახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ოგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე ონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის ესაქმნელად;<br>ექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *ათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და რასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი იშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების რთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ბრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>ველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, ინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br>ართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი ეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, ომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის ასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური სოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ბიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, ხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და .შ.);<br>ართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური | **ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**<br><br>• სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;<br>• ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიების გამოყენება ენობრივი ცოდნის ასათვისებლად.<br><br>**კულტურათა დიალოგი**<br><br>• განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება და საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა;<br>• კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა. | • რა აღმოაჩინე ბუკლეტზე მუშაობისას — რამდენად ჰგავს ნორვეგიული კულტურული რეალიები საქართველოსას? (კულ. დ. 1,2) |

| | | |
|---|---|---|
| გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის; | | |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.

- ბუკლეტის დამზადებასთან დაკავშირებული მასალის - ტექსტის დამუშავება
- ბუკლეტის დამზადების საორგანიზაციო საკითხების გააქტიურება
- შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული საკითხების გააქტიურება

**აქტივობა 2**. დავალების მოთხოვნების გააზრება.

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

**რეკომენდაცია:** კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალისწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ნაბიჯი 1. რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგვჭირდება კონკრეტული დავალების განსახორციელებლად? როგორ/რა სტრატეგიები გამოვიყენოთ საჭირო ენობრივი მასალის ასათვისებლად?**

**საჭირო ენობრივი საკითხები:**

- ბუკლეტის დასამზადებლად საჭირო ენობრივი საყრდენები.
- შესაბამისი ენობრივი ფორმულები.
- ფრაზეოლოგიზმებისა და ზმნიზედების გამოყენება.

**და აქტივობები:**

**დი რესურსი:** ქართული ენა (მეათე კლასი) - მოსწავლის წიგნი და რვეული. ინტერნეტრესურსები. ბუკლეტის დასამზადებლად საჭირო მასალა.

**ბები:**
**ავლის წიგნი:** დავალებები: 1,2,3,5,7,12,13,14,17,18- ტექსტის დამუშავების აქტივობები; გრამატიკული ბლოკი
**. რვეული:** სავარჯიშოები: 4,6,8,9,10,11,15,16,19,20 - ტექსტის სხვადასხვა დონეზე გაგებისა და სადისკუსიო საკითხის წამოწევის აქტივობები

| | |
|---|---|
| ზნე ცოდნის (დეკლარატიული, იბისეული, პროცედურული) ატრუირებაზე ორიენტირებული თხვები<br><br>__ნება:__<br><br>**ატეგიები**: ენობრივი თხების ასათვისებლად | • როგორ წაიკითხავთ და გაიაზრებთ ტექსტს?<br>• როგორ ამოიცნობთ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას? როგორ დაიმახსოვრებთ ახალ სიტყვებს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებისა და პოზიციის გამოსახატავად?<br>• როგორ ამოიცნობთ ფრაზეოლოგიზმებს? როგორ გავართმევ თავს საჭირო ინფორმაციის ამოცნობას?<br>რა/რომელი სტრატეგიები / ხერხები დაგეხმარებათ ახალი გრამატიკული საკითხის უკეთ ათვისებაში? |

***ოგორ გავაკეთოთ ბუკლეტი ? როგორ შევიტანოთ საჭირო ინფორმაცია? რა ენობრივი საშუალებები გამოვიყენოთ ამისთვის?***

**და აქტივობები:**

**დი რესურსი:** ქართული ენა (მეათე კლასი) - მოსწავლის წიგნი და რვეული

**ბები:**

**ავლის წიგნი:** წაკითხვამდე; დავალებები: 1-2; 5, 7, 10, 16 - ტექსტის დამუშავების აქტივობები; გრამატიკული ბლოკი
**. რვეული:** სავარჯიშოები: 3, 4, 6, 8, 11, 12, 13,14, 17 - ტექსტის სხვადასხვა დონეზე გაგებისა და სადისკუსიო საკითხის წამოწევის აქტივობები

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**სტრატეგიები**: | • რა თანმიმდევრობით შეასრულებთ სამუშაოს?<br>• რა მთავარ ინფორმაციას შეიტანთ ბუკლეტში?<br>• როგორ გადაანაწილებთ ინფორმაციას?<br>• როგორ/რა ენობრივი საშუალებებით წარმოაჩენთ თქვენს დამოკიდებულებას, რჩევას? როგორ გამოხატავთ თქვენს პოზიციას?<br>• რომელი სიტყვები, ფრაზები შეიძლება გამოიყენოთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? |

***დავალების შესრულების პროცესში და დავალების წარდგენისას დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)***

- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა ტექსტის წაკითხვის დროს? რატომ?
- რა გაგიძნელდა ან გაგიადვილდა ბუკლეტის გაკეთების დროს?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა;
- რამდენად ეფექტიანად მოახერხე სასურველი შედეგის მიღწევა?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რის გაუმჯობესებას შეძლებ დამოუკიდებლად? როგორ? რა ხერხებს გამოიყენებ ამისთვის? სად დაგჭირდება დახმარება?

| **გრძელვადიანი მიზანი** | **შუალედური სასწავლო მიზანი N2** | |
|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები:**<br><br>1) სამეტყველო ქმედება<br>2) ტექსტი<br>3) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br><br>**ქვეცნებები**:<br><br>ფუნქციური სამეტყველო აქტები (სიუჟეტის მომზადება) | **საკითხი -** მეტყველების ფუნქციური ტიპები (თხრობა, აღწერა)<br>ენის სწავლის სტრატეგიები<br>მეტაკოგნიტური სტრატეგიები<br>ადაპტირებული საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები<br>ტელერეპორტაჟი<br>გრამატიკა (ზმნიზედა)<br>ლექსიკა (ფრაზეოლოგიზმები)<br>სოციოკულტურული რეალიები | **კომპლექსური დავალების იდეა**<br><br>**მოამზადე წარმოსახვითი სიუჟეტი მიწისძვრის შესახებ.**<br><br>სიუჟეტში წარმოაჩინე:<br><br>• ინფორმაცია მიწისძვრის ადგილის, სიმძლავრის, ზიანისა და მსხვერპლის შესახებ;<br>• რამდენიმე რეკომენდაცია მიწისძვრის დროს მოქცევის შესახებ. |

| | | |
|---|---|---|
| ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (სიუჟეტის ტექსტური მაორგანიზებელი)<br><br>ლექსიკა: სიუჟეტის მოსამზადებლად საჭირო ლექსიკური ერთეულები, რომელიც შეეხება მიწისძვრასთან დაკავშირებულ თემატიკას.<br>**საფეხურის საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელოთ საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები?<br>• როგორ უნდა გამოვიყენოთ ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურული ელემენტების ცოდნა როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით მსგავსი ტექსტების შედგენისას?<br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენოთ ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br>• როგორ შევძლოთ მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება? | | • ფრაზეოლოგიზმებისა და ზმნიზედების გამოყენების ცოდნა.<br>• შერჩეული გეოგრაფიული მხარის/ქვეყნის კულტურული მახასიათებლების ცოდნა.<br><br>სიუჟეტის პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:<br>• როგორ გაითვალისწინე აუდიტორია სიუჟეტის მომზადებისას;<br>• რა გამოიყენე წაკითხული და მოსმენილი ტექსტებიდან და რა დაამატე საკუთარი ინტერპრეტაციით.<br>• როგორ დაგეგმე სამუშაო და ვინ დაგეხმარა მუშაობის პროცესში.<br>• როგორ წარადგინე სიუჟეტი, რამდენად კმაყოფილი ხარ გამოთქმითა და ინტონაციით?<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო წერილობითი ტექსტის შექმნა<br><br>რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად წერა? |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები** | **შეფასების კრიტერიუმი -** (ზოგადი)<br><br>**მოსწავლეს შეუძლია:** | **შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ: |
| **სამეტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>19. სამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ გარემოში, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.)* ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა* | • საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით (**სამეტყველო ქმედება**); | რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა მიწისძვრის შესახებ სიუჟეტის მოსამზადებლად? (ე.გ.საშ. 2,3) |

| | | |
|---|---|---|
| *ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.);<br>20. ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*<br><br>**ტექსტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>28. არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br>29. ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;<br>30. ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>28. ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს; | • სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად (**ენობრივ-გრამ. საშუალებები**); | • რამდენად ეფექტიანად მოახერხე კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - სიუჟეტის მომზადება და წარდგენა? რამდენად მიზნობრივად გამოიყენეთ და/ან იყენებთ ნასწავლ ლექსიკასა და გრამატიკულ საკითხებს? (სამ. ქმ. 1,2)<br>• რა ცოდნა და სტრატეგიები გამოიყენე სიუჟეტის მოსამზადებლად? როგორ დაგეხმარათ საინფორმაციო ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა ამაში? (ტ.2,3). |

| | | |
|---|---|---|
| 29. ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);<br>30. ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის; | | |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**აქტივობა 1.** წინარე ცოდნის გააქტიურება.

- სიუჟეტის მომზადებასთან დაკავშირებული მასალის - ტექსტის დამუშავება
- სიუჟეტის მომზადების საორგანიზაციო საკითხების გააქტიურება
- შესაბამისი ლექსიკური და გრამატიკული საკითხების გააქტიურება

**აქტივობა 2**. დავალების მოთხოვნების გააზრება.

- ახსენით თქვენი სიტყვებით, რას მოითხოვს თქვენგან დავალება?
- რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ?
- რის შესწავლა დაგჭირდებათ?
- რა გაგიადვილდებათ? რა გაგიძნელდებათ? რაში დაგჭირდებათ დახმარება?

**რეკომენდაცია:** კლასის/მოსწავლეების **საჭიროების გათვალისწინებით შეგიძლიათ** გარკვეული პასუხები მშობლიურ ენაზე მოსთხოვოთ მოსწავლეს, ვინაიდან აქ მოწმდება არა ქართული ენის ცოდნა (ეს არ არის მიზანი), არამედ, ვარკვევთ რა გამოცდილება აქვს მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით.

**აპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**

**ბიჯი 1. რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგვჭირდება კონკრეტული სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად?**

**ჭირო ენობრივი საკითხები:**

- სიუჟეტის მოსამზადებლად საჭირო ლექსიკური ერთეულები.
- ზმნის სხვადასხვა მწკრივის გახსენება- გააქტიურება.
- **ფრაზეოლოგიზმებისა და ზმნიზედების გამოყენება.**

**სურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი:** ქართული ენა (მეათე კლასი) - მოსწავლის წიგნი და რვეული. ინტერნეტრესურსები.

**აქტივობები:**
**მოსწავლის წიგნი:** წაკითხვამდე; დავალებები: 7, 17, 18, 22,23, 24, 28, 29,32 - ტექსტის დამუშავების აქტივობები; გრამატიკული ბლოკი
**მოსწ. რვეული:** სავარჯიშოები: 8,9,10,11,25, 26, 27, 30, 31

**კომენდაცია:** მოცემული კომპლექსური დავალება - მოსწავლისგან მოითხოვს შემოქმედებით - მხატვრული წარმოსახვის და ტექსტის ინტერპრეტირების არებსაც.

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**სტრატეგიები**: პირადი წერილის სტრუქტურის, ტექსტის აგების სტრატეგიები | • როგორ წაიკითხავთ და გაიაზრებთ ტექსტს?<br>• როგორ მოამზადებთ წარმოსახვით სიუჟეტს?<br>• რომელი სიტყვები და ენობრივი საკითხების ცოდნა დაგჭირდებათ სიუჟეტის მოსამზადებლად? |

***ბიჯი 2. როგორ მოვამზადო სიუჟეტი? როგორ მივხვდე, რომ სწორი სტრატეგიები გამოვიყენე?***

**რესურსები და აქტივობები:**

**ძირითადი რესურსი:** ქართული ენა (მეათე კლასი) - მოსწავლის წიგნი და რვეული

**აქტივობები:**

**მოსწავლის წიგნი: წაკითხვამდე;** დავალებები: 7, 17, 18, 22,23, 24, 28, 29,32 - ტექსტის დამუშავების აქტივობები; გრამატიკული ბლოკი
**მოსწ. რვეული:** სავარჯიშოები: 8,9,10,11,25, 26, 27, 30, 31

| | |
|---|---|
| სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები<br><br>**ქვეცნება:**<br><br>**სტრატეგიები:** | • რა უნდა გაითვალისწინო ტექსტის რედაქტირებისას?<br>• რა შინაარსი უნდა ჩანდეს ტექსტში?<br>• რა ლექსიკა და ენობრივი კონსტრუქციები უნდა ჩანდეს?<br>• რისი შეცვლაა საჭირო? |

***დავალების შესრულების პროცესში და დავალების წარდგენისას დასასმელი მეტაკოგნიტური ხასიათის კითხვების ბანკი (შეირჩევა საჭიროებისამებრ)***

- აღწერე, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა;
- რამდენად ეფექტიანად მოახერხე საკუთარი მიზნის განხორციელება?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? მსგავსი სტრატეგიები გამოგიყენებია?
- რის გაუმჯობესებას შეძლებ დამოუკიდებლად? როგორ? რა ხერხებს გამოიყენებ ამისთვის? სად დაგჭირდება დახმარება?

# თემა 5 - ისტორია გვასწავლის

**საათების სავარაუდო რაოდენობა - დამოკიდებული კონკრეტულ საკლასო სივრცეში მყოფი მოსწავლეების საჭიროებებზე, რის მიხედვითაც მასწავლებელი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.**

**თემატური მკვიდრი წარმოდგენები**

1. საკუთარი შეხედულების გამოხატვა-დასაბუთების ეფექტურად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სათანადო ლექსიკური და გრამატიკული საშუალებების გამოყენება.
2. სხვადასხვა ტიპის ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის შესაქმნელად საჭიროა შესაბამისი სტილის (აღწერა, თხრობა, მსჯელობა, არგუმენტირება) გათვალისწინება.
3. განსხვავებული კულტურული რეალიების გაცნობა მეხმარება როგორც ქართულ ენაზე სამეტყველო ქმედებების განხორციელებაში, ასევე საკუთარი კულტურული გარემოს აღქმასა და წარმოჩენაში.

<table>
<tr><th>გრძელვადიანი მიზანი</th><th colspan="2">შუალედური სასწავლო მიზანი N1</th></tr>
<tr>
<td>სამიზნე ცნებები:<br>1) სამეტყველო ქმედება<br>2) ტექსტი<br>3) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br>4) კულტურათა დიალოგი<br><br>ქვეცნებები:<br><br>ფუნქციური სამეტყველო აქტები (ეპოქის /ისტორიული პიროვნების მოღვაწეობის აღწერა / შეფასება - დამოკიდებულების გამოხატვა);<br><br>ლექსიკა: შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა (); გრამატიკა: მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, ბრუნვა და ფუნქციები; ზმნისწინი და თანდებული და მათი ფუნქციები; II თურმეობითი, მისი წარმოება და ფუნქციები სხვადასხვა ტიპის ზმნასთან; სიტყვათა რიგი წინადადებაში; რთული სინტაქსური კონსტრუქციები<br><br>საფეხურის საკვანძო შეკითხვები:<br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები?</td>
<td>საკითხი - საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დასაბუთება დავით აღმაშენებლის მმართველობის ფორმების შესახებ;</td>
<td>კომპლექსური დავალების იდეა<br><br>გამართეთ დისკუსია თემაზე — დავით აღმაშენებლის მიერ ქვეყნის მართვის ფორმები და პრინციპები დღესაც მისაღებია;<br><br>• დისკუსიის გამართვამდე:<br>• ჩამოაყალიბეთ დისკუსიის წესები და დაიცავით ისინი;<br>• აირჩიეთ დისკუსიის წამყვანი;<br>• ჩამოაყალიბე შენი პოზიცია, რამდენად ეთანხმები ზემოთ მოცემულ თვალსაზრისს;<br>• შენი პოზიცია დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით;<br>• შეეცადე ისაუბრო გრამატიკულად სწორი ფორმებით;<br>• შეეცადე გამოიყენო მსჯელობისთვის დამახასიათებელი საუბრის სტილი.<br><br>დისკუსიის დასრულების შემდეგ ისაუბრე:<br><br>• რა მოგეწონა ამ აქტივობაში?<br>• რამ გაგიადვილა დისკუსიაში მონაწილეობა?</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| • როგორ უნდა გამოვიყენო ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურული ელემენტების ცოდნა როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით განსხვავებული ტიპის ტექსტების შედგენისას?<br><br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br><br>• როგორ შევძლო მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება? | | • როგორ დაგეხმარა ტექსტი დისკუსიაში მონაწილეობის მიღების დროს?<br>• რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკული საკითხების და ლექსიკის გამოყენება დისკუსიაში საკუთარი პოზიციის გამოთქმა-დასაბუთებისას?<br>• რა სირთულე შეგხვდა?<br>• რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მოგიწევს მსგავს აქტივობაში მონაწილეობის მიღება?<br>**საკვანძო შეკითხვები:**<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო დავით აღმაშენებლის მეფობის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა?<br><br>როგორ გამოვიყენო საინფორმაციო ტექსტის ჟანრობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა დისკუსიაში საკუთარი პოზიციის წარმოსაჩენად?<br><br>რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად მეტყველება? |
| **საამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები** | **შეფასების კრიტერიუმი -** (ზოგადი)<br><br>**მოსწავლეს შეუძლია:** | **შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ: |
| **სამეტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>21. სამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ გარემოში, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება* და ა.შ.) ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.); | • საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით (**სამეტყველო ქმედება**);<br><br>• ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი | • რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდათ კონკრეტული სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად? **(ე.გ.საშ. 2,3)**<br><br>• რამდენად ეფექტიანად მოახერხეთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება? რამდენად |

| | | |
|---|---|---|
| 2.ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*<br><br>**ტექსტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>1.არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br>2.ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;<br>3.ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>1.ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br>2.ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, | მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას (**ტექსტი**).<br><br>• სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად (**ენობრივ-გრამ. საშუალებები**); | მიზნობრივად გამოიყენეთ და/ან იყენებთ ნასწავლ ლექსიკასა და გრამატიკულ საკითხებს? **(სამ. ქმ. 1,2)**<br><br>• რა ცოდნა და სტრატეგიები გამოიყენეთ თქვენი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად და აუდიტორიისთვის მისი ეფექტიანად წარსადგენად?**(ტ.2,3).** |

| | | |
|---|---|---|
| რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა და ა.შ.*);<br>33. ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის; | | |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**კომპლექსური დავალება (N37)**

გამართეთ დისკუსია თემაზე — **დავით აღმაშენებლის მიერ ქვეყნის მართვის ფორმები და პრინციპები დღესაც მისაღებია;**

- დისკუსიის გამართვამდე:
- ჩამოაყალიბეთ დისკუსიის წესები და დაიცავით ისინი;
- აირჩიეთ დისკუსიის წამყვანი;
- ჩამოაყალიბე შენი პოზიცია, რამდენად ეთანხმები ზემოთ მოცემულ თვალსაზრისს;
- შენი პოზიცია დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით;
- შეეცადე ისაუბრო გრამატიკულად სწორი ფორმებით;
- შეეცადე გამოიყენო მსჯელობისთვის დამახასიათებელი საუბრის სტილი.

დისკუსიის დასრულების შემდეგ ისაუბრე:

- რა მოგეწონა ამ აქტივობაში?
- რამ გაგიადვილა დისკუსიაში მონაწილეობა?
- როგორ დაგეხმარა ტექსტი დისკუსიაში მონაწილეობის მიღების დროს?
- რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკული საკითხების და ლექსიკის გამოყენება დისკუსიაში საკუთარი პოზიციის გამოთქმა-დასაბუთებისას?
- რა სირთულე შეგხვდა?
- რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მოგიწევს მსგავს აქტივობაში მონაწილეობის მიღება?

**აპი II – წინარე ცოდნის გააქტიურება — ისტორიის ცოდნის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა**

აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება და ზოგადი ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე თავში შესასწავლი საკითხების შესახებ. რეკომენდებულია, სწავლეთა ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია ი. ჭავჭავაძის შესახებ, წერილის, როგორც ›ტერატურული ჟანრის შესახებ.

აქტივობის დროს გამოითქმება ვარაუდები: სათაურიდან გამომდინარე, რის შესახებ იქნება ი. ჭავჭავაძის წერილი „ერი და ისტორია". ამ აქტივობამ მოსწავლეებში და აღძრას ინტერესი წერილის მიმართ; თუ მოსწავლეები შეფერხდებიან ვარაუდების გამოთქმისას, შეიძლება დაისვას დამატებითი შეკითხვები: რა არის ერი? რა ;შირია ერსა და ისტორიას შორის? ან საერთოდ, არის კი მათ შორის კავშირი?

წერილის წაკითხვა და გააზრება გლობალურ დონეზე. მნიშვნელოვანია, რომ წაკითხვის პარალელურად განმარტებული იყოს საკვანძო ლექსიკური ერთეულები: ძირკველი, პირქვე დამხობა; ასევე არასაკვანძო ლექსიკური ერთეულები და ფრაზები, რომელთა განმარტებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები არ არის ცემული: უვარგისი, გამორკვეული უნდა ჰქონდეს, ერთი მუჭა ხალხი (მათი განმარტება ტექსტის წაკითხვის დროს მყისიერად და ადვილად შეიძლება). ტექსტის ;ითხვის შემდეგ მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს, რომლებიც მათ ეხმარება ინფორმაციის გლობალურ დონეზე გააზრებაში.

, 5 აქტივობები ემსახურება ლექსიკური ერთეულების და ფრაზების მნიშვნელობების დადგენას, რომლებიც საჭიროა ტექსტის სიღრმისეულად გააზრებისთვის, ლო N6 აქტივობის შეკითხვების საშუალებით დგინდება, რამდენად შეძლო მოსწავლემ წერილის შინაარსის გაგება სელექციურ დონეზე.

აქტივობა არის ფრაზების განმარტება. მათი ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის დეტალურ დონეზე გასაგებად.

აქტივობა ეხმარება მოსწავლეს წერილის მთავარი აზრის შეჯამებაში აბზაცების მიხედვით. ორ ფორმულირებას შორის მოსწავლემ უნდა ამოარჩიოს სწორი ›რმულირება და არასწორი გადახაზოს. ყველა ზემოთ შეთავაზებული აქტივობა მოსწავლეს აძლევს ფართო შესაძლებლობას, რომ N9 აქტივობაში გადმოსცეს ჩილის მთავარი არსი. ამაში მას დაეხმარება შეკითხვებზე პასუხები გლობალურ, სელექციურ და დეტალურ დონეზე, განმარტებული ფრაზები, მზა ფორმით ›რმულირებული აბზაცების შემაჯამებელი ფრაზები.

**აპი III – ძირითად ტექსტზე მუშაობა - დავით აღმაშენებლის ეპოქა**

0 მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს რა იციან დავით აღმაშენებლის ეპოქის, ბრძოლების შესახებ; აძლევს მათ საშუალებას, გამოთქვან ნებისმიერი ფორმაცია ამ პიროვნების შესახებ. აქტივობის მიზანია ტექსტის წაკითხვამდე წინარე ცოდნის გააქტიურება, თემის მიმართ ინტერესის აღძვრა.

1 მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, პარალელურად ეცნობიან საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს და იაზრებენ ტექსტს გლობალურ დონეზე.

2 აქტივობა მოსწავლეს დაეხმარება ლექსიკური ერთეულების დადგენაში, ახალი ფორმების წარმოებასა და შემდეგ მათ გამოყენებაში კონტექსტის ›ვალისწინებით: მაგ. სუსტი — ძალაგამოცლილი; სუსტი — **და**სუსტ**ებული**; დავითმა ------------------ (დასუსტებული) სამეფო ჩაიბარა.

3 მოსწავლე ადგენს ფრაზების მნიშვნელობებს. აქტივობის მიზანია, ტექსტის გაგება-გააზრება დეტალურ დონეზე.

**ეტაპი III – დისკუსიის ელემენტები და მათზე მუშაობა**

N14 აქტივობის შესრულებისას მოსწავლე უნდა დაეთანხმოს ან უარყოს მოცემული დებულება. არჩეული პოზიცია უნდა დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტით ტექსტიდან. აქტივობა ავითარებს არგუმენტული მსჯელობის უნარს.

N15, 19 აქტივობაში მოსწავლეებს განემარტებათ II თურმეობითის არსი. ეს არის საკმაოდ რთული საკითხი, ამიტომ მისი სწავლების დროს მასწავლებელმა რამდენიმე ნიუანსი უნდა გაითვალისწინოს:

1) მისი შინაარსობრივი ფუნქცია ( როდის, რა შემთხვევების დროს არის მისი გამოყენება საჭირო)
2) ზმნის ფორმაცვალება II თურმეობითში ( ზმნის ინვერსიულობა: **ვ**სწავლობ — **მ**ესწავლა; მეშველზმნიანი ფორმები: მივდივარ — წავსულიყავი; )
3) ზმნის სუბიექტ-ობიექტთან ურთიერთობა ბრუნვებში ( სწავლობს ის მას — ესწავლა მას ის; ეხმარება ის მას — დახმარებოდა ის მას)
4) II თურმეობითში ერთი პირის დაკლება (ასწავლის ის მას მას — ესწავლებინა მას ის (მისთვის)

ცხადია, რომ ეს საკმაოდ ბევრი და რთული ინფორმაციაა. სწორედ ამიტომ ეს საკითხი ეტაპობრივად არის მოცემული სახელმძღვანელოში (N15 და N 19). N15 აქტივობა ეთმობა II თურმეობითის არსის განსაზღვრას და წარმოების წესის ჩვენებას. რეკომენდებულია, მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია ზმნის ინვერსიულობის შესახებ. N19 აქტივობა კი განმარტავს II თურმეობითში სახელების ბრუნვებში შეწყობის წესებს.

N16 აქტივობაში მოსწავლე აწარმოებს აწმყოს და II თურმეობითის ფორმებს, რომლებსაც წერს ცხრილის შესაბამის გრაფაში. ცხრილში II თურმეობითის ზოგი ფორმა მოცემულია, რაც ზოგად ყალიბს წარმოადგენს და მოსწავლეს ეხმარება, მოუძებნოს ზმნას შესაბამისი ფორმა.

N17 აქტივობაში მოსწავლე წინა აქტივობაში ნაწარმოები ფორმების დახმარებით ასრულებს წინადადებებს. ეს სავარჯიშო კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ მოსწავლემ გამიჯნოს, როდის შეიძლება გამოიყენოს აწმყო და როდის II თურმეობითი.

N18 — მოსწავლე წინასწარ მოცემული ლექსიკური ერთეულების ჩასმით ასრულებს წინადადებას. აქტივობაა მოსწავლეს საშუალებას აძლევს განსაზღვროს II თურმეობითთან შეწყობილი სახელების ბრუნვები. ამის შესასრულებლად შესაძლოა საჭირო გახდეს აქტივობა N15-თან დაბრუნება და იქ მოცემული კანონზომიერების თავიდან გადაკითხვა. წინადადებები თემის კონტექსტის გათვალისწინებით არის შედგენილი. ეს კიდევ ერთი დამხმარე საშუალებაა იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს აღნიშნულ თემაზე აზრის სწორი ფორმით ჩამოყალიბება.

N20 აქტივობაში მოსწავლეები ავსებენ ნაკლულ ფორმებს ცხრილში. აქტივობის მიზანია, მოსწავლემ ყურადღება მიაქციოს, როგორ იწარმოება მოქმედებითი გვარისა და ვნებითი გვარის ზმნები II თურმეობითში და რა განსხვავება არსებობს მათ შორის ამ მწკრივში. რეკომენდებულია, მასწავლებელმა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს შორის განსხვავება მათ ფორმაზე დაკვირვებით დაანახოს მოსწავლეებს:

სწავლობ**ს** / ეხმარებ**ა** (აწმყო)

სწავლობ**ს** ის მას — ესწავლა მას ის;

ეხმარებ**ა** ის მას — დახმარებოდა ის მას;

ილად ჩანს, რომ II თურმეობითში მოქმედებითი გვარის ზმნებთან შეწყობილი პირები იცვლიან ბრუნვებს, ხოლო ვნებითი გვარის ზმნებთან კი პირები ენვაუცვლელნი არიან.

ენვების შეწყობის წესთან ერთად, მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება უნდა გაამახვილოს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნების ფორმებზეც II რმეობითში;

რო კონკრეტულად: მოქმედებითი გვარის ზმნებისთვის II თურმეობითში დამახასიათებელი ინვერსია (სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნიშანთა შებრუნება) და სთანავე დაირთავენ ე-----------------ა აფიქსებს: მესწავლა / გესწავლა / ესწავლა / გვესწავლა / გესწავლათ / ესწავლათ;

**ა შეეხება ორპირიან ვნებითი გვარის ზმნებს, II თურმეობითში ისინი იღებენ შემდეგ დაბოლოებებს:**

დავხმარებ-**ოდი** მას ჩვენ დავხმარებ-**ოდით** მას

დახმარებ-**ოდი** მას თქვენ დახმარებ-**ოდით** მას

დახმარებ-**ოდა** მას ისინი დახმარებ-**ოდნენ** მას

**ოპირიანი ვნებითი გვარის ზმნები კი II თურმეობითში მეშველ ზმნას დაირთავენ:**

გავზრდილ**იყავი** ჩვენ გავზრდილ**იყავით**

გაზრდილ**იყავი** თქვენ გაზრდილ**იყავით**

გაზრდილ**იყო** ისინი გაზრდილ**იყვნენ**

. აქტივობაში მოსწავლე წინა აქტივობაში ნაწარმოები ფორმების დახმარებით ასრულებს წინდადებებს.

2 აქტივობა — მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, პარალელურად ეცნობიან საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს და იაზრებენ ტექსტს გლობალურ დონეზე.

3 აქტივობა მოსწავლეს დაეხმარება ლექსიკური ერთეულების და ფრაზების მნიშვნელობების დადგენაში, რომელთა დახმარებით ტექსტს გაიაზრებს სელექციურ დეტალურ დონეზე (N24, 25 და 26 აქტივობები).

7 აქტივობა — მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, პარალელურად ეცნობიან საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს და იაზრებენ ტექსტს გლობალურად.

3 აქტივობა — მოსწავლეები ლექსიკურ ერთეულებს უკავშირებენ შესაბამის განმარტებებს.

) აქტივობა — მოსწავლეები უპასუხებენ შეკითხვებს. შეკითხვები ემსახურება ტექსტის გაგება-გააზრებას სელექციურ დონეზე. საჭიროებიდან გამომდინარე, აძლებელია ზოგი შეკითხვა სხვაგვარად ფორმულირდეს. მაგ. როგორი იყო თბილისის მოსახლეობა ეთნიკური შემადგენლობით? / რა ეროვნების ხალხები

ცხოვრობდნენ თბილისში მაშინ? / თბილისში იმ დროს მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ? შეკითხვების დიფერენცირება საჭიროა იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი ხედავს, რომ მოცემული შეკითხვა რთულად აღსაქმელია რომელიმე მოსწავლისთვის.

N30, 31, 32, 44, 45, 46, 47 აქტივობები გამიზნულია ისევ II თურმეობითის ფორმების წარმოებასა და მათ გამოყენებაში გასავარჯიშებლად, ვინაიდან ტექსტში მრავლად არის ამ მწკრივის ზმნები და ამ თემაზე საუბრისას თუ წერისას მოსწავლეებს მოუწევთ ამ ფორმების გამოყენება.

N34 აქტივობა — მოცემულია დებულებები. მოსწავლე უნდა დაეთანხმოს მას ან უარყოს იგი. ნებისმიერ შემთხვევაში თავისი პოზიცია მან უნდა დაასაბუთოს ტექსტიდან მოყვანილი არგუმენტით. N 34 აქტივობა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ისევე, როგორც N35 აქტივობა — მოსწავლე მსჯელობს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები რამდენად კმაყოფილნი ან უკმაყოფილონი იქნებოდნენ დავითის მმართველობით და ასაბუთებს აზრს შესაბამისი არგუმენტით.

N36 აქტივობა ხელს უწყობს სამივე ტექსტის შეჯამებას. მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ შემდეგ საკითხებზე:

ა) დავით აღმაშენებლის სამხედრო პოლიტიკა;

ბ) დავით აღმაშენებლის საკადრო პოლიტიკა;

გ) დავით აღმაშენებლის საზოგადოებასთან ურთიერთობა;

დ) დავით აღმაშენებლის საგანმანათლებლო პოლიტიკა;

ე) დავითი, როგორც პიროვნება

აქტივობა გამიზნულია ლაპარაკის უნარის განსავითარებლად, თუმცა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია იქცეს წერით დავალებადაც.

**N37 აქტივობა — კომპლექსური დავალება**

გამართეთ დისკუსია თემაზე — **დავით აღმაშენებლის მიერ ქვეყნის მართვის ფორმები და პრინციპები დღესაც მისაღებია;**

- დისკუსიის გამართვამდე:
- ჩამოაყალიბეთ დისკუსიის წესები და დაიცავით ისინი;
- აირჩიეთ დისკუსიის წამყვანი;
- ჩამოაყალიბე შენი პოზიცია, რამდენად ეთანხმები ზემოთ მოცემულ თვალსაზრისს;
- შენი პოზიცია დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით;
- შეეცადე ისაუბრო გრამატიკულად სწორი ფორმებით;
- შეეცადე გამოიყენო მსჯელობისთვის დამახასიათებელი საუბრის სტილი.

დისკუსიის დასრულების შემდეგ ისაუბრე:

- რა მოგეწონა ამ აქტივობაში?
- რამ გაგიადვილა დისკუსიაში მონაწილეობა?
- როგორ დაგეხმარა ტექსტი დისკუსიაში მონაწილეობის მიღების დროს?
- რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკული საკითხების და ლექსიკის გამოყენება დისკუსიაში საკუთარი პოზიციის გამოთქმა-დასაბუთებისას?
- რა სირთულე შეგხვდა?
- რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მოგიწევს მსგავს აქტივობაში მონაწილეობის მიღება?

| **დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები:** | სრულყოფილად | ნაწილობრივ |
|---|---|---|
| აყალიბებს საკუთარ პოზიციას | | |
| საკუთარ პოზიციას ამყარებს არგუმენტებით | | |
| დისკუსიაში მონაწილეობის დროს იყენებს თემის შესაბამის ლექსიკას /გრამატიკულ ცოდნას / სტილს | | |
| იცავს დისკუსიის წესებს | | |

| **გრძელვადიანი მიზანი** | **შუალედური სასწავლო მიზანი N 2** | |
|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები:**<br>1) სამეტყველო ქმედება<br>2) ტექსტი<br>3) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br><br>**ქვეცნებები**:<br>ფუნქციური სამეტყველო აქტები (ისტორიული პიროვნების / პერსონაჟის დახასიათება / შეფასება - დამოკიდებულების გამოხატვა);<br><br>ლექსიკა: შესაბამისი დარგობრივი ლექსიკა (); გრამატიკა: მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, ბრუნვა და ფუნქციები; ზმნისწინი და თანდებული და მათი | **საკითხი— მხატვრული ტექსტის მიხედვით რომელიმე პერსონაჟის დახასიათება** | **კომპლექსური დავალების იდეა**<br><br>**კომპლექსური დავალების იდეა**<br>**აირჩიე რომელიმე პერსონაჟი და დაახასიათე იგი.**<br><br>პერსონაჟის დახასიათებისას<br>• აღნიშნე მისი ვინაობა /წარმომავლობა;<br>• ისაუბრე მისი გადაწყვეტილების შესახებ;<br>• ყურადღება გაამახვილე მის თვისებებსა და ემოციურ მდგომარეობაზე;<br>• შენი თვალსაზრისი დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით ტექსტიდან;<br>• გადმოეცი შენი დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ;<br>• ტექსტი გამართე გრამატიკული წესების დაცვით; |

<table>
<tr>
<td>ფუნქციები; II თურმეობითი, მისი წარმოება და ფუნქციები სხვადასხვა ტიპის ზმნასთან; სიტყვათა რიგი წინადადებაში; რთული სინტაქსური კონსტრუქციები<br><br>საფეხურის საკვანძო შეკითხვები:<br><br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები?<br><br>• როგორ უნდა გამოვიყენო ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურული ელემენტების ცოდნა როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით განსხვავებული ტიპის ტექსტების შედგენისას?<br><br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br><br>• როგორ შევძლო მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება?</td>
<td></td>
<td>წარადგინე ნამუშევარი კლასში.<br><br>წარდგენის შემდეგ ისაუბრე:<br><br>• რა დაგეხმარა დავალების შესრულებაში?<br>• რა სირთულე შეგხვდა?<br>• რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მსგავსი დავალების შესრულება მოგიწევს?<br><br>საკვანძო შეკითხვები:<br><br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო პერსონაჟის დახასიათება?<br><br>როგორ გამოვიყენო მხატვრული ტექსტის ჟანრობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა პერსონაჟის სახის აღსაწერად?<br><br>რა ენობრივი ცოდნა გამოვიყენო კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად? როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად მეტყველება?</td>
</tr>
<tr>
<td>სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები</td>
<td>შეფასების კრიტერიუმი - (ზოგადი)<br><br>მოსწავლეს შეუძლია:</td>
<td>შეფასების კრიტერიუმი - (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:</td>
</tr>
<tr>
<td>სამეტყველო ქმედება (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>23. სამეტყველო ქმედებები (მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ გარემოში, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.) ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით და ა.შ.);<br>24. ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი</td>
<td>• საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით (სამეტყველო ქმედება);<br><br>• ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას (ტექსტი).</td>
<td>(კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:<br>• რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდათ კონკრეტული სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად? (ე.გ.საშ. 2,3)<br><br>• რამდენად ეფექტიანად მოახერხეთ კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - საკუთარი</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*<br><br>**ტექსტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>34.არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br>35.ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;<br>36.ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>34.ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br>35.ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური* | • სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად (**ენობრივ-გრამ. საშუალებები**); | პოზიციის არგუმენტირებული დასაბუთება? რამდენად მიზნობრივად გამოიყენეთ და/ან იყენებთ ნასწავლ ლექსიკასა და გრამატიკულ საკითხებს? **(სამ. ქმ. 1,2)**<br><br>• რა ცოდნა და სტრატეგიები გამოიყენეთ პერსონაჟის დასახასიათებლად და აუდიტორიისთვის მისი ეფექტიანად წარსადგენად?**(ტ.2,3).** |

| | | |
|---|---|---|
| *ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა და* ა.შ.);<br>6.ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის; | | |

**ტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

**ომპლექსური დავალება ( 67)**

ირჩიე რომელიმე პერსონაჟი და დაახასიათე იგი.

ერსონაჟის დახასიათებისას

- აღნიშნე მისი ვინაობა /წარმომავლობა;
- ისაუბრე მისი გადაწყვეტილების შესახებ;
- ყურადღება გაამახვილე მის თვისებებსა და ემოციურ მდგომარეობაზე;
- შენი თვალსაზრისი დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით ტექსტიდან;
- გადმოეცი შენი დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ;
- ტექსტი გამართე გრამატიკული წესების დაცვით;

არადგინე ნამუშევარი კლასში. წარდგენის შემდეგ ისაუბრე:

- რა დაგეხმარა დავალების შესრულებაში?
- რა სირთულე შეგხვდა?
- რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მსგავსი დავალების შესრულება მოგიწევს?

**ტაპი II – მხატვრულ ტექსტზე მუშაობა**

აში მოსწავლეები აკვირდებიან ილუსტრაციას და გამოთქვამენ ვარაუდებს, დავით აღმაშენებლის ცხოვრების რომელ პერიოდს შეეხება წასაკითხი ასწავლეებმა ილუსტრაციაზე არსებული დეტალები უნდა დაუკავშირონ დავითის შესახებ შესწავლილ ტექსტებს და ლოგიკური კავშირი დაინახონ ასა და რომელიმე პერიოდს შორის. აქტივობის მიზანია, წასაკითხი ეპიზოდის მიმართ ინტერესის აღძვრა და წინარე ცოდნის გააქტიურება.

ა — მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, პარალელურად ეცნობიან საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს და იაზრებენ ტექსტს გლობალურ დონეზე.

ის ა) პუნქტში მოსწავლე ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას აკავშირებს შესაბამის განმარტებასთან, ხოლო ბ) პუნქტში იყენებს მათ — კონტექსტის ამს წინადადებაში გამოტოვებულ ადგილას. აქტივობის მიხედვით მოწმდება, რამდენად სწორად გაიგო მოსწავლემ ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა.

ებზე პასუხის გაცემა. აქტივობის მიზანია ტექსტის გააზრება სელექციურ დონეზე.

ვლემ თავისი სიტყვებით უნდა განმარტოს ტექსტში არსებული ესა თუ ის ფრაზა. ფრაზების მნიშვნელობების ცოდნა მას დაეხმარება ტექსტის ონეზე გააზრებაში. ამ აქტივობის გაგრძელებას წარმოადგენს აქტივობა N43, რომელშიც მოცემულია ინფორმაციები ტექსტიდან, მხოლოდ ლი ფორმულირებით. თუ მოსწავლემ სწორად გაართვა თავის წინა დავალებას — განმარტა ფრაზები თავისი სიტყვებით, დაუბრკოლებლად შეასრულებს ასაც. N42, 43 აქტივობები განსაზღვრულია ტექსტის დეტალურ დონეზე გასააზრებლად.

ტრაციაზე დაკვირვებით მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, რა მოხდება, შემდეგ ეპიზოდში. მიზანი, რა თქმა უნდა, ინტერესის გამოწვევაა ექსტის მიმართ.

ა — მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, პარალელურად ეცნობიან საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს და იაზრებენ ტექსტს გლობალურ დონეზე.

ვლეები თავიანთი განმარტავენ ფრაზებს. აქტივობა მათ დაეხმარებათ ტექსტის გაგება-გააზრებაში სელექციურ დონეზე.

ა წარმოადგენს ცხრილს. ცხრილში თითო გრაფა უჭირავს დიალოგში მონაწილე პერსონაჟის ცალკეულ ფრაზას. მოსწავლემ თითოეულ ფრაზას უნდა უ ვინ ამბობს მას. აქტივობა კარგი დამხმარე საშუალებაა დიალოგის მთელ არსში გასარკვევად, რადგან მოსწავლეები დააზუსტებენ, თუ ვის ეკუთვნის აზა. დიალოგში ზოგჯერ ეს მითითებული არ არის, ამიტომ მოსწავლეებმა თავად უნდა განსაზღვრონ ფრაზის ავტორი. ეს მათ დაეხმარებათ ტექსტის გებაში და მომდევნო N52 აქტივობის შესრულებაში, რომლის მიზანი ასევე ტექსტის დეტალური გაგებაა.

ა წარმოადგენს შეკითხვებს, რომლებსაც მოსწავლეებმა პასუხი ტექსტზე დაყრდნობით, არგუმენტების დამოწმებით უნდა გასცენ პასუხი. აქტივობა კრიტიკული უნარ-ჩვევის განვითარებას.

ის მიზანია პირდაპირი ნათქვამის არსის გაცნობა. თეორიული მასალას ახლავს მაგალითები. ტექსტის შემდეგ მოცემულია შეკითხვები, რომლებიც მდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა მოცემული გრამატიკული საკითხი. რეკომენდებულია, მასწავლებელმა შესთავაზოს პირდაპირი ნათქვამის სხვა ც.

N55, 56, 57, 58, 59, 60 აქტივობები გამიზნულია პირდაპირი ნათქვამის სტრუქტურაზე დასაკვირვებლად, გასავარჯიშებლად, რომ მოსწავლემ შეძლოს სწორად დასვას სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან, როცა ა) ავტორის სიტყვები წინ უსწრებს პირდაპირ ნათქვამს; ბ) ავტორის სიტყვები მოსდევს პირდაპირ ნათქვამს; N59 და N60 აქტივობები მოსწავლეს დაეხმარება სწორად გამოიყენოს პირდაპირი ნათქვამის ნაწილაკები: -მეთქი, -თქო და -ო.

N61 აქტივობა — ილუსტრაციაზე დაკვირვებით მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, რა მოხდება, შემდეგ ეპიზოდში. მიზანი, რა თქმა უნდა, ინტერესის გამოწვევაა წასაკითხი ტექსტის მიმართ.

N62 აქტივობა — მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, პარალელურად ეცნობიან საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს და იაზრებენ ტექსტს გლობალურ დონეზე.

N63 აქტივობა — მოსწავლე ფრაზას აკავშირებს შესაბამის განმარტებასთან, ხოლო მომდევნო N64 აქტივობაში ასრულებს აზრს, რა ჩაიდინა თითოეულმა პერსონაჟმა უფლისწულის გადასარჩენად. ორივე აქტივობა ტექსტის სელექციურ დონეზე გაგებაში ეხმარება მოსწავლეს.

N65 აქტივობა წარმოადგენს შეკითხვებს, რომლებზე პასუხის გაცემის შემდეგ დგინდება, რამდენად გაიაზრეს მოსწავლეებმა ტექსტი სელექციურ და დეტალურ დონეზე.

N66 აქტივობა წარმოადგენს ცხრილს, რომელშიც ჰორიზონტალურად ჩაწერილია ეპიზოდში მონაწილე პერსონაჟების სახელები, ხოლო ვერტიკალურ სვეტში ჩამოწერილია თვისებები. მოსწავლეები თითოეულ პერსონაჟის გასწვრივ მონიშნავენ თვისებას; ხოლო ამავე სავარჯიშოს ბ) პუნქტში უნდა დაასაბუთონ თავიანთი არჩევანი — რა არგუმენტს მოიყვანენ ტექსტიდან, რომ, მაგალითად, მაისა არის გაბედული? საიდან ჩანს ეს? აქტივობა კარგი საშუალებაა ტექსტის სამივე ეპიზოდის გასამეორებლად და, ასევე, კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად. ამ დავალების ხარისხიანად შესრულება წინაპირობა იქნება (სხვა აქტივობებთან ერთად, რა თქმა უნდა), მომდევნო, კომპლექსური დავალების წარმატებით განხორციელებისა.

**ეტაპი III – პერსონაჟის დახასიათების დაწერა ქვემოთ მოცემული მითითებების მიხედვით**

**N67 აქტივობა — კომპლექსური დავალების განხორციელება**

აირჩიე რომელიმე პერსონაჟი და დაახასიათე იგი.

პერსონაჟის დახასიათებისას

- აღნიშნე მისი ვინაობა /წარმომავლობა;
- ისაუბრე მისი გადაწყვეტილების შესახებ;
- ყურადღება გაამახვილე მის თვისებებსა და ემოციურ მდგომარეობაზე;
- შენი თვალსაზრისი დაასაბუთე შესაბამისი არგუმენტებით ტექსტიდან;
- გადმოეცი შენი დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ;
- ტექსტი გამართე გრამატიკული წესების დაცვით;

წარადგინე ნამუშევარი კლასში.

წარდგენის შემდეგ ისაუბრე:

- რა დაგეხმარა დავალების შესრულებაში?
- რა სირთულე შეგხვდა?
- რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მსგავსი დავალების შესრულება მოგიწევს?

| **პერსონაჟის დახასიათების შეფასების კრიტერიუმები:** | სრულყოფილად | ნაწილობრივ |
|---|---|---|
| ასახელებს პერსონაჟის ვინაობას | | |
| აღნიშნავს პერსონაჟის თვისებებს | | |
| პერსონაჟის შესახებ საკუთარ მოსაზრებას ამყარებს ტექსტიდან მოხმობილი არგუმენტებით | | |
| პერსონაჟის დახასიათებისას იყენებს თემის შესაბამის ლექსიკას /გრამატიკულ ცოდნას / სტილს | | |

| **გრძელვადიანი მიზანი** | **შუალედური სასწავლო მიზანი N3** | |
|---|---|---|
| **სამიზნე ცნებები:**<br><br>1) სამეტყველო ქმედება<br>2) ტექსტი<br>3) ენობრივ-გრამატიკული საშუალებები<br>4) კულტურათა  დიალოგი<br><br>**ქვეცნებები**:<br><br>ფუნქციური სამეტყველო აქტები (საინფორმაციო-პრაგმატული ტიპის ტექსტის შექმნა)<br><br>ტექსტის სტრუქტურა და ორგანიზება (ბუკლეტის სტრუქტურის, ტონის, სტილის, აუდიტორიის გათვალისწინება) | **საკითხი— საინფორმაციო-პრაგმატული ხასიათის ტექსტის შექმნა ახალი კომპიუტერული თამაშის შესახებ** | **კომპლექსური დავალების იდეა**<br><br>**კომპლექსური დავალების იდეა**<br>**შექმენი ტექსტი დახურულ ჯგუფში დაპოსტვის მიზნით.**<br><br>პოსტის მიზანია, ახალი კომპიუტერული თამაშის შესახებ ინფორმაციის გაცნობა.<br><br>დავალებაზე მუშაობისას:<br><br>• აზრი გადმოეცი მოკლედ და ლაკონიურად;<br>• შეეცადე ინფორმაცია იყოს ზუსტი და კონკრეტული;<br>• დაიცავი შესაბამისი სტილი; |

| | | |
|---|---|---|
| ლექსიკა: ტექსტის შესაქმნელად საჭირო ლექსიკური ერთეულები<br>**საფეხურის საკვანძო შეკითხვები:**<br>• როგორ და რა სტრატეგიების გამოყენებით უნდა განვახორციელო საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სამეტყველო ქმედებები?<br>• როგორ უნდა გამოვიყენო ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლებისა და სტრუქტურული ელემენტების ცოდნა როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით მსგავსი ტექსტების შედგენისას?<br>• რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ზეპირი და წერილობითი ტექსტის როგორც გაგება-გააზრებისათვის, ისე მის შესადგენად?<br>• როგორ შევძლო მიზნობრივად და მართებულად წერა და მეტყველება? | | • ტექსტი გამართე გრამატიკული წესების დაცვით;<br>• დაურთე ფოტო ან ვიდეო.<br><br>განათავსე პოსტი დახურულ ჯგუფში.<br><br>განთავსებისა და გაცნობის შემდეგ ისაუბრე:<br>• რა დაგეხმარა დავალების შესრულებაში?<br>• რა სირთულე შეგხვდა?<br>რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მსგავსი დავალების შესრულება მოგიწევს?<br><br>**საკვანძო შეკითხვები:**<br>როგორ / რა სტრატეგიების გამოყენებით შევძლო ტექსტში ახალი კომპიუტერული თამაშის შესახებ ინფორმაციის ეფექტურად გადმოცემა?<br>რა ენობრივ-გრამატიკული ცოდნა გამოვიყენო დავალების შესრულების მიზნით?<br>როგორ მოვახერხო მიზნობრივად და მართებულად საკუთარი ნამუშევრის წარდგენა? |
| **სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები** | **შეფასების კრიტერიუმი -** (ზოგადი)<br><br>**მოსწავლეს შეუძლია:** | **შეფასების კრიტერიუმი -** (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)<br>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ: |
| **სამეტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)<br><br>25. სამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ გარემოში, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება* და ა.შ.) ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით* და ა.შ.); | **სამეტყველო ქმედება**<br><br>• საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო ქმედებების განხორციელება ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით;<br>• ზეპირი და წერითი მეტყველების სათანადო სტრატეგიების გამოყენება მიღწევების გასაუმჯობესებლად. | • რა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) ცოდნა დაგჭირდა კომპიუტერული თამაშის შესახებ ტექსტის მოსამზადებლად? (ე.გ.საშ. 2,3)<br>• რამდენად ეფექტიანად მოახერხე კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა - ტექსტის დამზადება და წარდგენა? რამდენად მიზნობრივად გამოიყენეთ და/ან იყენებთ ნასწავლ ლექსიკასა და გრამატიკულ საკითხებს? (სამ. ქმ. 1,2) |

| | | |
|---|---|---|
| 6.ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*<br><br>**ტექსტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)<br><br>7.არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;<br>8.ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;<br>9.ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)<br><br>7.ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;<br>8.ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, | **ტექსტი**<br><br>• ტექსტის ჟანრული და სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას.<br><br>**ენობრივ-გრამატიკული საშუალებები**<br><br>• სათანადო ენობრივი ცოდნის (ლექსიკის / გრამატიკის) ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;<br>• ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიების გამოყენება ენობრივი ცოდნის ასათვისებლად.<br><br>**კულტურათა დიალოგი**<br><br>• განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება და საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა;<br>• კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა. | • რა ცოდნა და სტრატეგიები გამოიყენე ტექსტის შესაქმნელად? როგორ დაგეხმარათ სიუჟეტში არსებული ინფორმაცია ამაში? (ტ.2,3). |

| | | |
|---|---|---|
| რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);<br>.ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის; | | |

**აპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**

ქმენი ტექსტი დახურულ ჯგუფში დაპოსტვის მიზნით. პოსტის მიზანია, ახალი კომპიუტერული თამაშის შესახებ ინფორმაციის გაცნობა. გამოიყენე 69-73 ვარჯიშოები, ასევე, სხვა დავალებები, რომლებსაც ჩათვლი საჭიროდ.

ვალებაზე მუშაობისას:

- აზრი გადმოეცი მოკლედ და ლაკონიურად;
- შეეცადე ინფორმაცია იყოს ზუსტი და კონკრეტული;
- დაიცავი შესაბამისი სტილი;
- ტექსტი გამართე გრამატიკული წესების დაცვით;
- დაურთე ფოტო ან ვიდეო.

ნათავსე პოსტი დახურულ ჯგუფში.

ნთავსებისა და გაცნობის შემდეგ ისაუბრე:

- რა დაგეხმარა დავალების შესრულებაში?
- რა სირთულე შეგხვდა?
- რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მსგავსი დავალების შესრულება მოგიწევს?

**აპი II – სიუჟეტის მოსმენა და გააზრება**

8 აქტივობა — მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს: საიდან არის ეს კადრი აღებული?

ა არის მასზე გამოსახული? ცდილობენ, დაასაბუთონ თავიანთი ვარაუდი. აქტივობის მიზანია, ინტერესის გამოწვევა ვიდეოს შესახებ, რომელიც უნდა ნახონ.

9 აქტივობა — მოსმენის დავალება — მოსწავლეები ნახულობენ ვიდეოსიუჟეტს და ავსებენ ტესტს. დავალების მიზანია ვიდეოში მოსმენილი ტექსტის გლობალურ ონეზე გაგება-გააზრება.

0 აქტივობა — ვიდეო სიუჟეტში მოცემული ტექსტის გაგება-გააზრება სელექციურ დონეზე. მოსწავლეები მეორედ ნახულობენ ვიდეოსიუჟეტს და ამოწმებენ რილში მოცემული ინფორმაციის სისწორეს. ამავე დავალების ბ) პუნქტში კი ჩაწერენ მცდარი ინფორმაციის სწორ ვერსიას.

1 აქტივობა — ვიდეოსიუჟეტის მიხედვით ფრაზების დასრულება. გამიზნულია მოსასმენი ტექსტის სელექციურ და დეტალურ დონეზე გაგებისთვის)

**აპი III – მოსწავლისა და მასწავლებლის მიმოწერის  წაკითხვა-გააზრება**

2 აქტივობა მოსწავლეები კითხულობენ მოსწავლის და მასწავლებლის ელექტრონულ მიმოწერას და ადგენენ ამ მიმოწერის მთავარ აზრს (შეკითხვებზე პასუხის ვემით), ხოლო N73 აქტივობაში კი იაზრებენ ამ მიმოწერის შინაარსს სელექციურ დონეზე.

**აპი III – საინფორმაციო-პრაგმატული ხასიათის ტექსტის შექმნა ახალი კომპიუტერული თამაშის შესახებ**

**4 აქტივობა — კომპლექსური დავალება**

ქმენი ტექსტი დახურულ ჯგუფში დაწერის მიზნით. პოსტის მიზანია, ახალი კომპიუტერული თამაშის შესახებ ინფორმაციის გაცნობა. გამოიყენე 69-73 ვარჯიშოები, ასევე, სხვა დავალებები, რომლებსაც ჩათვლი საჭიროდ.

ვალებაზე მუშაობისას:

- აზრი გადმოეცი მოკლედ და ლაკონიურად;
- შეეცადე ინფორმაცია იყოს ზუსტი და კონკრეტული;
- დაიცავი შესაბამისი სტილი;
- ტექსტი გამართე გრამატიკული წესების დაცვით;
- დაურთე ფოტო ან ვიდეო.

ათავსე პოსტი დახურულ ჯგუფში.

ათავსებისა და გაცნობის შემდეგ ისაუბრე:

- რა დაგეხმარა დავალების შესრულებაში?
- რა სირთულე შეგხვდა?
- რას გაითვალისწინებ მომავალში, თუ მსგავსი დავალების შესრულება მოგიწევს?

| საინფორმაციო-პრაგმატული ტექსტის შეფასების კრიტერიუმები | სრულყოფილად | ნაწილობრივ |
|---|---|---|
| ინფორმაცია ზუსტად და ლაკონიურად არის გადმოცემული | | |
| ტექსტი გამართულია გრამატიკული წესების მიხედვით | | |
| ტექსტს ახლავს ფოტო/ვიდეო მასალა | | |

N75 — დავალება წარმოადგენს დიალოგს საკლასო ოთახში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, რა დროსაც მასწავლებელი მოსწავლის შეკითხვაზე პასუხად აცნობს საქართველოში მოღვაწე ეთნიკურად არაქართველ პიროვნებებს. მომდევნო დავალებებთან ერთად (N76, 77) მოსწავლეები გაეცნობიან მათ მიღწევებს და როლს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში; იმსჯელებენ და შეაფასებენ, როგორ და რა დამსახურებით შეძლეს მათ საქართველოს ისტორიაში საპატიო ადგილის დამკვიდრება.

# VI თავი – სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის ცნებების მიხედვით

**1. ცნება: სამეტყველო ქმედება** (შედეგები: 1,2, 3,4,6)

1. სამეტყველო ქმედებები *(მაგ., აღწერა-დახასიათება, ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში, დროსა და სივრცეში ორიენტირება, შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა და დასაბუთება და ა.შ.)* ხორციელდება სხვადასხვა ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებით (მაგ., *ადგილმდებარეობისა და მიმართულების გამოხატვა ზმნისწინით, თანდებულით, სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, ადგილის ზმნიზედებით და ა.შ.*);
2. ეფექტური სამეტყველო ქმედების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ენობრივი საშუალებების შესაბამისობა კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციის (*თემა და მიზანი, კომუნიკაციაში მონაწილე პირები*) გათვალისწინებით (მაგ., *თავაზიანი თუ ფამილიარული ფორმების გამოყენება მეტყველების მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით; უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით და ა.შ.).*

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს სამეტყველო ქმედების განხორციელებას, ვერ მონაწილეობს ქართულენოვანი ინფორმაციის აღქმასა და გაცემაში. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია ან კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ან ადგილსა და დროზე კონცენტრირება. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას შეუძლია კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ადგილსა და დროზე კონცენტრირება. თუმცა ერთი კომპონენტის შეცვლის შემთხვევაში ვერ ახერხებს სხვა კომპონენტის მოდიფიცირებას. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის ზოგჯერ ვერ ახერხებს სტრატეგიების შეცვლას სიტუაციისდა მიხედვით. | სამეტყველო ქმედების განხორციელებისას ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის მყისიერად იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს სტრატეგიების შეცვლის ჩათვლით. |

**2. ცნება: ტექსტი** (შედეგები: 1,2,3,4,6)

1. არსებობს სხვადასხვა ტიპისა (*მხატვრული / არამხატვრული*) და ჟანრის (მაგ., *პრაგმატული, კორესპონდენცია, საინფორმაციო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული, იგავ-არაკი, მოთხრობა* და ა.შ.) ზეპირი და წერილობითი ტექსტი;
2. ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (*სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ენობრივ-სტილური*), რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას; ჟანრობრივი მახასიათებლების გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც ტექსტის გაგება-გააზრებისათვის, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტის შესაქმნელად;
3. ტექსტის სტრუქტურას ასევე ქმნის სიტყვიერი (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა*) და არასიტყვიერი (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში – ინტონაცია*) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება.

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს სხვადასხვა ტიპის ტექსტს შორის ჟანრობრივი განსხვავებების დაჭერას. | შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტის ერთი მახასიათებლის საფუძველზე ჟანრობრივი განსხვავებების აღქმა. | შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებში. ვერ ახერხებს შეთავაზებული ჟანრის ტექსტის შეთავაზებულ ჟანრში გადაყვანას. | საფუძვლიანად აცნობიერებს ჟანრობრივ მახასიათებლებს თითოეული ტიპის ტექსტისთვის. შეუძლია ერთი ტიპის ტექსტის სხვა ტიპის ტექსტად გადაკეთება. | შემოქმედებითად იყენებს ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად თუ გადასაკეთებლად. შეუძლია ჟანრის მახასიათებლების თავისუფალი გამოყენება. |

**3. ცნება: ენობრივ-გრამატიკული საშუალებები** (შედეგი: 5)

1. ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს;
2. ქართული ენის ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი შეიცავს მრავალ სპეციფიკურ ენობრივ ნიშანს, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია ქართული ენის დასაუფლებლად (მაგ., *ქართული ენის სპეციფიკური ასოები, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები, ქართული ზმნის მრავალპირიანობა, სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნასთან, სხვადასხვა ტიპის ზმნების სინტაქსური სტრუქტურა* და ა.შ.);
3. ქართული ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის*) ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია ქართულად წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის;

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას ვერ იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციებს . | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდე ფორმას . | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციების უმეტესობას. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. | მოსწავლე ზეპირ და წერითმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს. |

**4. ცნება: კულტურათა დიალოგი** (შედეგი: 7)

1. ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩენთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას (მაგ., *თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას*);
2. განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება გვეხმარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში.

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუ-ძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექ-ტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმან-ეთს და ქმნიან მთელს, მთლია-ნობას. | მოსწავლეს შეუ-ძლია შეთავაზე-ბულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ქართულენოვან ტექსტებში ვერ ამჩნევს სოციოკულტურულ მახასიათებლებს. | ქართულენოვან ზეპირ თუ წერილობით ტექსტში ამოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს. | ქართულენოვან ზეპირ თუ წერილობით ტექსტში აღმოაჩენს რამდენიმე სოციოკულტურულ მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება. | ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ/განსხვავებულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ. |

### სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები ზეპირი და წერითმეტყველებითი უნარებისთვის

საბაზო საფეხურზე გამოიყენება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებთან. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ შეფასების გარკვეული რუბრიკები. ზემოთ გავეცანით სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებულ შეფასების რუბრიკებს ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტით შემოთავაზებული ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. ამ რუბრიკებში წარმოდგენილია იმავე ტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები ენობრივი მიმართულებების მიხედვით. მასწავლებელი ამ რუბრიკების გამოყენებით მიიღებს გადაწყვეტილებას, როგორ მისცეს მოსწავლეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება.

ქვემოთ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გამოყენება გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ შესაძლებელია საშინაო და საკლასო დავალებების შეფასების მიზნითაც. ასევე, რაც მთავარია, მათი გამოყენება აუცილებელია კომპლექსური დავალებების შეფასების მიზნით, რათა მასწავლებელმა, ერთი მხრივ, განმსაზღვრელი შეფასებით შეფასოს მოსწავლე (და რაში უნდა დაუწეროს მასწავლებელმა მოსწავლეს ნიშანი, თუ არა კომპლექსურ დავალებაში?!), მეორე მხრივ, მისცეს განმავითარებელი უკუკავშირი და, მესამე მხრივ, გაითვალისწინოს მოსწავლის/მოსწავლეების შედეგები შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკების გამოყენებისას შეკითხვა დაისმის ნიშნების დაწერის შესახებაც: რომელი ნიშანი შეესაბამება სოლოტაქსონომიის საფეხურებს? ვფიქრობთ, ნიშანთა შემდეგნაირი გადანაწილება იქნება რელევანტური ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების შემთხვევაში:

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| 1-2-3 | 3-4-5 | 6-7-8 | 8-9 | 10 |

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ქულა სოლოტაქსონომიის ორ-ორ დონეზეა განთავსებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასე ცალსახად შეთავაზება მასწავლებლისთვის, რომ მაინცდამაინც ეს კონკრეტული დონე მაინცდამაინც ამ ნიშანს გულისხმობს, არ იქნება მთლად ზუსტი. ამიტომაც, მასწავლებელი საკუთარი შეხედულებით საკლასო ოთახის კონტექსტისა და კონკრეტული მოსწავლის მიერ შესრულებული კონკრეტული დავალების მიხედვით განსაზღვრავს დასაწერ ნიშანს.

**საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება**

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს საინფორმაციო ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას. | ახერხებს საინფორმაციო ტექსტში მოცემული ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგებას. | ახერხებს საინფორმაციო ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას, ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგებას. შეუძლია ზოგიერთი იმპლიციტური ინფორმაციის გაგებაც. | შეუძლია ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული გაგება, დასკვნების გამოტანა ტექსტისა და საკუთარი ცოდნის შეჯერების საფუძველზე. | შეუძლია ტექსტში გადმოცემული (იმპლიციტური) ინფორმაციის გააზრება. ტექსტის შექმნის მიზნებისა და ავტორის პოზიციის ამოცნობა. ქვეტექსტის ამოცნობა და საკუთარი დამოკიდებულე ბის გამოხატვა. |

**მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება**

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას. | ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ორიოდე ექსპლიციტური ინფორმაციის გაგებას. | ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას, ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგებას. შეუძლია ზოგიერთი იმპლიციტური ინფორმაციის გაგებაც. | შეუძლია მხატვრულ ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული გაგება, დასკვნების გამოტანა ტექსტისა და საკუთარი ცოდნის შეჯერების საფუძველზე. ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს. | შეუძლია მხატვრულ ტექსტში გადმოცემული (იმპლიციტური) ინფორმაციის გააზრება. ტექსტის შექმნის მიზნებისა და ავტორის პოზიციის ამოცნობა. ქვეტექსტის ამოცნობა და საკუთარი დამოკიდებულე ბის გამოხატვა. |

**მოსმენა**

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს ტექსტის ვერც ერთი ზედაპირული ინფორმაციის გაგებას. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის მხოლოდ ორიოდე ზედაპირული ინფორმაციის გაგება. | შეუძლია მოსმენილ ტექსტის თემატიკისა ძირითადი და ზედაპირული ინფორმაციის გაგება. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის მთავარი სათქმელისა და ზოგიერთი სიღრმისეული, დეტალური ინფორმაციის გაგება. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის სიღრმისეულად და სრულფასოვნად, მათ შორის დეტალურ დონეზე გააზრება, ქვეტექსტის ამოცნობა. |

**ლაპარაკი**

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს საუბარს საკითხის ირგვლივ. | შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა შეთავაზებული საკითხის/თემის ირგვლივ, ისიც ძირითადად რეპროდუცირების ფორმატში. | შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი გარკვეული შეცდომებითა და აქცენტით. | შეუძლია გაბმული მეტყველება საკითხის ირგვლივ მცირე შეცდომებით და აქცენტით. | შეუძლია გაბმულად საუბარი და გარკვეული ინტერპრეტირება შეთავაზებული საკითხისა და დავალების ირგვლივ. მყისიერად და ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. |

**წერა**

| პრესტრუქტურული | უნისტრუქტურული | მულტისტრუქტურული | მიმართებითი | გაფართოებული |
|---|---|---|---|---|
| მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას. | მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა. | მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე. | მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას. | მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში. |
| ვერ ახერხებს წერითი ნამუშევრის პირობის აღქმას და ნამუშევრის შექმნას. | ახერხებს საკითხის შესახებ ზედაპირული და ზოგადი ფრაზების დაწერას. ნაწერში მრავლადაა შეცდომები. | საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბამისად წერილობითი ნამუშევრის შექმნას. | მცირე შეცდომებით ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბამისად წერილობითი ნამუშევრის შექმნას. ნაწერში ავლენს შემოქმედებით მიდგომას. | თითქმის უშეცდომოდ ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბამისად ინფორმაციის წერილობით გადმოცემას. ნაწერში ავლენს შემოქმედებით მიდგომას. აფასებს საკუთარი მუშაობის პროცესს და გეგმავს გაუმჯობესების გზებს. |

# VII თავი – მოსასმენი ტექსტები და ვიდეობმულები

## თავი 1 – სახლი, ოჯახი

**ლუარსაბისა და დარეჯანის დიალოგი**

https://www.youtube.com/watch?v=7_La0CFOJzk

**გამყიდველისა და მყიდველის დიალოგი**

– ალო, ავეჯის ონლაინმაღაზია "შუქრუთი" გისმენთ!..

– გამარჯობა! ავეჯის შეძენა მინდოდა...

– გამარჯობა! დიახ, ჩვენ სწორედ ავეჯის ონლაინმაღაზია გახლავართ... ჩვენს მაღაზიაში საუკეთესო არჩევანის გაკეთება შეგიძლიათ!..

– თქვენი განცხადება ვნახე ინტერნეტში და ძალიან მომეწონა სპილოსძვლისფერი საძინებელი. თუ შეიძლება მითხრათ, როგორი ხარისხია?

– ძალიან მიხარია, რომ ყურადღება მიიქცია ჩვენმა საძინებელმა... როგორ მოგმართოთ, პატივცემულო?

– გიორგი... გიორგი დამიძახეთ!..

– ბატონო გიორგი, ჩვენთან ხარისხი, რასაკვირველია საუკეთესოა. არ დაგიმალავთ, რომ ასეთი კარგი მასალისგან მხოლოდ ეს კომპლექტი დაგვრჩა. საძინებლის ყველა ნაწილი დამხადებულია უმაღლესი ხარისხის მასალით უახლესი დიზაინით.

– დიახ... დიდი მადლობა!.. თანხაც არაა ცოტა... ყველა ნაწილი რომ შევიძინო, ფასდაკლება თუ გექნებათ?

– გეთანხმებით, რომ იაფი არ არის, თუმცა ისეთი ხარისხია, რომ ნამდვილად არ ინანებთ... ყველა ნაწილს თუ შეიძენთ, 10 %-იან ფასდაკლებას გაგიკეთებთ.

– მოწოდება თუ შეგიძლიათ რეგიონებში?

– რომელ რეგიონში გნებავთ?

– მარნეულში.

– მარნეული... მარნეული... მარნეულამდე არის 40 კილომეტრი... დიახ, შეგვიძლია მარნეულში მოწოდება.

– ძალიან კარგი!.. თანხა როგორ გადავიხადო?

– ამ ნომერზე მოგწერთ ჩვენს საბანკო მონაცემებს და თანხის 20 % გადმორიცხეთ. დანარჩენი თანხა კი შეგიძლიათ მოტანის შემდეგ გადმოგვირიცხოთ.

– კეთილი... შევთანხმდით!.. ნახვამდის!

– შევთანხმდით!. დროებით!

## თავი 2 – არასდროს, არასდროს, არასდროს დანებდე

**მასწავლებელი და შშმ მოსწავლე** https://www.facebook.com/watch?v=523476069008944

**ლელა კოტორაშვილის ბლოგი** http://mastsavlebeli.ge/?p=16672

**თანატოლი გვირჩევს** https://www.facebook.com/watch/?v=493994581131200

**შეხედე დისლექსიას განსხვავებულად** https://www.youtube.com/watch?v=vYGXxb_0sdk

**მასწავლებელი გვირჩევს** https://www.youtube.com/watch?v=vFwy99e6tg0 14:56 წუთიდან ბოლომდე

**თავი 3 – ადამიანი ადამიანისთვის**

**„როცა აყვავდა ნუში“** https://www.youtube.com/watch?v=q52U_AyiDYU

ეპიზოდი 1 – 48:29 – 52:29 წთ

ეპიზოდი 2 – 55:39- 58:16 წთ

ეპიზოდი 3 – 1 სთ 4 წთ - 1 სთ 9 წთ

**თავი 4 – ბუნება მბრძანებელია**

ნორვეგიის პეიზაში https://www.facebook.com/watch/?v=2292619337712088

ნორვეგია https://www.youtube.com/watch?v=wOMM3uT7Pdg

მიწისძვრა იაპონიაში https://www.youtube.com/watch?v=HP2Ku4etax4

**თავი 5 – ისტორია გვასწავლის**

**დიდგორი** https://www.imedi.ge/ge/video/90514/kulturis-saministros-dapinansebit-kompiuteruli-tamashi-didgori-iqmneba?fbclid=IwAR0dWNk5DwafLg7usUIJLTIZMG-F6ONwpGqmqDf2cEI1UYhbci5pbob6M5o

# დანართი

## დამატებითი საკითხავი კითხვისა და წერის დიფერენცირებული სწავლებისთვის



# ალდგომის კუნძული

განტვრესებს, რატომ ჰქვია აღდგომის კუნძულს ეს სახელი? პასუხი ამ კითხვაზე მოცემულ ტექსტშია.

1722 წლის 6 აპრილი იყო. მოგზაური იაკობ როგევენი წყნარ ოკეანეში უცნობ მიწას **წააწყდა**. იმ დღეს აღდგომა იყო, ამიტომ მიწას აღდგომის კუნძული დაარქვეს. ახლა კუნძული ჩილეს რესპუბლიკას ეკუთვნის, თუმცა მისგან ძალიან დიდი მანძილით, 3510 კმ-ით, არის დაშორებული. არცერთი სხვა კუნძული არ არსებობს, რომელიც ასე შორსაა დედამიწის დანარჩენი დასახლებული ტერიტორიიდან. ამიტომ ითვლება იგი მსოფლიოში ყველაზე შორეულ დასახლებულ ადგილად.

აღდგომის კუნძულის ისტორიის ზოგი დეტალი დღემდე **საკამათოა**. მაგალითად, ზუსტად არავინ იცის, საიდან გაჩნდა იქ მოსახლეობა. ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ პირველი მოსახლეები კუნძულზე 300 წელს მივიდნენ, ზოგის აზრით – 700 წელს. ერთ-ერთი ვერსიით, კუნძული პირველად აითვისეს პოლინეზიელებმა. ისინი ამ მიწაზე **შტორმმა** გამორიყა. თუმცა ზუსტი თარიღი არც ამ შემთხვევაშია ცნობილი.

აღდგომის კუნძული ვულკანური წარმოშობისაა. თავიდან იქ ადამიანებს კარგი ბუნებრივი პირობები ჰქონდათ. იყო ტყეები, **ნაყოფიერი** მიწა, თბილი კლიმატი, **კრატერის მტკნარი** ტბები. ამ ყველაფერმა მოსახლეობის სწრაფ გამრავლებას შეუწყო ხელი. ხარობდა ბანანი. მოჰყავდათ შაქრის ლერწამი, ტკბილი კარტოფილი. ზრდიდნენ ქათმებს. იჭერდნენ თევზს. თუმცა მალე კუნძულზე ადამიანთა რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ საკვები აღარ ჰყოფნიდათ. დაიწყო შიმშილობა. ამის გამო მცხოვრებთა რიცხვმა თანდათან იკლო. სავარაუდოდ, იყო ამის სხვა მიზეზებიც. ფიქრობენ, რომ ბევრი ადამიანი შეიწირა ევროპიდან შეტანილმა **მძიმე** დაავადებამ. მოსახლეობის ნაწილი ევროპელებმა მონებად გაყიდეს. ასევე ხშირი იყო ომებიც...

აღდგომის კუნძულზე მცხოვრებ ადამიანებს ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა და რელიგია. ყველაზე მეტად კი კუნძული ცნობილია თავისი 887 ქვის ქანდაკებით ანუ მოაით. ისინი დგას კუნძულის სანაპირო ზოლში. ადგილობრივთა რწმენით, მოაის საშუალებით ადამიანს გარდაცვლილ ახლობელთან შეეძლო კავშირის დამყარება.

თითოეულ მოაის ვულკანური ტუფის ქვისგან აკეთებდა 6-კაციანი ჯგუფი. ვარაუდობენ, რომ ქანდაკებას ხის ჩარჩოზე ათავსებდნენ და მიჰქონდათ სანაპირო ზოლამდე. სხვა მოსაზრებით, იყენებდნენ ხის რელსებს და ისე მიასრიალებდნენ მას საჭირო ადგილამდე. ალბათ, ამის გამო გაიკაფა კუნძულზე ხეები და დღეს იქ ტყე თითქმის არ არის.

წლების განმავლობაში ქანდაკებები ამოყირავებული იდგა. ამჟამად ისინი გასწორებულია და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასულ უამრავ ტურისტს აოცებს.

*ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიოს საოცრებების“ მიხედვით.*

შენი აზრით, რაზე მიანიშნებს ის, რომ არაერთი მოსაზრება არსებობს აღდგომის კუნძულის შესახებ?

**კომპონენტი:** ფაქტი, მოსაზრება, **დონე:** 4.3

## ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?**

ა) აღდგომის კუნძულზე ადამიანები პირველად, შესაძლოა, შტორმმა გამორიყა.

ბ) აღდგომის კუნძულზე აღმოჩენილი 887 ქანდაკება გაკეთებულია ტუფისგან.

გ) აღდგომის კუნძულის მცხოვრებლებს საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ.

**2 რომელი წინადადება გადმოსცემს ზუსტ ცნობას კუნძულის შესახებ?**

ა) ადამიანები აღდგომის კუნძულზე, სავარაუდოდ, 700 წელს დასახლდნენ.

ბ) აღდგომის კუნძულზე იყო თბილი კლიმატი და ნაყოფიერი მიწა.

გ) ფიქრობენ, რომ აღდგომის კუნძული პირველად პოლინეზიელებმა აითვისეს.

**3 რომელია ფაქტი?**

ა) კარგმა პირობებმა მოსახლეობის სწრაფ გამრავლებას შეუწყო ხელი.

ბ) კუნძულზე ხეები, ალბათ, ხის რელსების გასაკეთებლად გაიკაფა.

გ) შესაძლოა, კუნძულის მოსახლეობის ნაწილი დაავადებამ შეიწირა.

**4 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ:**

ა) რა მიზეზით შემცირდა კუნძულზე მოსახლეობის რაოდენობა.

ბ) რა მიზნით დგამდნენ ქანდაკებებს კუნძულის სანაპირო ზოლში.

გ) რატომ იყო წლების განმავლობაში ქანდაკებები ამოყირავებული.

**5 ტექსტში *არ ჩანს*:**

ა) რა სახის დამწერლობა ჰქონდათ კუნძულის მცხოვრებლებს.

ბ) რატომ ითვლება კუნძული ყველაზე შორეულ დასახლებულ ადგილად.

გ) ხალხის რა წარმოდგენა უკავშირდება კუნძულზე აღმოჩენილ ქანდაკებებს.

## ლექსიკა

**1** **გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. იაკობ როგევენი წყნარ ოკეანეში უცნობ მიწას **წააწყდება**.

   ა) სპეციალურად მოძებნის. ბ) შემთხვევით გადაეყრება. გ) ძლივს იპოვის.

2. ზოგი დეტალი დღემდე **საკამათოა**.

   ა) სადავოა. ბ) საინტერესოა. გ) უცნობია.

3. კუნძულზე **ნაყოფიერი** მიწა იყო.

   ა) დამუშავებული. ბ) მოსავლიანი. გ) საკმარისი.

4. კუნძულზე **მტკნარი** წყლებია.

   ა) თბილი. ბ) მლაშე. გ) უმარილო.

5. მოსახლეობის შემცირებას **მძიმე** დაავადებებმა შეუწყო ხელი.

   ა) ახალმა. ბ) რთულმა. გ) უცნობმა.

**2** **ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.**

1. კრატერი — რაიმე საზღვრით შემოფარგლული მიწა-წყალი.
2. ტერიტორია — ძლიერი ქარიშხალი ზღვაზე.
3. შტორმი — ჩაღრმავება, რომელიც რჩება მთაზე ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ.

**3** **რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?**

ა) სწრაფი – ნელი. ბ) შორეული – ახლობელი. გ) წყნარი – მშვიდი.

## გრამატიკა

**1** **დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები საჭირო ფორმით.**

1. აღდგომის კუნძული *(წყნარი)* --------------- ოკეანეშია.
2. კუნძულის *(ისტორია)* --------------------- შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი.

**2** **სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.**

ქანდაკებებს ---------------- აკეთებდნენ. ***(ტუფისგან / ტუფიდან)***

3

## გრამატიკა

**3** **დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები მრავლობით რიცხვში.**

1. კუნძულის აღმოჩენის შემდეგ (წელი) -------------------- გავიდა.
2. მოსახლეობამ გაჩეხა (ტყე) ----------------------.
3. კუნძულზე (ხე) ----------------- გაიკაფა.

**4** **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.**

| | | |
|---|---|---|
| | ☒ ***სავარაუდოთ.*** | ☐ ***სავარაუდოდ.*** |
| 1. | ☐ ხალხმა შექმნა. | ☐ ხალხმა შექმნეს. |
| 2. | ☐ თითეული. | ☐ თითოეული. |
| 3. | ☐ 6-კაციანი ჯგუფი. | ☐ 6 კაციანი ჯგუფი. |

## წერა

**1** **ტექსტის მიხედვით შეავსე ცხრილი.**

| № | რის შესახებ არის გამოთქმული ვარაუდი? | რა ვარაუდია გამოთქმული? |
|---|---|---|
| 1 | ***ნიმუში:*** *როდის დასახლდა კუნძული?* | *მოსახლეობა კუნძულზე გაჩნდა ან 300 წელს, ან 700 წელს.* |
| 2 | | |
| 3 | | |
| 4 | | |

**2** **დაწერე, რა კითხვა გაგიჩნდა აღდგომის კუნძულის შესახებ. მიუწერე კითხვას შენი ვარაუდი. გამოიყენე სიტყვები:** *ალბათ, ეგებ, ჩემი აზრით, შესაძლებელია, ვვარაუდობ.*

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

4

# აისბერგი



გაიხსენე, რა იცი აისბერგის შესახებ. წაიკითხე ტექსტი და შეავსე შენი ცოდნა.

აისბერგი ყინულის დიდი მთაა, რომელიც მყინვარს სწყდება და წყალში ცურდება. შემდეგ ოკეანეებსა და ზღვებში **ტივტივებს**. იგი, როგორც წესი, ანტარქტიდისა და არქტიკის კუნძულების ნაპირებთან ჩნდება ხოლმე.

აისბერგი ოკეანის წყლებში საკმაოდ ბევრია. ისინი სხვადასხვა ზომისაა. საშუალო ზომის აისბერგის ფართობი 300 კვ.კმ-ია. დღემდე ცნობილი ყინულის მთებიდან ყველაზე დიდი 2000 წელს მოსწყდა როსის მყინვარს. მისი ფართობი 10 ათასი კვ.კმ იყო. შემდეგ წლებში დნობის გამო აისბერგი 4-ჯერ შემცირდა. მიუხედავად ამისა, ის ჯერ კიდევ რჩება უდიდეს აისბერგად.

ყინულის ეს **ვეებერთელა** მთები ფორმითაც ბევრნაირია. ზოგი მათგანი პირამიდას ჰგავს, ზოგი – მომრგვალოა. ზოგის ზედაპირი ბრტყელია, ზოგის – **უსწორმასწორო.**

თავიდან აისბერგი თეთრია, რადგან ყინული დიდი რაოდენობით ჰაერს შეიცავს. შემდეგ მას ერევა წყლის წვეთები და უფრო ცისფერი ხდება, იშვიათად – ღია ვარდისფერიც. ასაკის მატებასთან ერთად ყინული ფერს იცვლის და თანდათან ლურჯდება.

ქარისა და ზღვის დინების გამო აისბერგი სულ მოძრაობს. როცა ძლიერი ქარია და ზღვა ღელავს, ყინულის მთები ერთმანეთს ეჯახება. ეს იწვევს მათ დაშლას შედარებით პატარა ნაწილებად. ოკეანის თბილ წყლებში ისინი თანდათან დნება და ბოლოს ქრება კიდეც. ეს კი წყლის დონის აწევის მიზეზი ხდება.

აისბერგი დიდი რაოდენობით **მტკნარ** წყალს შეიცავს. ამის გამო ადამიანებმა დაიწყეს გვალვიან რაიონებში მისი ბუქსირით (მოსაბმელი **ბაგირით**) წაღება. თუმცა ეს არც ისე ადვილია. მოგზაურობის დროს აისბერგი დნება. ვიდრე სასურველ ადგილას მიიტანენ, იგი შეიძლება ძალიან დაპატარავდეს.

ყინულის მთები დიდ საფრთხეს უქმნის გემებს. მართალია, აისბერგის სიმაღლე ზოგჯერ 600 მეტრსაც კი აღწევს, მაგრამ მისი ფართობის 80-90% წყლის ქვეშ არის მოქცეული. ზემოთ მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს. რადგან შორიდან ძნელი შესამჩნევია, გემიც არ **ერიდება** მას. 1912 წელს სწორედ ამის გამო დაეჯახა „ტიტანიკი“ აისბერგს და ჩაიძირა. ამ საზღვაო **კატასტროფის** დროს 1517 ადამიანი დაიღუპა. არცთუ იშვიათად აისბერგი ნისლშია გახვეული. ამის გამოც არის ხოლმე ძნელი მისი დანახვა.

დღეს გემებზე სპეციალური **ხელსაწყო** არსებობს. მას შეუძლია წინასწარ გაიგოს აისბერგის მდებარეობა და ამით შეამციროს საფრთხე.

რა გაიგე ტექსტიდან ყველაზე საინტერესო აისბერგის შესახებ?

**კომპონენტი:** კომპონენტი: მიზნები, შედეგი, **დონე:** 3.2

## ტექსტის გაგება

*ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.*

**1 როსის მყინვარს მოწყვეტილი აისბერგი განსაკუთრებით ცნობილია იმით, რომ:**
ა) დღეს მისი ფართობი უკვე 4-ჯერ არის შემცირებული.
ბ) იგი ერთადერთია, რომელიც დაცურავს ანტარქტიდის კუნძულებთან.
გ) იგი დღეს არსებულ აისბერგებს შორის ყველაზე დიდია.

**2 რის გამო იცვლება აისბერგის ფერი?**
ა) ასაკის გამო. ბ) დნობის გამო. გ) ქარის გამო.

**3 თბილ წყლებში მოხვედრის შედეგად:**
ა) აისბერგი თანდათან დნება და ბოლოს ქრება.
ბ) აისბერგი ნისლში ეხვევა და შეუმჩნეველი ხდება.
გ) აისბერგის დიდი ნაწილი წყლის ქვეშ ექცევა.

**4 აისბერგები ბუქსირით გადააქვთ ხმელეთზე, რომ:**
ა) გემებს როგორმე საშიშროება ააცილონ.
ბ) მისი მტკნარი წყალი გამოიყენონ.
გ) სხვა აისბერგთან შეჯახებას მოარიდონ.

**5 ყინულის მთა გემებს საფრთხეს იმის გამო უქმნის, რომ:**
ა) აისბერგის ზედაპირი ბრტყელია ან უსწორმასწორო.
ბ) ზღვის ღელვის დროს ერთი აისბერგი მეორეს ეჯახება.
გ) მისი დიდი ნაწილი წყალშია და გემისთვის შეუმჩნეველია.

**6 რის შესახებ *არ არის* საუბარი ტექსტში?**
ა) რატომ შემცირდა გემებისთვის საფრთხე.
ბ) რატომ სწყდება მყინვარს ყინული.
გ) რატომ ჩაიძირა გემი ,,ტიტანიკი“.

2

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. ყინულის მთა წყალში **ტივტივებს**.
   ა) წყალში უძრავად არის გაჩერებული.
   ბ) წყალში ძალიან ღრმად იძირება.
   გ) წყლის ზედაპირზე ნელა მოძრაობს.

2. აისბერგები ყინულის **ვეებერთელა** მთებია.
   ა) უზარმაზარი. ბ) ულამაზესი. გ) უცნაური.

3. ყინული **მტკნარ** წყალს შეიცავს.
   ა) უგემურ. ბ) უმარილო. გ) უსუფთაო.

4. აისბერგს **ბაგირით** მიათრევენ ხმელეთისკენ.
   ა) ძალიან მოკლე გზით.
   ბ) ძალიან მსხვილი თოკით.
   გ) ძალიან სწრაფი გემით.

5. გემი **ერიდება** აისბერგს.
   ა) გვერდით მიჰყვება. ბ) გვერდს უვლის. გ) შორიდან ამჩნევს.

6. „ტიტანიკის“ აისბერგთან შეჯახება იყო **კატასტროფა.**
   ა) უბედური შემთხვევა.
   ბ) უმნიშვნელო შემთხვევა.
   გ) უცნაური შემთხვევა.

**2 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?**

ა) ქრება – უჩინარდება. ბ) ჩნდება – ქრება. გ) ტივტივებს – იძირება.

**3 რომელია ზედმეტი სიტყვა?**

ა) ბრტყელი. ბ) ოღროჩოღრო. გ) უსწორმასწორო.

3

## გრამატიკა

1 შეადარე ორი წინადადება. რომელ მათგანშია შეცდომა? გახაზე შეცდომა.

ა) აისბერგი თბილ წყლებში დაცურავს. ბ) თბილ წლების გამო აისბერგი დნება.

2 რომელია არასწორი?

ა) ლამაზი ფორმები. ბ) სხვადასხვა ფორმები. გ) უცნაური ფორმები.

3 დაწერე ერთი სიტყვით.

*ნიმუში: ოდნავ მრგვალი – მომრგვალო.*

1. ოდნავ ლურჯი – --------------------- . 2. ოდნავ მწვანე – ------------------------ .

4 დაწერე ერთი სიტყვით.

*ნიმუში: დაჯახების დროს — დაჯახებისას.*

1. ცურვის დროს – ---------------------. 2. დნობის დროს – ---------------------- .

## წერა

1 ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით შეავსე აისბერგის მახასიათებლების რუკა.




2 დაწერე ხუთსტრიქონიანი ლექსი სათაურით „აისბერგი“.

*ლექსის სქემა:*

_______________
*არსებითი სახელი*

_______________ _______________
*ზედსართავი სახელი* *ზედსართავი სახელი*

_______________ _______________ _______________
*ზმნა* *ზმნა* *ზმნა*

_______________________________
*ოთხსიტყვიანი წინადადება ან ფრაზა*

_______________
*არსებითი სახელი*

გააფორმე შენი ნაწერი ნახატით.

4



# ასტრონავტი

გაიხსენე, რა იცი ასტრონავტების (კოსმონავტების) შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, როგორ ემზადება ასტრონავტი კოსმოსში სამოგზაუროდ.

ასტრონავტი კოსმოსში მოგზაურს ნიშნავს. კოსმოსში ყოფნა არც ისე იოლია. იქ ხომ ყველაფერი უცნაურად ხდება. მაგალითად, არ შეგიძლია სიარული, რადგან ძირს ფეხს ვერ დადგამ. ძილისას საწოლზე უნდა იყო მიბმული, რომ სადმე არ გაფრინდე... ამის მიზეზი კი ის არის, რომ კოსმოსში არცერთ სხეულს არ აქვს წონა. მათზე არ მოქმედებს დედამიწის მიზიდულობის ძალა, რადგან ძალიან შორს არიან ჩვენი პლანეტიდან. ამიტომ იქ ყველა ნივთი და თვით ადამიანიც კი დაფრინავს. ეს საკმაოდ რთულ პრობლემას უქმნის ასტრონავტს. ამიტომ იგი **საგანგებოდ** ემზადება, რათა წინასწარ **შეეგუოს** უწონადობას.

ასტრონავტი ძალიან ბევრს ვარჯიშობს სპეციალურ **დანადგარში**. მას სიმულატორი ჰქვია. იგი ისეა მოწყობილი, როგორც კოსმოსური ხომალდი. ასტრონავტს იქ ასწავლიან, როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც უწონადობის პირობებში აღმოჩნდება. მას მარტო არც კოსმოსში ტოვებენ. დედამიწიდან მუდმივად აკვირდებიან და საჭირო რჩევებს აძლევენ. როგორც იცი, ასტრონავტი კოსმოსის კვლევაში იღებს მონაწილეობას. ამიტომ წინასწარ ეცნობა ყველა იმ სამუშაოს, რის შესრულებაც კოსმოსში ყოფნისას მოუწევს.

როდესაც ხომალდის გაშვების დრო დგება, ასტრონავტი სავარძელში ჯდება და იკრავს ღვედებს. იგი ზურგით მიწისკენაა. როცა რაკეტა ამოძრავდება, სხეული ასტრონავტს მძიმე ეჩვენება. ეს იმიტომ ხდება, რომ ხომალდი სიჩქარეს სწრაფად კრეფს. ამ დროს ასტრონავტს მეტი ძალა აწვება. კოსმოსში კი, როგორც უკვე გითხარი, სხეულის სიმძიმე ქრება. ამას ადამიანი მაშინვე აღმოაჩენს, როგორც კი ღვედს მოიხსნის. მაგრამ მისთვის უკვე უცხო არ არის უწონადობით გამოწვეული სირთულე. იგი ხომ დიდხანს ემზადებოდა ამისთვის.

ასტრონავტს კოსმოსური ხომალდიდან გარეთ გასვლაც შეუძლია. ამისთვის სკაფანდრს – სპეციალურ ტანსაცმელს – იცვამს. მას აქვს ჩაფხუტი და სასუნთქი აპარატი. სკაფანდრი იცავს ადამიანს სიცხისგან, სიცივისა და კოსმოსის საშიში რადიაციისაგან – გამოსხივებისგან. სასუნთქი აპარატი კი ჟანგბადით ამარაგებს. კოსმოსში კუნთები **დუნდება**, რადგან მათი ამუშავება ადამიანს საერთოდ არ სჭირდება. კუნთების დასუსტება რომ აიცილოს თავიდან, ასტრონავტი იქაც კი ყოველდღე სპეციალურ ვარჯიშებს ასრულებს. აი, ასეთი რთულია ასტრონავტის პროფესია. მას დიდი ნებისყოფის მქონე ფიზიკურად ძლიერი ადამიანი თუ გაართმევს თავს.

დაფიქრდი, შენ თუ შეძლებდი ასტრონავტობას. როგორ ფიქრობ, რატომ?

**კომპონენტი:** პრობლემის გადაჭრა, **დონე:** 4.3

## ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 რას ვიგებთ ტექსტის პირველი აბზაციდან?**

ა) რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ადამიანს კოსმოსში.

ბ) როგორ აგვარებს ასტრონავტი სირთულეებს კოსმოსში ყოფნისას.

გ) რომელ ვარჯიშებს ასრულებს ასტრონავტი კოსმოსში გამგზავრებამდე.

**2 იმისათვის, რომ ასტრონავტმა კოსმოსში არსებული პრობლემები დაძლიოს:**

ა) იგი კოსმოსურ კვლევაში მონაწილეობს.

ბ) იგი კოსმოსში გამგზავრებამდე ვარჯიშობს.

გ) იგი სხვა კოსმონავტებს აკვირდება.

**3 იმისათვის, რომ კუნთების მოდუნებამ პრობლემები არ შეუქმნას ასტრონავტს:**

ა) მან კოსმოსშიც სისტემატურად უნდა ივარჯიშოს.

ბ) მან სასუნთქი აპარატით უნდა მიიღოს ჟანგბადი.

გ) მას მუდმივად სკაფანდრი უნდა ეცვას.

**4 რა განსაკუთრებული დანიშნულება აქვს სკაფანდრს?**

ა) იგი ასტრონავტს ინფორმაციის შეგროვებაში ეხმარება.

ბ) იგი ასტრონავტს კოსმოსური გამოსხივებისაგან იცავს.

გ) იგი ასტრონავტს კუნთების მოდუნების საშუალებას არ აძლევს.

**5 რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს?**

ა) ასტრონავტს კოსმოსში ჟანგბადს სასუნთქი აპარატი აწვდის.

ბ) დედამიწის მიზიდულობის ძალა ადამიანზე კოსმოსშიც მოქმედებს.

გ) კოსმოსში გასვლა ადამიანს სკაფანდრის გარეშეც შეუძლია.

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. ასტრონავტს შეუძლია, რომ უწონადობის მდგომარეობას **შეეგუოს**.

   ა) გაერიდოს. ბ) გაუმკლავდეს. გ) მიეჩვიოს.

2. ასტრონავტი **საგანგებოდ** ემზადება კოსმოსში გასამგზავრებლად.

   ა) დროდადრო. ბ) სიამოვნებით. გ) სპეციალურად.

3. ასტრონავტის სავარჯიშოდ მომზადდა სპეციალური **დანადგარი**.

   ა) გარემო. ბ) მოწყობილობა. გ) წესი.

4. კოსმოსში ადამიანის კუნთები **დუნდება**.

   ა) მცირდება. ბ) მკვრივდება. გ) სუსტდება.

**2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?**

ა) კვლევა – შესწავლა. ბ) მდგომარეობა – ვითარება. გ) სიმძიმე – სიმსუბუქე.

## გრამატიკა

**1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.**

1. კოსმოსური ------------------ ასტრონავტი გარეთ სკაფანდრით გადის. ***(ხომალდიდან / ხომალდისაგან)***
2. სკაფანდრი იცავს ადამიანს საშიში ---------------------. ***(რადიაციიდან / რადიაციისაგან)***
3. კოსმოსში კუნთები სუსტდება, -------------------- ადამიანს ნაკლები მოძრაობა უწევს. ***(რათა /რადგან)***
4. ასტრონავტი ემზადება, -------------------- უწონადობის მდგომარეობას შეეგუოს. ***(რათა / რადგან)***

**2 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.**

***ნიმუში: მძიმე (როგორი?) — სიმძიმე (რა?)***

1. რთული – --------------------- . 3. ჩქარი – --------------------- .

2. ძლიერი – --------------------- . 4. ცივი – --------------------- .

## გრამატიკა

**3** იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

| | | |
|---|---|---|
| | [X] *იცმევს.* | [ ] *იცვამს.* |
| 1. | [ ] ყოველდღე. | [ ] ყოველ დღე. |
| 2. | [ ] დიდ ხანს. | [ ] დიდხანს. |
| 3. | [ ] უცნაურათ. | [ ] უცნაურად. |

## წერა

**1** ტექსტის მიხედვით დაწერე, რა პრობლემები ხვდება ასტრონავტს კოსმოსში და რა ეხმარება მას ამ პრობლემების დაძლევაში.

| ასტრონავტის პრობლემა | პრობლემის დაძლევის გზა |
|---|---|
| ______________________ | ______________________ |
| ______________________ | ______________________ |
| ______________________ | ______________________ |
| | |

**2** წარმოიდგინე, რომ ჟურნალისტი ხარ და ინტერვიუ უნდა აილო ასტრონავტისგან, რომელიც ახლახან დაბრუნდა კოსმოსიდან. მოამზადე 5-6 შეკითხვა, რომელთაც დაუსვამდი მას. შეკითხვები უნდა ეხებოდეს კოსმოსში მისი ყოფნის პერიოდს. დახატე სურათი, რომლითაც გააფორმებდი ჟურნალში დაბეჭდილ შენს ინტერვიუს.

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

4

# წითელი პლანეტა



განტერესებს კოსმოსი? პლანეტები, ვარსკვლავები... თუ ასეა, ეს ტექსტი შენთვის ძალიან საინტერესო იქნება.

ალბათ, უკვე იცი, რომელია მზის სისტემის პლანეტები. ისიც გეცოდინება, რომ ყოველ მათგანს თავისი **გამორჩეული** ნიშანი აქვს. მაგალითად, სატურნი რგოლებით გამოირჩევა, ნეპტუნი – ლურჯი ფერით. იმ პლანეტას კი, რომლის შესახებაც ტექსტია, წითელ პლანეტას ეძახიან. ეს მარსია. მას რომაული მითების ერთ-ერთი მთავარი ღმერთის სახელი ჰქვია.

რატომ არის მარსი წითელი? როგორც კვლევებით დადგინდა, მისი ზედაპირის ქანებში რკინის მინერალებია. ისინი დროთა განმავლობაში დაჟანგდა. ასე მიიღო პლანეტამ წითელი შეფერილობა.

მარსი ძალიან ცივი პლანეტაა. მის ორივე პოლუსზე ყინულის საფარია. ჩრდილოეთ პოლუსზე ეს საფარი 3 კმ სისქისაა. იგი გაყინული წყალია. სამხრეთ პოლუსზე გაყინული წყლის საფარი კიდევ უფრო სქელია. დაბალი ტემპერატურის გამო მარსზე თხევადი წყალი არ არსებობს. თუმცა მის ზედაპირზე აღმოაჩინეს დაკლაკნილი **არხები**. ეს ადასტურებს, რომ იქ ოდესღაც მდინარეები იყო. სავარაუდოდ, წყალი ჩნდებოდა მაშინ, როცა მიწისქვეშა ყინული დნებოდა. ეს მდინარეები მილიარდი წლის წინ დაშრა. ამავე პერიოდში მარსზე რამდენიმე მოქმედი ვულკანი იყო. ჩაქრობის შემდეგ მათ უზარმაზარი ვულკანური მთები დატოვეს. ერთ-ერთი ოლიმპუს მონსია. იგი ყველაზე დიდი ვულკანური მთაა არა მარტო მარსზე, არამედ მთელ მზის სისტემაში. მისი სიმაღლე 25 კმ-ია.

პლანეტაზე ასევე **კანიონების** უზარმაზარი სისტემაა. მას ვალეს მარინერისი ჰქვია. იგი მაშინ გაჩნდა, როცა მარსზე ვულკანები ჯერ კიდევ აქტიური იყო. 4500 კმ სიგრძის კანიონი დედამიწის დიდ კანიონს 10-ჯერ აღემატება. მისი **უფსკრულები** კი 6 კმ სიღრმისაა. მარსზე ხშირად არის ძლიერი ქარი. ამ დროს მტვრის საშინელი **კორიანტელი** დგება.

დიდი ხნის განმავლობაში ადამიანებს სჯეროდათ, რომ მარსზე სიცოცხლე არსებობდა. თუმცა მისი დღევანდელი პირობების გათვალისწინებით, ეს შეუძლებელია. ამის მიზეზი თუნდაც ისაა, რომ პლანეტაზე თხევადი წყალი არ არის. მაგრამ, თუ ოდესმე მარსზე რაიმე სახით სიცოცხლე იყო, მაშინ ამისი კვალიც უნდა არსებობდეს. ამ და ბევრი სხვა საკითხის გასარკვევად სწავლობენ მეცნიერები წითელ პლანეტას. მარსზე **ამჟამად** რამდენიმე კოსმოსური აპარატი მუშაობს. ისინი მარსიდან დედამიწაზე გზავნიან სურათებს. ყველა კითხვაზე პასუხის მისაღებად მეცნიერები სწორედ ამ მონაცემებს ამუშავებენ.

რა კითხვები გაგიჩნდა ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ?

**კომპონენტი:** მიზეზი და შედეგი, **დონე:** 4.3

## ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 მარსმა წითელი ფერი მიიღო:**

ა) მის ზედაპირზე არსებული კანიონების უზარმაზარი სისტემის გამო.

ბ) მის ქანებში არსებული რკინის მინერალების დაჟანგვის გამო.

გ) მის პოლუსებზე არსებული ყინულის სქელი ფენის გამო.

**2 რატომ არ არის მარსზე თხევადი წყალი?**

ა) რადგან იქ საკმაოდ ხშირად ქრის ძლიერი ქარი.

ბ) რადგან იქ არსებული ყველა ვულკანი ჩამქრალია.

გ) რადგან იქ მუდმივი სიცივის გამო წყალი სულ გაყინულია.

**3 პლანეტაზე არსებული დაკლაკნილი არხები ადასტურებს, რომ:**

ა) მარსზე ოდესღაც არაერთი მდინარე მიედინებოდა.

ბ) მარსზე რკინის მინერალების დიდი მარაგია.

გ) მარსზე შეიძლება სიცოცხლე ახლაც არსებობს.

**4 რის დასადგენად გრძელდება მარსის კვლევა?**

ა) არსებობდა თუ არა მარსზე ვულკანები.

ბ) არსებობდა თუ არა მარსზე სიცოცხლე.

გ) ქრის თუ არა მარსზე ძლიერი ქარი.

**5 რის შესახებ არ არის საუბარი ტექსტში?**

ა) რატომ არ არის მარსზე თხევადი წყალი.

ბ) რატომ გაჩნდა მარსზე უზარმაზარი მთები.

გ) რატომ დაარქვეს წითელ პლანეტას მარსი.

2

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. ყოველ პლანეტას **გამორჩეული** ნიშანი აქვს.

ა) განსაკუთრებული. ბ) ულამაზესი. გ) საკუთარი.

2. მარსზე **ამჟამად** კოსმოსური აპარატი მუშაობს.

ა) ალბათ. ბ) ახლა. გ) კვლავ.

**2 დააკავშირე ხაზებით სიტყვები და მათი განმარტებები.**

| | |
|---|---|
| 1. არხი | ღრმა და ვიწრო ხეობა. |
| 2. კორიანტელი | ძალიან ღრმა ხევი. |
| 3. კანიონი | ჰაერში ავარდნილი მტვერი. |
| 4. უფსკრული | წყლის სადენი თხრილი. |

**3 მიუწერე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები *(ანტონიმები)*.**

1. თხელი – ------------------------------- 2. ადასტურებს – ----------------------------

3. დნება – -------------------------------- 4. ქრება – ------------------------------------

## გრამატიკა

**1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.**

1. *(მარსი)* --------------------- წითელ პლანეტას ეძახიან.

2. *(მტვერი)* ------------------კორიანტელი დადგა.

3. *(ჩრდილოეთი)* --------------------- პოლუსზე ყინულის სისქე 3 კმ-ია.

**2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.**

1. ყოველ პლანეტას ---------------------- ნიშანი აქვს. ***(თავისი / მისი)***

2. მარსია ის პლანეტა, ---------------- შესახებაც ტექსტი მოგვითხრობს. ***(რომლის /რის)***

## გრამატიკა

**3** **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.**

| | | |
|---|---|---|
| | [X] ***რამოდენიმე.*** | [ ] ***რამდენიმე.*** |
| 1. | [ ] ყოველი მათგანი. | [ ] ყოველი მათთაგანი. |
| 2. | [ ] ორივე პოლუსი. | [ ] ორივე პოლუსები. |
| 3. | [ ] სავარაუდოთ. | [ ] სავარაუდოდ. |

**4** **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

***ნიმუში: ის, რაც გაიყინა, გაყინულია.***

1. ის, რაც დაჟანგდა, --------------------- .
2. ის, რაც დაშრა, ------------------------ .
3. ის, რაც გამოირჩა, ---------------------- .
4. ის, რაც დადგინდა, --------------------- .

## წერა

**1** **ამოიწერე ტექსტიდან მარსის ყველა მახასიათებელი.**




**2** **წარმოიდგინე, რომ მარსზე სიცოცხლისთვის ყველა პირობა შეიქმნა.**
**აღწერე შეცვლილი მარსი. შეეცადე, რომ ახსნა ცვლილების მიზეზი. გააფორმე შენი ნაწერი ნახატებით.**

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------

4



# დალტონიზმი – რა არის ეს?

გაიხსენე, ხომ არ შეგშლია ოდესმე საგნის ფერის დასახელება. იცი, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ეს ხშირად ემართებათ? წაიკითხე ტექსტი და გაიგე ამის მიზეზი.

თვალი მხედველობის ორგანოა. მისი საშუალებით ადამიანი სამყაროს ფორმებს, ზომებს და ფერებს აღიქვამს. თვალის **მეშვეობით** ვიცით, რომ ცა ცისფერია, **ნორჩი** ბალახი – მწვანე, მწიფე პამიდორი – წითელი და სხვ. თუმცა ზოგ ადამიანს უჭირს რამდენიმე ფერის აღქმა. ზოგიერთი კი სამყაროს მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში ხედავს. ამგვარ დარღვევებს „ფერად სიბრმავეს“ უწოდებენ.

ფერების აღქმის დარღვევა პირველად 1798 წელს აღწერა ინგლისელმა ქიმიკოსმა ჯონ დალტონმა. მის მიერ აღმოჩენილ მოვლენას შემდგომში „დალტონიზმი“ ეწოდა. ადამიანი, რომელსაც აქვს დალტონიზმი, წითელ და მწვანე ფერებს ერთნაირად აღიქვამს. დალტონიზმი მანქანის მართვის აკრძალვის საფუძველია: ის ხომ შუქნიშნის ფერების გარჩევას უშლის ხელს!

რა იწვევს „ფერად სიბრმავეს“? ჩვენი თვალის ბადურაში განლაგებულია პიგმენტების შემცველი სინათლის რეცეპტორები, ე.წ. „კოლბები“. ერთნი წითელ ფერს აღიქვამენ, მეორენი – მწვანეს, მესამენი – ლურჯს. ამ სამი ტიპის კოლბიდან რომელიმეს არარსებობისას შესაბამისი ფერის აღქმა არ ხდება. დალტონიზმი, როგორც წესი, თანდაყოლილია. ის 20-ჯერ უფრო ხშირია მამაკაცებში.

დალტონიკი თვითონ ვერც კი ამჩნევს თავის განსხვავებულობას. ჯონ დალტონი ვერ არჩევდა წითელ ფერს, მაგრამ ამის შესახებ მან 26 წლამდე არაფერი იცოდა. საქმე ის არის, რომ ადამიანი ბავშვობაში სწავლობს საგნების ჩამოთვლას ფერების მიხედვით. მან იცის, რომ ბალახი არის მწვანე, სისხლი – წითელი და სხვ. ამიტომ მათი სწორად დასახელება არც ეშლება.

ადამიანების შემოწმება დალტონიზმზე მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც შუქნიშანი გამოიგონეს. ამას ხელი ერთმა უბედურმა შემთხვევამ შეუწყო. 1875 წელს შვედეთის ერთ პატარა ქალაქში მატარებელმა **კატასტროფა** განიცადა. მალე გაირკვა, რომ მემანქანე ვერ აღიქვამდა წითელ ფერს.

დალტონიზმის დროულად გამოვლენა დღესაც მეტად საჭიროა. ეს ეხმარება ადამიანს ისეთი პროფესიის შერჩევაში, რომელიც ფერების აღქმასთან არ იქნება კავშირში.

უახლესმა გამოგონებებმა შეიძლება შეცვალოს დალტონიზმის მქონე ადამიანის ცხოვრება; ასეთია **საკორექციო** იასამნისფერი **ლინზები**. ისინი წითელი და მწვანე ფერების განსხვავების საშუალებას იძლევა.

რა გაიგე მნიშვნელოვანი დალტონიზმის შესახებ?

**კომპონენტები:** მთავარი იდეა და დეტალები. **დონე:** 4.3

## ტექსტის გაგება

*ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.*

**1 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის პირველი აბზაცის ძირითად აზრს?**

ა) ზოგი ადამიანი მხოლოდ შავ-თეთრად ხედავს.

ბ) თვალი გრძნობის ერთ-ერთი ორგანოა.

გ) ფერების აღქმის დარღვევა დალტონიზმია.

**2 რომელი წინადადება გადმოსცემს მესამე აბზაცის ძირითად აზრს?**

ა) ადამიანის თვალის ბადურაში სინათლის რეცეპტორებია განლაგებული.

ბ) სინათლის რეცეპტორების უკმარისობა „ფერად სიბრმავეს“ იწვევს.

გ) „ფერადი სიბრმავე“ 20-ჯერ უფრო მეტია მამაკაცებში.

**3 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს?**

ა) დალტონიზმი „ფერადი სიბრმავეა“ და მას დროული გამოვლენა სჭირდება.

ბ) მატარებლის კატასტროფა დალტონიკი მემანქანის გამო მოხდა.

გ) ფერადი მხედველობის დარღვევა პირველად 1798 წელს აღწერეს.

**4 რომელი დეტალი გვაძლევს დამატებით ინფორმაციას ძირითადი აზრის შესახებ?**

ა) დალტონიზმის გამოვლენა მნიშვნელოვანია პროფესიის შერჩევისას.

ბ) დალტონიკი თვითონ ვერ ამჩნევს თავის განსხვავებულობას.

გ) ჯონ დალტონმა 26 წლამდე არ იცოდა, რომ წითელს ვერ არჩევდა.

**5 რომელი დეტალი არ ჩანს ტექსტში?**

ა) ვინ გამოიგონა საკორექციო იასამნისფერი ლინზები.

ბ) რამდენი ტიპის პიგმენტს შეიცავს ადამიანის თვალი.

გ) როდის დაიწყეს ადამიანების შემოწმება დალტონიზმზე.

2

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. ფერებს პიგმენტების **მეშვეობით** ვხედავთ.

ა) გარეშე. ბ) დახმარებით. გ) ზეგავლენით.

2. **ნორჩი** ბალახი მწვანეა.

ა) ქორფა. ბ) ხმელი. გ) ხშირი.

3. მატარებელმა **კატასტროფა** განიცადა. **კატასტროფა** ნიშნავს:

ა) უბედურ შემთხვევას.

ბ) უმნიშვნელო შემთხვევას.

გ) უცნაურ შემთხვევას.

4. არსებობს **საკორექციო ლინზები.** **საკორექციო ლინზა** არის:

ა) მინა, რომელიც ასწორებს მხედველობის პრობლემას.

ბ) მინა, რომელიც მკურნალობს თვალის ბადურას.

გ) მინა, რომელიც ყველაფერს შავ-თეთრად აჩვენებს.

**2 ხაზებით დააკავშირე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები).**

| | |
|---|---|
| 1. განსხვავებული | მცდარი |
| 2. სწორი | მკვახე |
| 3. მწიფე | მსგავსი |

## გრამატიკა

**1 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.**

| | |
|---|---|
| [X] *მსგავსათ.* | [ ] *მსგავსად.* |
| 1. [ ] იგივე ფორმის. | [ ] იმავე ფორმის. |
| 2. [ ] შავთეთრი. | [ ] შავ-თეთრი. |
| 3. [ ] საშუალებით. | [ ] საშვალებით. |
| 4. [ ] ზოგი ფერები. | [ ] ზოგი ფერი. |

3

## გრამატიკა

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

სამყაროს ჩვენ ვხედავთ ისეთს, ------------------ ის არის სინამდვილეში.

**(როგორც / როგორიც)**

3 სწორი ფორმით დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. დალტონიკი *(შუქნიშანი)* -------------------- ფერებს ვერ არჩევს.
2. მხედველობის შემოწმება *(მატარებელი)* ---------------- კატასტროფის შემდეგ დაიწყეს.

## წერა

1 ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით შეავსე სქემა. ცხრილის თითოეული სვეტის შესავსებად გამოიყენე თვალის პიგმენტის რომელიმე ფერი.

| რა ახასიათებს დალტონიზმს? | რა არის დალტონიზმის მიზეზი? | რა შეიძლება გამოიწვიოს დალტონიზმმა? |
|---|---|---|
| დალტონიზმი ახასიათებს ფერადი სიბრმავეა, რაც ნიშნავს, რომ: -------------- ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ | დალტონიზმის გამომწვევი მიზეზია -------------------- ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ | დალტონიზმის გამო შეიძ-ლება ---------------------- ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ ------------------------------ |

2 მისწერე მეგობარს წერილი. გააცანი, რა არის „ფერადი სიბრმავე“. უამბე, რატომ ჰქვია მას დალტონიზმი.

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

________________________________________________________________

4

# ფიზიკური და პოლიტიკური რუკები




გაიხსენე, როგორი რუკები გინახავს. როდის და რა მიზნით გამოგიყენებია რომელიმე მათგანი?

გინდა გაიგო, სად რა მდებარეობს დედამიწაზე? გაინტერესებს ქალაქები და ქვეყნები, სადაც არასდროს ყოფილხარ? გინდა იპოვო ყველაზე მოხერხებული გზა უცნობ ადგილებში სამოგზაუროდ? ალბათ, უკვე ხვდები, რა დაგჭირდება ამისათვის. დიახ, რუკა!

რუკა არის ნახატი, რომელზეც გამოსახულია მთელი დედამიწა ან მისი რომელიმე ნაწილი. ეს შეიძლება იყოს კონტინენტი, ქვეყანა, მხარე, ქალაქი ან სოფელი.

შენ შეგიძლია სურათი გადაუღო სახლს, სადაც ცხოვრობ. შეგიძლია გადაიღო შენი ეზო ან ქუჩა. რაც არ უნდა დიდი იყოს სახლი, ეზო ან ქუჩა, სურათი მასზე უფრო პატარა იქნება. იგი შეიძლება ისე მცირე ზომის იყოს, რომ ხელის გულზე დაგეტიოს. ასეთ სურათს ჰგავს რუკაც. ქალაქი, ქვეყანა ან მთელი დედამიწა ერთ ფურცელზე, კომპიუტერის ან სმარტფონის ეკრანზე შეიძლება დაეტიოს.

რუკა ათასნაირია: დიდი ან პატარა, ზღვის ან ხმელეთის, სასწავლო ან ტურისტული... მოდი **ამჯერად** ფიზიკური და პოლიტიკური რუკები განვიხილოთ.

ფიზიკურ რუკაზე გამოსახულია რელიეფი. რელიეფი მიწის ზედაპირის ფორმაა. ზედაპირი კი ზოგან **ამობურცულია**, ზოგან – ჩაბურცული. ასეთ ადგილებს რუკაზე ხელით ვერ მოსინჯავ. თუმცა შეგიძლია „დაინახო“, თუ რუკის კითხვა იცი.

ფიზიკური რუკის კითხვა რთული არაა. სადაც მოწითალო ან მოყავისფრო ფერებს დაინახავ, იცოდე, რომ იქ მთაა. სადაც ყვითელი ფერია – იქ მაღლობია. სადაც მწვანე ფერია – იქ დაბლობია. **მარადიული** თოვლითა და ყინულით დაფარული ადგილები შეიძლება თეთრად იყოს გამოსახული რუკაზე. ცისფრად კი აღნიშნავენ ტბებს, ზღვებსა და ოკეანეებს. ლურჯად ხატავენ მდინარეებს.

პოლიტიკურ რუკაზეც ძალიან ბევრი ფერია. მაგრამ აქ ფერებით მთებსა და დაბლობებს კი არა, ქვეყნებს აღნიშნავენ. ყველა ქვეყანა სხვადასხვა ფერით არის შეღებილი. მაგალითად: პოლიტიკურ რუკებზე თუ ერთი ქვეყანა ვარდისფერია, მეორე ყვითელია, მესამე – მომწვანო და ასე შემდეგ. ეს საჭიროა იმისთვის, რომ კარგად გავარჩიოთ ისინი ერთმანეთისგან. ფერებით ვხედავთ, რომელი ქვეყანაა უფრო დიდი და რომელი – პატარა. რომელი ქვეყნის საზღვარი სად გადის. მთელ პოლიტიკურ რუკაზე ქვეყნებს შორის საზღვარი აღინიშნება მუქი ხაზით. ის შეიძლება იყოს ერთი რომელიმე ფერის: წითელი, შავი ან სხვ.

აბა ნახე, რა ფერისაა რუკაზე საქართველო.

ქვეყნების შესახებ რა ინფორმაციას იძლევა პოლიტიკური რუკა?

**კომპონენტი:** შედარება-შეპირისპირება, **დონე:** 4.3

## ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 რა აქვთ საერთო პოლიტიკურ და ფიზიკურ რუკებს?**

ა) ორივე რუკაზე გამოსახულია მთელი დედამიწა ან მისი ნაწილი.

ბ) ორივე რუკაზე დედამიწის რელიეფია გამოსახული.

გ) ორივე რუკაზე ქვეყნები სხვადასხვა ფერით არის გამოსახული.

**2 პოლიტიკურ რუკაზე განსხვავებული ფერებით აღნიშნავენ:**

ა) დედამიწის რელიეფს.

ბ) სხვადასხვა ქვეყანას.

გ) ქვეყნების საზღვრებს.

**3 რით განსხვავდება ფიზიკური რუკა პოლიტიკურისაგან?**

ა) ფიზიკურ რუკას აქვს ტურისტული დანიშნულება, პოლიტიკურს – სასწავლო.

ბ) ფიზიკური რუკის ფერები გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის, პოლიტიკურისა – არა.

გ) ფიზიკურ რუკაზე გამოსახულია რელიეფი, პოლიტიკურზე – ქვეყნები.

**4 რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტის შინაარსს?**

ა) რუკაზე დედამიწა მხოლოდ შემცირებული ზომით გამოისახება.

ბ) ფიზიკურ რუკაზე მხოლოდ ზღვების აღნიშვნაა შესაძლებელი.

გ) ფერები მხოლოდ პოლიტიკური რუკის წაკითხვაში გვეხმარება.

**5 მოცემული ტექსტის ძირითადი მიზანია დაგვანახოს:**

ა) დედამიწის რომელი ნაწილი შეიძლება გამოისახოს რუკაზე.

ბ) რით განსხვავდება ფიზიკური რუკა პოლიტიკური რუკისაგან.

გ) რომელი ფერების გამოყენება შეიძლება რუკის შედგენისას.

## ლექსიკა

**1 გაარკვიე წინადადებებში ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. **ამჟერად** ფიზიკური და პოლიტიკური რუკები უნდა განვიხილოთ.

   ა) ამიერიდან. ბ) ამის შემდეგ. გ) ახლა.

2. ხმელეთის ზედაპირი ზოგან **ამობურცულია**.

   ა) ამოზნექილი. ბ) გადასწორებული. გ) მომრგვალებული.

3. **მარადიული** თოვლით დაფარული ადგილები თეთრად არის გამოსახული.

   ა) გაყინული. ბ) მუდმივი. გ) ჭარბი.

**2 რომელია ზედმეტი სიტყვა?**

1. ა) სახლი. ბ) სოფელი. გ) ქალაქი. დ) ქვეყანა.
2. ა) ზღვა. ბ) ოკეანე. გ) სანაპირო. დ) ტბა.

**3 თითოეულ სიტყვას მიუწერე მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.**

| სიტყვა | სინონიმი | ანტონიმი |
|---|---|---|
| *მთელი* | *ერთიანი* | *ნაწილი* |
| რთული | | |
| ბევრი | | |
| პატარა | | |
| სქელი | | |

## გრამატიკა

**1 სწორად შეარჩიე სიტყვა და დაწერე.**

1. რუკაზე გამოსახულია დედამიწა ან ---------------- რომელიმე ნაწილი. ***(მისი / თავისი)***
2. საზღვარი ერთი და ---------------- ფერით არის აღნიშნული. ***(იგივე / იმავე)***

3

სავარჯიშოები და აქტივობები

## გრამატიკა

**2** **დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.**

1. ფურცელი – ------------------------- 3. სოფელი – ------------------------

2. მდინარე – --------------------------- 4. ოკეანე – --------------------------

**3** **დაწერე ზედსართავი სახელები ნიმუშის მიხედვით.**

***ნიმუში: ოდნავ წითელი – მოწითალო.***

1. ოდნავ მწვანე – ------------------------. 2. ოდნავ ლურჯი – -----------------------.

**4** **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

***ნიმუში: ის, რაც დახატეს, დახატულია.***

1. ის, რაც გამოსახეს, -------------------. 2. ის, რაც დაფარეს, -----------------------.

## წერა

**1** **შეადარე ერთმანეთს ფიზიკური და პოლიტიკური რუკები. ჩაწერე ვენის დიაგრამაში მათი მახასიათებლები.**




**2** **წარმოიდგინე, რომ შენი უცხოელი მეგობარი აპირებს საქართველოში ჩამოსვლას. გაუგზავნე მას გაფერადებული რუკა. შეარჩიე საქართველოს რომელიმე კუთხე. შეეცადე, შენს მეგობარს მისწერო ტურისტისთვის საინტერესო ინფორმაცია ამ კუთხის შესახებ.**




------------------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------------------

> გაიხსენე, რა იცი გრიპის შესახებ.

# გრიპი



გრიპი მძიმე დაავადებაა, რომელსაც იწვევს გრიპის ვირუსი. ვირუსი პაწაწკინტელა, თვალით უხილავი ნაწილაკია. იგი ვრცელდება მაშინ, როდესაც ავადმყოფი ახველებს, აცემინებს და საუბრობს. ამ დროს ჰაერში იფანტება უწვრილესი წვეთები, რომლებზეც უამრავი ვირუსია. ჯანმრთელი ადამიანი შეისუნთქავს მათ და თვითონაც ავად ხდება. ავადმყოფობა **ვლინდება** ვირუსის ორგანიზმში მოხვედრიდან 2-3 დღეში.

გრიპი იწყება **უეცრად**, მაღალი სიცხით (+38/+40$^0$C). გრიპით დაავადებული ადამიანები თავს გრძნობენ ძალიან სუსტად, ისე, თითქოს დაღლილები არიან. ამცივნებთ და აკანკალებთ. ძლიერ ახველებთ. ხანდახან აცემინებთ. სტკივათ თავი, თვალები, სახსრები და კუნთები. ზოგჯერ აწუხებთ ყელის ტკივილიც, ეჭედებათ ცხვირი და ეწყებათ სურდო.

ადამიანს გრიპი შეიძლება გაურთულდეს კიდეც. მაგალითად, დაემართოს ბრონქიტი ან ფილტვების ანთება. ზოგი გართულება სახიფათოც კი არის სიცოცხლისათვის. განსაკუთრებით საშიშია ეს დაავადება პატარა ბავშვებისთვის, ორსულებისა და მოხუცებისთვის. ასევე საშიშია მათთვის, ვისაც დიაბეტი ან ასთმა აქვს, ან გული აწუხებს.

გართულებული გრიპის ნიშნებია:

- +38$^0$C-ზე მეტი სიცხე 3 დღეზე მეტხანს;
- სუნთქვის გაძნელება;
- ქოშინი – აჩქარებული და მძიმე სუნთქვა;
- კანისა და ტუჩების სილურჯე;
- ტკივილი მკერდში;
- მოწითალო ან მოვარდისფრო ნახველი;
- ბავშვებში – ღებინება ან ყლაპვის გაძნელება.

ასეთ დროს სასწრაფოდ უნდა გამოვუძახოთ ექიმს. შეიძლება დაგვჭირდეს საავადმყოფოში წასვლაც.

გრიპისგან თავის დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ვაქცინაცია ანუ აცრა. კარგი იქნება, თუ აცრას ოქტომბერში გავიკეთებთ, რადგან გრიპი ყველაზე ხშირია ნოემბრიდან აპრილამდე. ცივ და მშრალ ამინდში გრიპის ვირუსი ყველაზე დიდხანს ცოცხლობს.

კიდევ როგორ შეიძლება დავიცვათ თავი გრიპისგან?

- ხშირად უნდა დავიბანოთ ხელები საპნით, რათა ჩვენს კანზე მოხვედრილი გრიპის ვირუსი არ გადავიტანოთ თვალზე, ცხვირზე ან პირზე.
- ხშირად **გავანიავოთ** ოთახები.
- სველი ტილოთი ხშირად გავწმინდოთ იატაკი და ავეჯი.
- მოვერიდოთ ავადმყოფებს. მათთან ყოფნისას გავიკეთოთ პირბადე.
- პირბადე უნდა გვეკეთოს გრიპის გავრცელების დროს ხალხმრავალ ადგილებშიც (ტრანსპორტში, მაღაზიებში და სხვაგან).
- გრიპიანი ავადმყოფი აუცილებლად უნდა დარჩეს სახლში. ასე გრიპი ნაკლებად გაურთულდება და სხვებსაც არ გადასდებს.

> რატომ უნდა მოვერიდოთ სხვა ადამიანებს გრიპის დროს?

**კომპონენტი:** შეჯამება, **დონე:** 4.3

## ტექსტის გაგება

*ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.*

**1 ტექსტის პირველი აბზაციდან ვიგებთ:**
ა) რა არის გრიპის გამომწვევი მიზეზი.
ბ) რამდენ დღეს გრძელდება გრიპი.
გ) როგორ ჩნდება გრიპის ვირუსი.

**2 როდის არის გრიპი სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიში?**
ა) როდესაც ადამიანს ახველებს და აცემინებს.
ბ) როდესაც ადამიანს სიცხე უეცრად აუწევს.
გ) როდესაც ადამიანს სხვა დაავადებაც აწუხებს.

**3 თუ მაღალი სიცხე 3 დღეზე მეტხანს გაგრძელდა:**
ა) ავადმყოფმა სასწრაფოდ უნდა გაიკეთოს აცრა.
ბ) ავადმყოფმა სასწრაფოდ უნდა გაანიავოს ოთახი.
გ) ავადმყოფმა სასწრაფოდ უნდა მიმართოს ექიმს.

**4 გრიპისაგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა:**
ა) აცრის გაკეთება მხოლოდ გრიპის გართულების შემთხვევაში.
ბ) აცრის გაკეთება ოქტომბერში, სანამ გრიპი გახშირდება.
გ) აცრის გაკეთება წელიწადში ორჯერ ნებისმიერ დროს.

**5 გრიპი სხვისგან რომ არ გადაგვედოს:**
ა) უნდა მოვერიდოთ ცუდ ამინდში სიარულს.
ბ) უნდა სასწრაფოდ დავწვეთ საავადმყოფოში.
გ) უნდა გავიკეთოთ სპეციალური პირბადე.

**6 ამ ტექსტის მთავარი მიზანია, გაგვაცნოს:**
ა) რა საშუალებებით დავიცვათ თავი გრიპისაგან.
ბ) რატომ ურთულდებათ ადამიანებს გრიპი.
გ) რომელ სეზონზე უნდა გავიკეთოთ აცრა.

2

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. ავადმყოფობა **ვლინდება** ორგანიზმში ვირუსის მოხვედრიდან ორ-სამ დღეში.
   ა) ვრცელდება. ბ) მჟღავნდება. გ) რთულდება.

2. გრიპი ადამიანს ეწყება **უეცრად.**
   ა) მოულოდნელად. ბ) უცნაურად. გ) შეუმჩნევლად.

3. ოთახი ხშირად უნდა **გავანიავოთ. განიავება** ნიშნავს:
   ა) ოთახის დალაგებას. ბ) მტვრის აღებას. გ) ჰაერის გაწმენდას.

**2 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?**
ა) იშვიათი – ხშირი. ბ) მშრალი – სველი. გ) საშიში – სახიფათო.

## გრამატიკა

**1 დაწერე სწორი ფორმით ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.**

ხელები (*საპონი*) ---------------------- დაიბანეთ.

**2 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები თანდებულიანი ფორმით.**

1. (*გრიპი*) -------------------- თავის დაცვა ვაქცინაციით არის შესაძლებელი.
2. გრიპი ყველაზე ხშირია (*ნოემბერი*) ---------------------- აპრილამდე.
3. ზოგი გართულება საშიშია (*სიცოცხლე*) ---------------------- .

**3 რომელია არასწორი?**

1. ა) პაწაწკინტელა ვირუსები. ბ) საშიში ვირუსები. გ) უამრავი ვირუსები.
2. ა) დიდ ხანს. ბ) დიდხანს. გ) დიდი ხანი.

**4 სწორად დაწერე გამოტოვებული ზმნები.**

1. შენ ოქტომბერში უნდა აიცრა. მე ოქტომბერში უნდა -------------------.
2. შენ უნდა გამოუძახო ექიმს. მე უნდა ------------------------ ექიმს.

3

## გრამატიკა

**5** **დააკვირდი კითხვით სიტყვებსა და ნიმუშს. დაწერე სიტყვები სწორი ფორმით.**

| როგორი? | რა? |
|---|---|
| *ლურჯი* | *სილურჯე* |
| წითელი | |
| ცივი | |
| მშრალი | |

**6** **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

***ნიმუში: რთული – გართულდა.***

1. ძნელი – ------------------------------.  2. ხშირი – -----------------------------.

## წერა

**1** **ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა და დაწერე, რა ნიშნები აქვთ ჩვეულებრივ და გართულებულ გრიპებს.**

| ჩვეულებრივი გრიპი | გართულებული გრიპი |
|---|---|
| 1. იწყება მაღალი სიცხით. | 1. მაღალი სიცხე გრძელდება 3 დღეზე მეტხანს. |
| ---------------------------------------------------- | ---------------------------------------------------- |
| ---------------------------------------------------- | ---------------------------------------------------- |
| ---------------------------------------------------- | ---------------------------------------------------- |
| ---------------------------------------------------- | ---------------------------------------------------- |

**2** **ტექსტში მიხედვით დაწერე რამდენიმე რჩევა, თუ როგორ დავიცვათ თავი გრიპისაგან.**

**სასარგებლო რჩევები გრიპისგან თავის დასაცავად**

რჩევა №1. გაიკეთე აცრა.

რჩევა №2.
-------------------------------
-------------------------------
-------------------------------
-------------------------------

რჩევა №3.
-------------------------------
-------------------------------
-------------------------------
-------------------------------

რჩევა №4.
-------------------------------
-------------------------------
-------------------------------

**3** **შევსებული სქემიდან ამოიწერე რამდენიმე რჩევა და დაამზადე საინფორმაციო ბუკლეტი. ტექსტი დაწერე ლამაზი ფერადი ასოებით. გამოიყენე სიტყვები:** *გახსოვდეთ, იცოდეთ, გაითვალისწინეთ.* **გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატებით.**

4

# რას მალავს მიწა?



გაინტერესებს, რა იმალება მიწაში ან რისგან შედგება იგი? წაიკითხე ტექსტი და შენ გაეცნობი საინტერესო ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით.

რას მალავს მიწა? ამის გასაგებად მეცნიერები დედამიწის **მყარ** გარსს ანუ ქერქს სწავლობენ. დედამიწის ქერქი რამდენიმე **ფენისგან** შედგება. ზედა ფენა ნიადაგია. იგი შედარებით ფხვიერია. ამას ხელს უწყობს უამრავი პატარა ცხოველის, მცენარისა თუ მწერის ნარჩენი. ნიადაგი შეიცავს მცენარის ზრდისთვის საჭირო რაოდენობის წყალსა და საკვებ ნივთიერებებს.

დედამიწის ქერქის უფრო ქვედა ფენას წიაღი ჰქვია. იგი უამრავ სასარგებლო წიაღისეულს ინახავს. მათ შორისაა მინერალები: მარილი, გოგირდი, კვარცი, გრაფიტი და სხვ. ადამიანი დედამიწის წიაღიდან იღებს და ამუშავებს მინერალებს. შემდეგ მათ სხვადასხვა დანიშნულებით იყენებს. ზოგ მათგანს ჩვენ ძვირფასი თვლების სახით ვიცნობთ. ასეთებია, მაგალითად: ძოწი, ალმასი, ლალი, ფირუზი და სხვ. ამგვარი თვლები, გარდა იმისა, რომ ძალიან ლამაზია, საკმაოდ ძვირიც ღირს.

მიწის სიღრმიდან ადამიანი იღებს ძვირფას ლითონებსაც: ოქროს, ვერცხლს, პლატინას... ასევე მოიპოვებს საწვავს: ნავთობს, ბუნებრივ აირს, ქვანახშირს, ტორფსა და სხვა. ნავთობსა და აირს მიწის სიღრმეში დაგროვილი ზღვის ცხოველების **ნარჩენები** ქმნის. ქვანახშირი ჭაობის მცენარეების გაქვავებით არის მიღებული. ამ პროცესებს მილიონობით წელი დასჭირდა და დღესაც გრძელდება.

ადამიანები მიწაში არსებულ ნამარხებსაც ეძებენ და იკვლევენ. ნამარხები უძველესი და გადაშენებული მცენარეებისა და ცხოველების ნაშთებია. მათ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. ასე ვიგებთ, როგორ იცვლებოდა სიცოცხლე დედამიწაზე. რომელი მცენარეები ხარობდა და რომელი ცხოველები ბინადრობდნენ ამა თუ იმ ადგილას. სად იყო უდაბნო, სად – ზღვა და სხვ. დედამიწის ქერქი ხშირად ნამარხებთან ერთად უძველესი ცხოველების **ნაკვალევსაც** ინახავს. თუ მოისურვებ, მისი ნახვა შენც შეგიძლია იმერეთში, კერძოდ, სათაფლიის ნაკრძალში.

დედამიწის ქერქი ზოგჯერ ნასახლარებსა და ძველ ნივთებსაც ინახავს. მიწის ქვეშ დამალულ სიძველეებს არქეოლოგები ეძებენ. ისინი მიწაში პოულობენ სამარხებს, სახლების ნანგრევებს, საოჯახო ნივთებს, საომარ იარაღს... შემდეგ ამ ყველაფრის შესწავლით ადგენენ, თუ ვინ, როდის და როგორ ცხოვრობდა იმ ადგილებში.

აი, ამდენ სასარგებლო ინფორმაციას ინახავს მიწა.

რა გაიგე ახალი ამ ტექსტიდან?

**კომპონენტი:** შეკუმშვა-რეზიუმე, **დონე:** 4.2

## ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 ნიადაგი ჰქვია დედამიწის ქერქის იმ ფენას:**

ა) რომელიც მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით.

ბ) სადაც იზრდება და მრავლდება მცენარე.

გ) სადაც მოიპოვება ძვირფასი ლითონები.

**2 რომელია საწვავი წიაღისეული?**

ა) ალმასი და კვარცი.

ბ) მარილი და გრაფიტი.

გ) ნავთობი და ქვანახშირი.

**3 ძვირფას ლითონებს მიეკუთვნება:**

ა) მარილი და ალმასი.

ბ) ოქრო და ვერცხლი.

გ) ტორფი და ქვანახშირი.

**4 იმის გასაგებად, როგორ იცვლებოდა სიცოცხლე დედამიწაზე:**

ა) ადამიანი მოიპოვებს წიაღისეულს.

ბ) არქეოლოგი ეძებს ძველ ნივთებს.

გ) მეცნიერი იკვლევს ნამარხებს.

**5 რომელი წინადადება შეესაბამება ტექსტს?**

ა) მიწა ინახავს ინფორმაციას უძველესი ადამიანის ცხოვრების შესახებ.

ბ) ყველა წიაღისეული ჭაობის მცენარეთა გაქვავებული ნარჩენია.

გ) დედამიწის ქერქში შეუძლებელია ძველი ნასახლარების ალმოჩენა.

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. მეცნიერები დედამიწის **მყარ** გარსს იკვლევენ.

   ა) მკვრივ. ბ) რბილ. გ) ფხვიერ.

2. ქანები უძველესი ცხოველების **ნაკვალევს** ინახავს.

   ა) ნაფეხურებს. ბ) ნაწილებს. გ) ნარჩენებს.

**2 რომელი სიტყვაა განმარტებული?**

მიწის სიღრმეში დარჩენილი უძველესი მცენარის ან ცხოველის ნაშთი, არის:

ა) მინერალი. ბ) ნამარხი. გ) წიაღი.

**3 დააკავშირე ხაზებით მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?**

| | |
|---|---|
| 1. სამარხი | ნაშთი |
| 2. ფენა | საფლავი |
| 3. ნარჩენი | შრე |

## გრამატიკა

**1 დაწერე ერთი სიტყვით.**

***ნიმუში: ის, რაც ოჯახისთვის არის განკუთვნილი, არის საოჯახო.***

1. ის, რასაც სარგებლობა მოაქვს, არის --------------------------------.
2. ის, რაც ინტერესს იწვევს, არის --------------------------------------.

**2 დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

***ნიმუში: ადგილი, სადაც ადრე სოფელი იყო, არის ნასოფლარი.***

1. ადგილი, სადაც ადრე ქალაქი იყო, არის ------------------------.
2. ადგილი, სადაც ადრე სახლი იყო, არის -------------------------.

3

## გრამატიკა

3 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.

| | | |
|---|---|---|
| | [x] ***ხშირათ.*** | [ ] ***ხშირად.*** |
| 1. | [ ] ძველ ნივთების. | [ ] ძველი ნივთების. |
| 2. | [ ] სხვადასხვა. | [ ] სხვა და სხვა. |
| 3. | [ ] იღებენ წიაღიდან. | [ ] იღებენ წიაღისგან. |

## წერა

1 ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა. ამოიწერე ტექსტიდან საჭირო ინფორმაცია.




1 წამოიდგინე, რომ დედამიწის ქერქის კვლევის საშუალება მოგეცა. დაწერე, რისი გამოკვლევა იქნებოდა შენთვის უფრო საინტერესო და რატომ.

# თავისუფლების ქანდაკება



ამერიკის ხსენებისას პირველი, ალბათ, თავისუფლების ქანდაკება გახსენდება. ის ხომ ყველაზე შთამბეჭდავად ჩანს ფოტოებსა და ტელეეკრანზე. წაიკითხე ეს ტექსტი და მის შესახებ ბევრ საინტერესო რამეს გაიგებ.

ეს ქანდაკება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებაა. იგი დგას ნიუ-იორკში, თავისუფლების კუნძულზე. ქანდაკება საზეიმოდ გაიხსნა 1886 წლის 28 ოქტომბერს. მისი ალმართვა მნიშვნელოვან თარიღს უკავშირდება. ეს იყო აშშ-ის დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავი. ქანდაკება ფრანგმა ხალხმა აჩუქა ამერიკელ ხალხს დიდი პატივისცემის ნიშნად.

ქანდაკებას ცალ ხელში განათლების ჩირაღდანი უჭირავს, მეორეში კი – ქვის დაფა. მასზე აშშ-ის დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღი წერია: 4 ივლისი, 1776 წელი. ქანდაკებას მარცხენა ფეხი გაწყვეტილ ჯაჭვზე უდგას. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ქვეყანაში მონობა დასრულდა. მისი ფოლადის **კარკასი** სპილენძით არის დაფარული, ჩირაღდნის ალი კი ოქროშია ამოვლებული. ქანდაკებას თავზე გვირგვინი ადგას. მას შვიდი ქიმი აქვს. ეს ქიმები შვიდი კონტინენტის სიმბოლოა.

ძეგლის სიმაღლე მიწიდან გვირგვინის ჩათვლით 93 მეტრს აღწევს. თვითონ ქანდაკება კი – 46 მეტრია. უღრუბლო ამინდში იგი ძალიან შორიდან ჩანს. თავიდან მას შუქურის დანიშნულება ჰქონდა. აშშ-ში ჩამოსული ადამიანი ოკეანეს რომ გადალახავდა, შორიდან პირველად სწორედ ამ ძეგლს ხედავდა.

ქანდაკება შეიქმნა საფრანგეთში 1876 წელს. მისი ავტორია ფრედერიკ ბარტოლდი. გუსტავ ეიფელმა კი **მონუმენტის** შიგასტრუქტურა დააპროექტა. ეს ვეება ქანდაკება ამერიკაში ჩასატანად 350 ნაწილად დაშალეს და 214 ყუთში მოათავსეს. ამას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, თითქმის ათი წელი. ამერიკაში მის აწყობას ოთხი თვე მოანდომეს. ამ საქმისთვის საჭირო თანხის ნაწილი ამერიკელმა ხალხმა თავად შეაგროვა.

ფრედერიკ ბარტოლდის სჯეროდა, რომ თავისუფლების ქანდაკება არა სიდიდის, არამედ მასში ასახული იდეის გამო მოეწონებოდა ყველას. მართლაც, ქანდაკება მალე პოპულარული გახდა როგორც ამერიკაში, ისე სხვა ქვეყნებში. იგი თავისუფლების სიმბოლოდ აღიარეს მთელ მსოფლიოში. მას გამოსახავენ საფოსტო ბარათზე, **სუვენირსა** თუ მაისურზე. ყოველ წელს კი ძეგლის სანახავად ნიუ-იორკს მილიონობით ტურისტი სტუმრობს. მათ აქვთ საშუალება 356-საფეხურიანი კიბით ავიდნენ გვირგვინამდე და იქიდან გადმოხედონ ქალაქს. აქვე არის ლიფტი მათთვის, ვისაც კიბეზე ასვლა უჭირს.

დღეს ყველა მსურველს შეუძლია ნიუ-იორკში ჩასვლის გარეშე **დატკბეს** ქალაქის ხედებით. ამისათვის ქანდაკებაზე **დამონტაჟებულია** კამერები. ისინი 24 საათის განმავლობაში არის ჩართული ინტერნეტში.

1984 წელს ძეგლი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის **ნუსხაში** შეიტანეს.

რა არის შენთვის ყველაზე საინტერესო ამ ტექსტში?

**კომპონენტი:** მიზეზი, შედეგი, **დონე:** 4.3

## ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 რას ვიგებთ პირველი აბზაციდან?**

ა) რატომ არის ქანდაკება მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება.

ბ) რატომ გადაწყვიტა ფრანგმა ხალხმა ქანდაკების ჩუქება.

გ) რატომ შეირჩა ქანდაკებისთვის ადგილი სწორედ ნიუ-იორკში.

**2 მონობის დასასრულზე მიანიშნებს ქანდაკების:**

ა) გაწყვეტილი ჯაჭვი.

ბ) ოქროსფერი ალი.

გ) სპილენძის კარკასი.

**3 თავიდან ქანდაკებას შუქურის დანიშნულება ჰქონდა:**

ა) რადგან იგი ძალიან შორიდანაც ჩანს.

ბ) რადგან მას თავზე შვიდქიმიანი გვირქვინი ადგას.

გ) რადგან მას ხელში ჩირაღდანი უჭირავს.

**4 ბარტოლდის სჯეროდა, რომ ქანდაკებას ხალხი შეიყვარებდა:**

ა) მასში ასახული იდეის გამო.

ბ) მისი სილამაზის გამო.

გ) მისი ადგილმდებარეობის გამო.

**5 ქანდაკებამ მალე მოიპოვა პოპულარობა, რადგან:**

ა) იგი თავისუფლების იდეას გამოხატავს.

ბ) იგი ძალიან მაღალი ძეგლია.

გ) იგი მეგობრობის იდეას გამოხატავს.

**6 რა _არ ჩანს_ ტექსტში?**

ა) რატომ გამარტივდა ნიუ-იორკის ხედების დათვალიერება.

ბ) რატომ გამოსახავენ ქანდაკებას ამერიკულ სუვენირებზე.

გ) რატომ შეაგროვეს თანხის მხოლოდ ნაწილი ამერიკელებმა.

2

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. ქანდაკების **კარკასი** სპილენძით არის დაფარული.
   ა) გვირგვინი. ბ) საფეხური. გ) ჩონჩხი.
2. ეიფელმა **მონუმენტის** შიგასტრუქტურა დააპროექტა.
   ა) დიდი ძეგლი. ბ) ცნობილი ძეგლი. გ) ძველი ძეგლი.
3. ქანდაკებას გამოსახავენ **სუვენირზე.**
   ა) პატარა ნივთზე. ბ) სამახსოვრო ნივთზე. გ) ძველ ნივთზე.
4. ქანდაკებაზე **დამონტაჟებულია** კამერები.
   ა) დაყენებულია. ბ) შენახულია. გ) ჩართულია.

**2 რომელი სიტყვაა ზედმეტი?**

ა) მონუმენტი. ბ) სუვენირი. გ) ქანდაკება. დ) ძეგლი.

**3 რომელი *არ არის* მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?**

ა) ნუსხა – სია. ბ) ქანდაკება – ძეგლი. გ) ჩირაღდანი – ალი.

## გრამატიკა

**1 დაწერე სწორად ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.**

1. შორიდან მოჩანდა (*ჩირაღდანი*) -------------------- ალი.
2. ძეგლი (*ოქტომბერი*) ------------------ ბოლოს დადგეს.

**2 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.**

| | |
|---|---|
| ☒ ***ნიშნათ.*** | ☐ ***ნიშნად.*** |
| 1. ☐ ჯეროდა. | ☐ სჯეროდა. |
| 2. ☐ ავიდნენ. | ☐ ავიდენ. |
| 3. ☐ ერთ-ერთი. | ☐ ერთერთი. |
| 4. ☐ ყველა ტკბებიან. | ☐ ყველა ტკბება. |

## გრამატიკა

**3 სწორად შეარჩიე საჭირო სიტყვა.**

1. ქანდაკება ნაწილებად დაშალეს, ---------------- ამერიკაში ჩაეტანათ. ***(რათა / რადგან)***
2. ქანდაკება რამდენიმე კილომეტრიდან ჩანს, ----------------- ის ძალიან დიდია. ***(რათა / რადგან)***

**4 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.**

***ნიმუში: ის, რაც დაფარეს, არის დაფარული.***

1. ის, რაც აღმართეს, არის -----------------. 2. ის, რაც დადგეს, არის --------------------.

3. ის, რაც გადალახეს, არის -----------------. 4. ის, რაც ჩართეს, არის -------------------.

## წერა

**1 აღწერე თავისუფლების ქანდაკება.**

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

**2 წარმოიდგინე, რომ შენ ესწრებოდი თავისუფლების ქანდაკების საზეიმო გახსნას როგორც ჟურნალისტი. შენი მიზანი იყო ინტერვიუს აღება ზეიმის სამი სხვადასხვა მონაწილისაგან.**

შეარჩიე ეს პიროვნებები (მაგალითად: ფრედერიკ ბარტოლდი, გუსტავ ეიფელი, ამერიკის მოქალაქე, ფრანგი სტუმარი, მუშა, რომელიც ამონტაჟებდა ძეგლს).

ჩამოწერე ორ-ორი კითხვა მაინც თითო რესპონდენტისთვის. კარგი იქნება, თუ კითხვები შეეხება როგორც მათ საქმიანობას, ისე – შთაბეჭდილებებს.

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

4

# ვინ იყვნენ რაინდები?



გაიხსენე, რა იყო რაინდების შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, როგორ წვრთნიდნენ ძველად რაინდებს.

სიტყვა „რაინდი“ დღეს ღირსეულ ვაჟკაცს ნიშნავს. ძველად კი რაინდობა სამხედრო წოდება იყო ევროპაში. ამ წოდების მისაღებად წარჩინებული ოჯახიშვილი 14 წლის განმავლობაში ემზადებოდა. **წვრთნას** იგი მცირე ასაკიდან იწყებდა. შვიდი წლის რომ გახდებოდა, მშობლები ვაჟს რომელიმე დიდგვაროვნის ციხესიმაგრეში გზავნიდნენ. იქ ჯერ ცხენოსნობა და მშვილდის სროლა უნდა ესწავლა. რამდენიმე წლის შემდეგ ხმლით ბრძოლისა და რაინდთა ქცევის წესებს **ეუფლებოდა**. თუკი თავს გამოიჩენდა, 21 წლის ასაკში უკვე რაინდი ხდებოდა.

რაინდი მღვდელს უნდა ეკურთხებინა ანუ დაელოცა. კურთხევის წინ ახალგაზრდა ჯერ ცივ წყალში განიბანებოდა. შემდეგ თეთრ ტანსაცმელს იცვამდა და ეკლესიაში მთელ ღამეს ლოცვაში ატარებდა. დილით მოძღვარი აზიარებდა და ნაკურთხ ხმალს გადასცემდა. ხოლო ის წარჩინებული, რომლის ოჯახშიც რაინდი იზრდებოდა, კისერზე ან მხარზე ხმალს **შეახებდა**. ამის შემდეგ იგი უკვე რაინდი იყო და მკაცრად უნდა დაეცვა შესაბამისი წესები.

აი რამდენიმე **ძირითადი** წესი. რაინდი მამაცი მებრძოლი უნდა ყოფილიყო. მას თავისი პატრონის ერთგულება და დაცვა ევალებოდა. ასევე მოეთხოვებოდა სამართლიანობა, ღვთის სიყვარული, ქალებთან თავაზიანი ქცევა.

რაინდის მთავარი იარაღი ფარი და ხმალი იყო. თუმცა შუბით, ხანჯლითა და საბრძოლო ნაჯახითაც **ერკინებოდა** მტერს. ბრძოლაში ჯაჭვის პერანგსაც ატარებდა. ისე კი მისი მთავარი სამოსელი ფერადი, ოქროს ძაფით ნაქარგი ტანსაცმელი იყო. ფეხზე ეცვა ცხვირაპრეხილი წაღები. თავზე კი ძვირფასი თვლებით მორთული ქუდი ეხურა. თუ რაინდი მდიდარი იყო, სამი ცხენი ჰყავდა. ერთს ბრძოლაში იყენებდა, მეორეს – სამგზავროდ და ბარგის გადასაზიდად. მესამე კი ყოველდღიური შრომისთვის ჰყავდა.

წესების დარღვევის შემთხვევაში რაინდს წოდება ჩამოერთმეოდა. ულირს საქციელად ითვლებოდა **სიმხდალე**. ასევე ამა თუ იმ შეჯიბრების დროს სხვისი მოტყუების მცდელობა ან რაინდის შეურაცხყოფა. რაინდულ სიყვარულსაც კი თავისი წესები ჰქონდა. რაინდს სიყვარული ბრძოლითა და საგმირო საქმეებით უნდა დაემტკიცებინა.

როგორც ხედავ, რაინდი **რჩეული** ადამიანი იყო. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დღეს საუკეთესო თვისებების მქონე მამაკაცზე ამბობენ, ნამდვილი რაინდიაო.

რაინდის თვისებებიდან, შენი აზრით, რომელია დღესაც მნიშვნელოვანი და რატომ?

**კომპონენტი:** *თანამშრომლობა,* **დონე:** *4.3*

## ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 სად იწვრთნებოდა მომავალი რაინდი?**

ა) იმ ოჯახში, სადაც იგი დაიბადა.
ბ) რომელიმე დიდგვაროვნის ციხესიმაგრეში.
გ) ყველგან, სადაც ვარჯიში შეიძლებოდა.

**2 უპირველეს ყოვლისა, რა უნდა ესწავლა მომავალ რაინდს?**

ა) რაინდის ქცევის წესები.
ბ) ცხენოსნობა და მშვილდოსნობა.
გ) ხმლით ბრძოლის წესები.

**3 ახალგაზრდას რაინდად აკურთხებდნენ:**

ა) როგორც კი ოცდაერთი წლის გახდებოდა.
ბ) როგორც კი შვიდი წლის გახდებოდა.
გ) როგორც კი ცხენოსნობას ისწავლიდა.

**4 მომავალ რაინდს ლოცვის წინ:**

ა) ჯერ ზიარება უნდა მიეღო.
ბ) ჯერ თეთრი სამოსი უნდა ჩაეცვა.
გ) ჯერ ნაკურთხი ხმალი უნდა მიეღო.

**5 როგორც კი რაინდი რომელიმე წესს დაარღვევდა, მას:**

ა) ნაკურთხ ხმალს ჩამოართმევდნენ.
ბ) რაინდის წოდებას ჩამოართმევდნენ.
გ) საბრძოლო ცხენს ჩამოართმევდნენ.

**6 რის შესახებ *არ არის* საუბარი ტექსტში?**

ა) როდის ეძლეოდა რაინდს ცოლის შერთვის უფლება.
ბ) როდის იწყებოდა მომავალი რაინდის წვრთნა.
გ) როდის სრულდებოდა მომავალი რაინდის წვრთნა.

2

## ლექსიკა

**1** **გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. **წვრთნას** ახალგაზრდა მცირე ასაკიდან იწყებდა.
   ა) ბრძოლას. ბ) ვარჯიშს. გ) ლოცვას.

2. ის რაინდთა ქცევის წესებს **ეუფლებოდა**.
   ა) ეცნობოდა. ბ) ისმენდა. გ) სწავლობდა.

3. წარჩინებული მომავალ რაინდს ხმალს **შეახებდა.**
   ა) დაჰკრავდა. ბ) მიადებდა. გ) მოუქნევდა.

4. რაინდი ნაჯახითაც **ერკინებოდა** მტერს.
   ა) აშინებდა. ბ) ებრძოდა. გ) ემუქრებოდა.

5. **სიმხდალე** ულირს საქციელად ითვლებოდა.
   ა) ლაჩრობა. ბ) სიჯიუტე. გ) ურჩობა.

**2** **მოცემულ სიტყვებს მიუწერე მათი გამაერთიანებელი სიტყვა.**

შუბი, ფარი, ხმალი, ხანჯალი — ---------------------.

**3** **რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმი)?**

ა) მთავარი – ძირითადი. ბ) უშიშარი – მხდალი. გ) შესაბამისი – შესაფერისი.

## გრამატიკა

**1** **სწორი ფორმები აღნიშნე V - ით.**

[V] ***იცვამს.*** [ ] ***იცმევს.***
1. [ ] გადაცა. [ ] გადასცა.
2. [ ] ჰყავდა. [ ] ყავდა.

**2** **დაწერე სიტყვები საჭირო ფორმით.**

1. რამდენიმე *(წელი)* ------------------- შემდეგ რაინდი ქცევის წესებს ეუფლებოდა.
2. რაინდი მტერს *(ხანჯალი)* -------------------- ერკინებოდა.

## გრამატიკა

**3** **სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.**

1. -------------- მთავარი სამოსი ფერადი ტანსაცმელი იყო. ***(თავისი / მისი)***
2. რაინდულ სიყვარულსაც --------------- წესები ჰქონდა. ***(თავისი / მისი)***

**4** **რომელი *არ არის* მიღებული ორი სიტყვის შეერთებით?**

ა) კეთილშობილი. ბ) ტანსაცმელი. გ) ოჯახიშვილი.
დ) სამართლიანი. ე) ძვირფასი. ვ) ცვირაპრეხილი.

## წერა

**1** **ჩამოწერე, რა ნაბიჯები უნდა გადაედგა რაინდს კურთხევამდე და რა ევალებოდა რაინდად კურთხევის შემდეგ.**

| კურთხევამდე | კურთხევის შემდეგ |
|---|---|
| **1.** შვიდი წლისა საცხოვრებლად გადადიოდა მომავალი პატრონის ციხესიმაგრეში. | **1.** მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში. |
| **2.** -------------------------------------- | **2.** --------------------------------------- |
| **3.** ------------------------------------- | **3.** -------------------------------------- |
| **4.** -------------------------------------- | **4.** --------------------------------------- |

**2** **როგორც ტექსტიდან გაიგე, დღეს რაინდი კეთილშობილ ადამიანს ნიშნავს. ჩამოწერე, შენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ასეთ ახალგაზრდას? როგორ უნდა შეიძინოს მან ეს თვისებები?**

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

______________________________________________________________________